## პრეზიდენტის ფოსტიდან

# „გულწრფელად გილოცავთ არჩევნებში გამარჯვებას“



საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს ხალხისა და მთავრობის სახელით მისალოცი დეპეშა გაუგზავნა იტალიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონის.

„ის საუკეთესო ურთიერთობანი, საქართველოსა და იტალიის რესპუბლიკას შორის რომ ჩამოყალიბდა, ეფუძნება როგორც ჩვენს ხალხებს შორის საუკუნეთა მანძილზე არსებულ მჭიდრო მეგობრობას, ისე დღევანდელ ევროპასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მსგავს შეფასებებს.

საქართველო მადლიერია იმ დახმარებისათვის, რომელსაც იტალია გვიწევს პრაქტიკულად ყველა სფეროში“.

საქართველოს პრეზიდენტი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ იტალია ამ ბოლო დროს სულ უფრო დიდ ყურადღებას ამჟღავნებს კავკასიის რეგიონის მიმართ და დასძენს: „ჩვენი მხრივ, კვლავაც მზად ვართ, ღირსეული და ერთგული პარტნიორობა გაგიწიოთ“.

საქინფორმი.

## ფაქტი

# არის მილიონი!

ასეთი დღე, ალბათ, არ ახსოვს საქართველოს გენერალურ პროკურატურას. გუშინ აქ, საგამოძიებო ნაწილის უფროსის თამაზ ჭუმბურიძის მაგიდაზე იდო ერთი მილიონი ლარის ქონება. იგი ფულისა და ტექნიკის სახით ამოიღეს იმ დაწესებულებებიდან, რომლებმაც თავის დროზე დაუმალეს ქვეყნის ბიუჯეტს.

გენერალური პროკურორის გია მეფარიშვილის განცხადებით, ასეთი ქონების ამოღება როგორც გენერალური პროკურატურის, ისე შინაგან საქმეთა და შემოსავლების სამინისტროების მუშაკთა ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა. უახლოეს ხანში გათვალისწინებულია კიდევ ერთი მილიონის ამოღება. თუ სხვა ურჩი გადამხდელები და, საერთოდ, ბიუჯეტის ტერორისტები ამდაგვარ ნაბიჯს გადადგამენ, მათ საგამოძიებო ორგანოები გარკვეულ შეღავათებს გაუწევენ.

საკუთარი ინფორმაცია.

## მეგობრის ხელი

# კონტროლის პალატა ხვალინდელ დღეს ...

საქართველოს კონტროლის პალატაში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც აშშ იუსტიციის დეპარტამენტისა და ამერიკის იურისტთა ასოციაციის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლებრივი ინიციატივის მიერ კონტროლის პალატისათვის აღმოჩენილ ტექნიკურ დახმარებას მიეძღვნა.

კონტროლის პალატაში ინსტიტუციური და სტრუქტურული განვითარების პროცესი მიმდინარეობს. მას აქტიურად უჭერენ მხარს ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტი და ამერიკის იურისტთა ასოციაცია/ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლებრივი ინიციატივა. ეს მხარდაჭერა კონტროლის პალატისადმი არსებითი ხასიათის, ხელშესახებ ტექნიკურ დახმარებაში გამოიხატა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს გამოწვლილვით უამბო კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა.

იხ. მე-2 გვ.



ლაურენს ლებეკი სერტიფიკატს გადასცემს კონტროლის პალატის თანამშრომელს.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

ოთხ დღეში გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 9571 მკითხველი. მათ შორის, 74% აშშ-დან, 22% – საქართველოდან.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №119 (3860) შაბათი, 19 მაისი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.

## პარლამენტის თავმჯდომარე

# საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა ყოველთვის გამორჩეულია



18 მაისს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო აზერბაიჯანის პრეზიდენტის თანაშემწე განათლებისა და კულტურის დარგში ჰიდაეთ ორუჯოვი.

სტუმარმა ზურაბ ჟვანიას აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის სახელით გულთბილი მოკითხვა გადასცა.

„საქართველო და აზერბაიჯანი ყოველთვის გამოირჩეოდნენ ტრადიციული კეთილმეზობლური ურთიერთობით. ბოლო ათწლეულში კი გაცილებით მეტი ნაბიჯები გადაიდგა ჩვენი ხალხების უფრო მეტად დაახლოების გზაზე, რაც პირველ ყოვლისა, ჩვენი ქვეყნების პრეზიდენტებს შორის მეგობრული კავშირურთიერთობის შედეგია“, – განაცხადა შეხვედრაზე ჰიდაეთ ორუჯოვმა.

იხ. მე-2 გვ.

## კანონმდებლები

# მინისტრთა კაბინეტის შემოღებაზე უმრავლესობა ჯერ ვერ თანხმდება



მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა პარლამენტს საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტი წარუდგინა, რომელიც მინისტრთა კაბინეტის შემოღებას ითვალისწინებს, საპარლამენტო უმრავლესობამ იგი თავის გუშინდელ სხდომაზე პირველად განიხილა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მმართველ პარტიაში არაერთგვაროვანი რეაქცია და პოზიცია აღმოაჩნდათ. ამიტომაც გუშინ ეს სხდომა ჟურნალისტების გარეშე, დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, თუმცა, წარმოდგენილი კანონპროექტით უკმაყოფილო უმრავლესობის წევრები თავიანთ ალტერნატიულ მოსაზრებებს ჟურნალისტებს ფოიეშიც კარგად უზიარებდნენ.

უმრავლესობის წევრთა საკმაოდ სოლიდური ნაწილი საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტის ზოგიერთი მუხლის უკმაყოფილოა, თუმცა, გუშინ კონკრეტული საკითხები არავის დაუზუსტებია. როგორც სხდომიდან გამოსულმა ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარემ რევაზ ადამიამ განაცხადა, სადავო საკითხი ბევრია და ამიტომ, ჯერ ადრეა საუბარი მხოლოდ ერთი ან ორი საკვანძო და სადავო საკითხის გამოყოფაზე, უმრავლესობის ზოგიერთი ლიდერი კი პირწმინდად უარყოფდა რაიმე სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობის არსებობას მმართველ პარტიაში.

იხ. მე-2 გვ.

## დერეფანი

# „ტრასეკას“ სატრანსპორტო დელტა“ ბათუმიდან დაიწყება

„შარი“, რომელიც შეიძლება ხეირად გვექცეს!

მიიხვედით, ალბათ, თუ რატომ შემოგთავაზეთ ეს მცირე გადახვევა – ის, ვინც ასეთი სიყვარულით უდგება ბავშვთა სასახლეების მშენებლობას, წარმოიდგინეთ, როგორ იზრუნებს სტრატეგიულ ამოცანებზე, რომელთა განხორციელებამაც ჩვენი ბათუმი უახლოეს წლებში შავი ზღვის ერთ-ერთ მძლავრ სანავსადგურო ქალაქად უნდა აქციოს.

ნათქვამია, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო და მეც შევეცადე ჩემი ფოტოობიექტივის წყალობით გადმომეცა თქვენთვის ატმოსფერო, რომელიც დღეს ასე ზეობს ბათუმის ნავსადგურში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე. ასეთი მასშტაბის ერთსულოვნება და პათოსი მხოლოდ საქართველოს რკინიგზაზე თუ მინახავს, ახლაც, სწორედ ბათუმის ნავსადგურის სარკინიგზო-სალიანდაგო ნაწილის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. ახალი პერსპექტივა, ახალი პარამეტრები, რასაც „ტრასეკას“ საერთაშორისო პროექტი უყენებს ბათუმის ნავსადგურს, აქ კარგად აქვთ გაცნობიერებული, როგორც იციან, ნავსადგური ქალაქის ცენტრში მდებარეობს, რაც უნიკალურობასთან ერთად, ერთგვარ სიძნელეებსაც ქმნის, ამიტომაც ისინი დიდი სიფრთხილით უდგებიან ნავსადგურის ტერიტორიის გაფართოების ამოცანას, რომლის გადაწყვეტაც ხდება აქ არსებული უსახური შენობების, ძველი საამქროებისა და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების დემონტაჟის ხარჯზე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ №118.

იხ. მე-2 გვ.



## შევეწიოთ!



# სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

| | |
|---|---|
| ზურაბ ბაკაშვილი | – 7 000 ლარი; |
| ნინელი ჭანკვეტაძე | – 100 დოლარი და 100 ლარი; |
| ზაზა მიქამავაძე | – 100 დოლარი და 100 ლარი; |
| თამარ ჭოხონელიძე | – 100 ლარი; |
| გია როინიშვილი | – 100 ლარი; |
| შპს „არტი“ | – 300 ლარი; |
| შპს „დიდუბე-95“ | – 100 ლარი; |
| „საქართველოს ბანკის“ ბათუმის ფილიალი | – 10 ლარი; |
| „რეესტრ-ცენტრი“ | – 4,42 ლარი; |
| მარიამ და კონსტანტინე როინიშვილები | – 100 ლარი; |
| ლამარა ღონღაძე | – 5 ლარი; |

## ვინ არის ვინ

# გამარჯვება თუ გვინდა, დაპირისპირებებს არ უნდა შევუშინდეთ

კობა გვენეტაძე – ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

ბავშვობის წლები თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა სიმონეთში გაატარა. თბილისის 23-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე გააგრძელა ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით. ორი წელი ვაშინგტონის „ამერიკულ უნივერსიტეტში“ იღრმავებდა ცოდნას, რომელიც ქულათა უმაღლესი შეფასებითა და მაგისტრის ხარისხით დაამთავრა.

ფლობს ფრანგულსა და ინგლისურ ენებს, რომლებიც დამოუკიდებლად საფუძვლიანად შეისწავლა.

მამა ელექტრიკოსია.

დედა უნივერმაღ „თბილისში“ მუშაობს მოლარედ.

ჰყავს და – ნინო გვენეტაძე, დიასახლისი, სამი შვილის დედა.

თვითონ ჯერჯერობით უცოლშვილოა, მაგრამ ფიქრობს, რომ ოჯახს დროულად უნდა მოეკიდოს.

დაიბადა 1971 წლის 26 დეკემბერს, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად ფრიად სოლიდური შრომითი ბიოგრაფია აქვს. თავდაპირველად ეკონომიკურ მიმომხილველად უმუშავია „იბერია-ექსპრესში“, შემდეგ ეროვნულ ბანკში – მთავარ ეკონომისტად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოს წარმომადგენლობაში – ეკონომისტად, ვაშინგტონში – სავალუტო ფონდის მე-2 ევროპული დეპარტამენტის სამხრეთულ დივიზიონში ეკონომისტად. თბილისში დაბრუნების შემდეგ ინიშნება ფინანსთა მინისტრის მოადგილედ.

იხ. მე-2 გვ.

## გიხაროდენ!

# ლოდინად ღირდა



ამბობენ, დიდი სიხარული ძნელი გადასატანიაო. ღმერთმა ასე გაახაროს ყველა, ჩემს მდგომარეობაში მყოფი, და გადაიტანს კი არა, ცას ეწევა. ექვსი წელიწადია, რაც მე და ჩემი მეუღლე თამარი დავქორწინდით. ერთმანეთის სიყვარულს ვერა, მაგრამ სიხარულს კი გვიფერმკრთალებდა ის, რომ შვილი არ გვყავდა. და აი, ამდენი ლოდინის შემდეგ, 10 მაისს ბიჭი შეგვეძინა. ბიჭი და რა ბიჭი! ჯანმრთელია და ლამაზი. ექიმები ამბობენ, გოლიათიაო – 4 კილოსა და 100 გრამს იწონის, სიგრძით 53 სანტიმეტრია. ბიჭს მამაჩემის სახელი გიორგი დავარქვით. როგორ ველოდით ამ დღეს, ახლა ხომ ჩვენი შვილის დაბადების შესახებაც გამოვაქვეყნებთ თქვენი გაზეთის ამ მშვენიერ კუთხეში.

მადლიერებით და პატივისცემით

ირაკლი დიდიძე,
წყალტუბოს რაიონი.

ირაკლი და თამარ, იმრავლეთ, იდღეგრძელეთ, გაგეზარდოთ ბიჭი!

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## რეაქცია

# საბოლოოდ დამყარდება წესრიგი

14 აპრილს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო პროგრამა „კურიერში“ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პრესკონფერენციისა და მცხეთა-მთიანეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ბრიფინგიდან მომზადებულ ინფორმაციებში გაიპარა მნიშვნელოვანი უზუსტობა.

იხ. მე-9 გვ.

## კადრი



მორღვეული ქონგურები.

ამირან ადამიშვილის ფოტო.

## გვწერენ

# სოციალურად დაუცველი ოჯახების დედები მადლობას უხდიან ქალბატონ ნანული შევარდნაძეს

იხ. მე-2 გვ.

## ინფორმაცია

### გვესტუმრება ევროსაბჭოს დელეგაცია

ევროსაბჭოს დელეგაცია 5-16 ივნისს თბილისს ეწვევა და მონაწილეობას მიიღებს სემინარში „გარდამავალ ეტაპზე კულტურის დაფინანსების პრობლემები“.

ევროსაბჭოს დელეგაციის წევრები მოინახულებენ საქართველოს მხარეებს და მოამზადებენ მოხსენებას საქართველოს კულტურულ პოლიტიკაზე, რომელიც შემდგომ ევროსაბჭოს წარედგინება.

### პირველად – თბილისში

3-5 ივნისს თბილისში პირველად ჩამოვლენ ნატოს თავდაცვის კოლეჯის წარმომადგენლები.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრებთან, ასევე თბილისის სამხედრო აკადემიაში. კოლეჯი, რომელიც რომში მდებარეობს, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის სამხედრო სასწავლებელია ნატოს ფარგლებში.

### გერმანული ბანკი – ქართული ბანკის დამფუძნებელი

საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის კაპიტალის 15 პროცენტი შეიძინა ევროპის ერთ-ერთმა უდიდესმა ბანკმა, გერმანულმა „კომერცბანკმა“. საქართველოს საბანკო სისტემის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც დასავლეთის დიდი კომერციული ბანკი ქართული ბანკის ერთი დამფუძნებელი ხდება.

ეს საშუალებას მისცემს საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკს გამოიყენოს ამ უდიდესი საერთაშორისო ბანკის რესურსები და გამოცდილება, კერძოდ, ისარგებლოს „კომერცბანკის“ გერმანიის 1000-მდე ფილიალითა და მთელს მსოფლიოში მისი 4 000-მდე საკორესპონდენტო ბანკით.

### ყოვლისმომცველი ხელშეკრულების პირველადი ვარიანტი

სხვადასხვა პოლიტიკური უწყებიდან მიღებული დასკვნების საფუძველზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მომზადდა „საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობის და თანამშრომლობის შესახებ“ ახალი ყოვლისმომცველი ხელშეკრულების პროექტის საქართველოს მხარის პირველადი ვარიანტი, რომელიც განსახილველად უკვე გაეგზავნა საქართველოს უშიშროების საბჭოს.

### ინტერპოლის კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა

გუშინ თბილისში, სასტუმრო „შერატონ-მეტეხი პალასში“ დამთავრდა ინტერპოლის სამდღიანი კონფერენცია. ინტერპოლის ვიცე-პრეზიდენტმა ჯონ ებოდიმ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ და ინტერპოლის ქართული ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფროსმა კოტე როგავამ ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენცია გამართეს. მანამდე კი კონფერენციამ კოტე როგავა ინტერპოლის ევროპის აღმასკომის მერვე წევრად აირჩია.

### გადაწყვეტილების აღსრულება ჭიანურდება

როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო მაჟორიტარი დეპუტატების არჩევნები ხონის, აბაშის, ფოთის და წალენჯიხის საარჩევნო ოლქებში. შესაბამისად, ბათილად ცნეს არჩევნების შედეგებიც. ეს ნიშნავს, რომ უკანონოდ გადეპუტატებულ პირებს უფლებამოსილება უნდა შეუწყდეთ. მაგრამ, როგორც პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ როლანდ გილიგაშვილმა განაცხადა, სასამართლოს გადაწყვეტილება აქამდე არ აღსრულებულა, რადგან არსებული კანონმდებლობით ეს შემთხვევა გათვალისწინებული არ არის.



ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

## გაცნობა

# ბავშვს სკოლის მერხიდანვე უჩიჩინე კორუფციის მავნეობა!



საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელის კახა იმნაძის კოორდინატორობით საქართველოს გაზეთებისა და ტელეარხების ხელმძღვანელები შეხვდნენ ჩვენს ქვეყანაში განათლების სამინისტროს მოწვევით მყოფ აშშ ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის პროფესორს, ნაციონალური სტრატეგიის საინფორმაციო ცენტრის პრეზიდენტს, ცნობილ თეორეტიკოსს, დოქტორ როი გოდსონს.

ბატონმა გოდსონმა ისაუბრა სამოქალაქო საზოგადოების როლზე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. სამაგალითოდ მოიხმო მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში წარმატებით განხორციელებული ანტიკორუფციული ღონისძიებები. 1970-1990 წლებში, ისეთ განსხვავებულ ადგილებში, როგორებიცაა ჰონ-კონგი და სიცილია, აღინიშნა მნიშვნელოვანი კულტუროლოგიური ცვლილებები, რაც ადასტურებს კულტურის შეცვლისა და კანონიერების გაძლიერების შესაძლებლობას ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც დანაშაული და კორუფცია ათწლეულების მანძილზე დომინირებდა.

იხ. მე-3 გვ.

## დღის ანეკდოტი

თუ თქვენ ლამაზი და ერთგული ცოლი გყავთ, კეთილი და მზრუნველი უფროსი გელოდებათ სამსახურში, გაქვთ ძალიან საინტერესო და მაღალანაზღაურებადი სამუშაო, ყოველდღე სიხარულით ხვდებით უსაყვარლეს მეგობრებს, თუ თქვენი შვილები თვალებში შემოგციცინებენ, ყველაფერი ეს ნიშნავს ერთ რამეს: დროა თავი დაანებოთ ნარკოტიკებთან თამაშს!

ზღაპრები – ეს არის საშინელი ამბები, რომელთა მოყოლითაც ბავშვებს სათუთად ამზადებენ გაზეთების საკითხავად და ტელევიზორის საყურებლად.

## უკანასკნელ საათს



მოსკოვში გარდაიცვალა ლეგენდარული მფრინავი ალექსეი მარესევი. ხვალ იგი 85 წლის გახდებოდა.

გუშინ ისრაელის ქალაქ ნეთანიაში კამიკაძემ – ადამიანმა-ბომბამ თავი აიფეთქა. ეს მოხდა სავაჭრო ცენტრის შესასვლელში, რომელშიც ტერორისტი არ შეუშვა მომსახურე პერსონალმა, მისი, ტერორისტის, ამინდთან შეუფერებელი ჩაცმულობის გამო. დაიღუპა 7 ადამიანი, მათ შორის, კამიკაძეც. პასუხისმგებლობა ტერაქტზე აიღო ჰამაზის რადიკალური დაჯგუფების საბრძოლო ფრთამ.

საპასუხოდ, ისრაელის არმიამ პალესტინელების ქალაქი ნავრუზი დაბომბა.

## ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში: ღამით +9+14; დღისით +19+23.

მთაში: ღამით +5+10; დღისით +14+19.

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში: ღამით +8+13; დღისით +16+21.

მთაში: ღამით +4+9; დღისით +12+17.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა ელჭექით. ღამით +11+13; დღისით +19+21.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

## ლარის კურსი

19 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 2.9683 | ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.9372 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.0785 | ლარი |
| ევრო | 1 | 1.8318 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0714 | ლარი. |

## ინტერპანორამა



გუშინ თურქეთში ამ კვირის მანძილზე მეორე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი აფეთქდა.



საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, რომ პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ყაზახეთის ჰიმნი დაწერა.



გუშინ ჩეჩნეთში, კურჩელოის რაიონში სპეცოპერაციის ჩატარების დროს ორი ჩეჩენი მოთარეშე მოკლეს. მათ შორის, ერთი საველე მეთაური.





„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

პრეზიდენტის ფოსტიდან

## „კორეის რესპუბლიკის მთავრობისა და ხალხის სახელით გულწრფელად გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს“

საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისათვის გამოგზავნილ დეპეშაში კორეის რესპუბლიკის პრეზიდენტი კიმ დე ჩჟუნი ულოცავს საქართველოსა და მის ხალხს დამოუკიდებლობის დღეს.

„კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა ორმხრივი თანამშრომლობის ნიშნით მიმდინარეობს. გარწმუნებთ, ძალისხმევას არ დავიშურებთ მის განსამტკიცებლად“, — წერს კორეის რესპუბლიკის მეთაური.

საქინფორმი.

პარლამენტის თავმჯდომარე

## საქართველო–აზერბაიჯანის ურთიერთობა ყოველთვის გამორჩეულია

(პირველი გვერდიდან)

ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრაზე შეეხნენ იმ კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც ჩვენში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს უფრო მეტად შეუწყობს ხელს მშობლიურ ენაზე განათლების მიღებასა და საკუთარი კულტურის პოპულარიზაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში. სტუმარმა განაცხადა, რომ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს კარგად აქვთ შეგნებული სახელმწიფო ენის შესწავლის აუცილებლობა, რაც სახელმწიფო სტრუქტურებში მათ ჩაბმას უფრო გააქტიურებს.

„დღეს ნათელია, რომ აზერბაიჯანი, პრეზიდენტ ალიევის თაოსნობით ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც არა მხოლოდ მისი ქვეყნისთვის არის წარმატებული განვითარების საწინდარი, არამედ საქართველოსთვისაც, როგორც მეზობელი ქვეყნისთვის იგი მისაღები და ხელსაყრელია დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით“, — განაცხადა შეხვედრის დასასრულს ზურაბ ჟვანიამ.

საქინფორმი

გვწერენ

## მოვა დრო და ყველაფერი კარგად იქნება

საქართველოში უკანასკნელ პერიოდში მომრავლებული გაზეთების წყალობით, ხშირად უფრო მეტი ლანძღვა-გინება და უმადურება გვესმის, ვიდრე სამადლობელი და გამამხნევებელი სიტყვები, თუმცა ამ მხრივ თქვენი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ გამონაკლისს წარმოადგენს, ამიტომაც გადავწყვიტეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლობა გადავცეთ საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ პრეზიდენტს ქალბატონ ნანული შევარდნაძეს, ვიცე-პრეზიდენტებს და მთლიანად ასოციაციას იმ დიდი საქველმოქმედო აქციისათვის, რომელიც მოაწყო 21-25 აპრილს ჩვენს დედაქალაქში, მათ შორის, ისანი-სამგორის რაიონშიც. იმ დღეებში რაიონის სოციალურად დაუცველ 1000 ოჯახს, მრავალშვილიან დედებს, მარტოხელა უმწეო პენსიონერებს, ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ მოზარდებს გაეწია ჰუმანიტარული დახმარება.

თითოეულმა ოჯახმა 15 კილოგრამამდე პროდუქტი, პურის ფქვილი, რძის ფხვნილი, ლობიო, ზეთი, მაკარონი და სხვა პროდუქტები მიიღო, რაც ჩვენისთანა გაჭირვებული ოჯახებისათვის გარკვეული შეღავათია.

არ ვკარგავთ იმედს, რომ მალე დადგება ის დრო, როცა ჩვენი ოჯახები, ჩვენი შვილები შეძლებულ საქართველოში იცხოვრებენ და ჩვენი დღევანდელი ყოფა მხოლოდ მწარე მოგონებად შემოგვრჩება.

ქალბატონო ნანული!

დღეგრძელი იყავით ჩვენს პრეზიდენტთან და თქვენს ღვთითკურთხეულ ოჯახთან ერთად.

ვიტოვებთ იმედს, რომ თქვენ კვლავაც არ მოაკლებთ ზრუნვას, სითბოსა და ყურადღებას ჩვენს ოჯახებს.

**ღრმა პატივისცემით, ისანი-სამგორის რაიონში მცხოვრები ოჯახებისა და ქალების სახელით:**

**ნინო ჭელიძე — 12 შვილის დედა, ქეთევან ფანქველაშვილი — 12 შვილის დედა, თამილა სტურუა — 7 შვილის დედა, მარიამ ზურაბიშვილი — 4 შვილის დედა, ნინო ნატროშვილი — 5 შვილის დედა, მარინა მიღრიხანაშვილი — 3 შვილის დედა, აფხაზეთის ომში დაღუპულის ოჯახი, მზია ავალიშვილი — 4 შვილის დედა, ციცო ელბაქიძე — მარტოხელა დედა, მარიამ კეძერაშვილი — 4 შვილის დედა, დარეჯან შავლოხაშვილი — 3 შვილის დედა, II ჯგუფის ინვალიდი, დარეჯან კეკელიძე — უკიდურესად გაჭირვებული ოჯახი, მზია სურამელაშვილი — 3 შვილის დედა, ქეთინო ჩიტიაშვილი — მეუღლე ინვალიდი, ოთხი შვილის დედა, ბურანდა ფავლენიშვილი — 3 შვილის დედა, ირმა შუბაშვილი — 4 შვილის დედა, ერთი შვილი პირველი ჯგუფის ინვალიდი, კეძერაშვილი მოთა — I ჯგუფის ინვალიდი და სხვები.**

კანონმდებლები

## მინისტრთა კაბინეტის შემოღებაზე უმრავლესობა ჯერ ვერ თანხმდება

(პირველი გვერდიდან)

თუმცა, როგორც კულუარებში გახმოვანდა, უმრავლესობის წევრთა უმეტესობამ დახურულ სხდომაზე მინისტრთა კაბინეტის უფრო ძლიერ ინსტიტუტად ჩამოყალიბება მოითხოვა, ვიდრე ეს წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტით არის გათვალისწინებული. გარდა ამისა, უმეტესობამ იმ მუხლის მიმართ გამოიჩინა სიფრთხილე, რომელიც პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლებას ანიჭებს. ბუნებრივია, დეპუტატებს არანაირი სურვილი არ ექნებათ, ის ტოტი მოჭრან, რომელზეც სხედან. ამიტომაც ამ მუხლს ისინი მისი ბუნდოვნების მოტივით იწუნებენ და კანონპროექტში ამ საკითხის უფრო დეტალურად გაშიფვრას და დაზუსტებას ითხოვენ. უმრავლესობის წევრები ამ მხრივ იმ მოსაზრებისაკენ იხრებიან, რომ მას შემდეგ, რაც ეს ცვლილებები კონსტიტუციაში შევა, მოქმედ პარლამენტზე დათხოვნის შესაძლო პროცედურა არავითარ შემთხვევაში არ გავრცელდეს, შემდეგი მოწვევის პარლამენტს კი კისერი და კინჩხი უტეხია!

თუმცა, პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს, რა თქმა უნდა, ჰყავს მომხრეები უმრავლესობაში. ამ პროექტით კონსტიტუციას დაემატება ახალი თავი მთავრობის შესახებ, რომელშიც მთავრობის სტატუსი, სტრუქტურა, შექმნის წესი და უფლებამოსილებები ახლებურად ჩამოყალიბდება. პრეზიდენტი იქნება არა უშუალოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი (როგორც ეს აქამდე იყო, ანუ ამერიკული მოდელი), არამედ სახელმწიფოს მეთაური, რომელიც მონაწილეობას მიიღებს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში.

ახლადშექმნილი მთავრობა, ანუ მინისტრთა კაბინეტი იქნება კოლეგიური ორგანო, რომელსაც პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს. ამ უკანასკნელს დადგენილებებისა და განკარგულებების გამოცემის უფლება ექნება. რაც შეეხება მთავრობის ფორმირების წესს, იგი ასეთი სქემით წარიმართება: პრემიერ-მინისტრს დანიშნავს პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით, ხოლო მინისტრებს და მასთან გათანაბრებულ თანამდებობის პირებს, პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, — პრეზიდენტი.

პრეზიდენტი ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით მაინც ფართო უფლებამოსილებებს ინარჩუნებს. მას, როგორც ცალკეული მინისტრების, ასევე მთელი მთავრობის შემადგენლობის გადაყენების უფლება ექნება. ბიუჯეტის კანონპროექტთან დაკავშირებულ პროცედურებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას, თუმცა, პარლამენტისათვის ბიუჯეტის წარდგენამდე უნდა მოხდეს მისი შეთანხმება პრეზიდენტთან.

პარლამენტს უფლება ეძლევა უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, როცა მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო იქნება.

გარდა ამისა, ამ საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტით, ერთი ახალი დეტალი შემოდის. კერძოდ, პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღება ავტომატურად იწვევს სახელისუფლებო იერარქების ცვლილებას, ანუ, თუ აქამდე პრეზიდენტის ავადმყოფობის ან ქვეყანაში არყოფნის პერიოდში, მის მოვალეობას პარლამენტის თავმჯდომარე ასრულებდა, ცვლილებების შემდეგ სახელმწიფოს მეორე პირი პრემიერ-მინისტრი გახდება.

ამ ცვლილებების კანონპროექტის ყველაზე სადავო საკითხი, როგორც ვთქვი, პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის უფლებაა. ამ კანონპროექტით საქართველოს პრეზიდენტს უფლება ენიჭება დაითხოვოს პარლამენტი, თუმცა, ეს ნაწილობრივ გარკვეული გარემოებებით შეზღუდული იქნება. მაგალითად, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის მიმდინარეობის დროს და ა. შ. — სახელმწიფოს მეთაურს პარლამენტის დათხოვნა ეკრძალება.

დათხოვნის უფლება კი მაშინ ექნება, თუ, მაგალითად, პარლამენტი პრეზიდენტის მიერ შეთავაზებულ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურებს სამჯერ უარყოფს, ანუ პარლამენტი სამი თვის განმავლობაში კვლავ გამოაცხადებს მთავრობის უნდობლობას მას შემდეგ, რაც თავდაპირველი უნდობლობის ვოტუმს პრეზიდენტი არ გაიზიარებს, ან თუ პარლამენტი ნდობას არ გამოუცხადებს მთავრობას, მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე დააყენებს მთავრობისადმი ნდობის საკითხს. გარდა ამისა, პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება ექნება მაშინ, თუ საკანონმდებლო ორგანო ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ბიუჯეტის მიღებას ვერ მოახერხებს თანაც, ასეთ შემთხვევაში, პრეზიდენტს უფლება ეძლევა კანონის ძალის მქონე დეკრეტით დაამტკიცოს ბიუჯეტი.

ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ უმრავლესობა ამ ცვლილების ძირითად არსს, ანუ მინისტრთა კაბინეტისა და პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღებას კი ეთანხმება, მაგრამ მათი საბოლოო გადაწყვეტილება იმაზე იქნება დამოკიდებული, მოხდება თუ არა საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით მათი აზრის გაზიარება, ანუ პარლამენტის დათხოვნის საკითხის დახვეწა და პრეზიდენტის ძალაუფლების ხარჯზე პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების გაძლიერება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ უმრავლესობის წევრები საკონსტიტუციო ცვლილებების ასეთი სახით პარლამენტში დამტკიცებას მაინცდამაინც ოპტიმისტურად არ უყურებენ. მით უმეტეს, რომ ჯერ მთელმა უმრავლესობამ საყოველთაო მობილიზაცია რომც გამოაცხადოს, ოპოზიციის პულტების დაუხმარებლად ხმები მაინც არ ეყოფა, — რადგან უმრავლესობა დღეს უკვე „ის თამრო აღარ არის“ — ისინი 123-ღა დარჩნენ. არადა, საკონსტიტუციო უმრავლესობა — 156 დეპუტატია.

თანაც, საპარლამენტო ოპოზიცია სერიოზულად ხმაურობს და უმრავლესობას ამ კანონპროექტის „ჩაგდებით“ ემუქრება. პარლამენტში ოპოზიციური ფრაქციების კოალიცია უკვე შეკრეს და მმართველ პარტიას შესაძლო მხარდაჭერის სანაცვლოდ პირობებს უყენებენ, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარი არის სრულყოფილი კანონის მიღება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ, რომლის ძალითაც უნდა მოხდეს არა მხოლოდ საკრებულოების, არამედ მერებისა და გამგებლის არჩევა. უმრავლესობა კი, ამ საკითხზე საუბარს ჯერ თავს არიდებს. ოპოზიციას, შესაბამისად, კარგი საბაბი აქვს (რადგან იცის, ჯერ ამ პირობას არავინ არ დაუკმაყოფილებს) მინისტრთა კაბინეტის შემოღებას შეეწინააღმდეგოს და ამით გაამართლოს ოდესღაც მისი ინიციატივით აგორებული პრემიერის ინსტიტუტის შემოღების საკითხის ახლა უარყოფა. კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ კაბინეტის შემოღების იდეის თავდაპირველი ავტორები ტრადიციონალისტები იყვნენ და ახლა, როცა მათი ეს იდეა ხორცს ისხამს, უკვე უარზე არიან.

რაც შეეხება უმრავლესობას, მათ თავიანთ გუშინდელ სხდომაზე უკვე სამუშაო ჯგუფი შექმნეს, რომელიც კანონპროექტის დახვეწაზე იმუშავებს. და როგორც უმრავლესობის წევრთა უმეტესობა აცხადებს, კანონპროექტის ფორმა ან მნიშვნელოვნად შეიცვლება, ან...

ამ კანონპროექტის განხილვა, როგორც კონსტიტუციით არის დადგენილი, მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს. ეს პროცესი უკვე დაიწყო და სადღაც ივნისის შუა რიცხვებში, ზუსტად პარლამენტის საგაზაფხულო სესიის დასასრულს, საკანონმდებლო ორგანო დღის კასრს დაემსგავსება.

ბექა ჭედია.

მეგობრის ხელი

## კონტროლის პალატა ხვალინდელ დღეს ეწევა

(პირველი გვერდიდან)

ამერიკელი მეგობრების ტექნიკური დახმარება სამი ძირითადი პროექტის მიხედვით წარიმართება.

პირველი პროექტის ფარგლებში ამერიკის იურისტთა ასოციაციამ ჩვენს კონტროლის პალატას საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე არქივაციის მოდიფიცირებული კომპიუტერული პროგრამა შეუქმნა, ხოლო ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტმა, სისტემაში ამ ახალი პროგრამის ადაპტაციის მიზნით კომპიუტერული პროგრამისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეუძინა, რომელიც უახლოეს დღეებში დამონტაჟდება.

მეორე პროექტის ფარგლებში ამერიკის იურისტთა ასოციაცია კონტროლის პალატას შეუმუშავებს რეგლამენტის, ეთიკის კოდექსისა და ფუნქციონირების თანამედროვე სტანდარტებს.

მესამე პროექტის საფუძველზე კონტროლის პალატის თანამშრომელთა ჯგუფს (აუდიტორებსა და ინსპექტორებს) პილოტური ტრეინინგ-პროექტის ფარგლებში პროცესული სწავლება ჩაუტარდათ. ეს პროექტი თანამშრომელთა სამუშაო უნარ-ჩვევების ამაღლებას და სისხლის სამართლის ძიებისათვის გადასაცემ საქმეთა სტანდარტების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული „კონტროლის პალატის აუდიტორებისა და ინსპექტორების საპროცესო მომზადების“ პილოტური პროგრამის ფარგლებში, ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ინტენსიური სწავლება მიმდინარეობდა. იგი ტრადიციული ხასიათისა როდი იყო, დისკუსიებზე, საერთო მაგალითებზე, არსებული საკანონმდებლო ბაზის განხილვაზე, ამერიკელებისა და ჩვენი გამოცდილების ანალიზზე აგებული მუშაობა გახლდათ.

სწავლების შედეგების საფუძველზე, კონტროლის პალატაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულს ენიჭება „პროგრამული რევიზია-აუდიტის ჩატარების პროცესში აღმოჩენილი სისხლის სამართლის ნიშნების მქონე საქმის განვითარების უფლებამოსილება“. კონტროლის პალატის ასეთი ფუნქციების მქონე ოპერატიული რგოლი გამოძიებას გენერალური პროკურატურის ფინანსურ-ეკონომიკური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალურ ჯგუფთან ერთად წარმართავს, რომელიც გენერალური პროკურორის ბრძანებით შეიქმნა პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში და რომლის შემადგენლობაშიც შედიან განსაკუთრებით მძიმე საქმეთა გამომძიებლები და მათ ხელმძღვანელობს პროკურორი.

ერთობლივი ჯგუფის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება კორუფციასთან ბრძოლა იქნება.

პილოტური ტრეინინგ-პროექტი საფუძველს ჩაუყრის გაფართოებული ტრეინინგების სასწავლო პროგრამას, რაც კონტროლის პალატის სასწავლო ცენტრის მნიშვნელოვან მიმართულებად გადაიქცევა სამომავლოდ. ეს საქმიანობა უპასუხებს საერთაშორისო სტანდარტებსა და პალატის მიზნებს: გაუმჯობესდეს მუშაობის ხარისხი, ჩამოყალიბდეს ისეთი სტანდარტები, რომლებიც პალატის აუდიტორებსა და ინსპექტორებს დაეხმარება, უკეთ გაართვან თავი დაკისრებულ მოვალეობას.

ითქვა იმის შესახებაც, რომ აშშ იუსტიციის დეპარტამენტმა, დახმარების ფარგლებში, კონტროლის პალატის ყოველკვარტალურ ჟურნალს „სახელმწიფო და კონტროლს“ (რედაქტორი-კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე, ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრი თამარ ბიჭიკაშვილი) გადასცა კომპიუტერული ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ჟურნალი ადგილზე აიწყობა და დაკაბადონდება.

ბატონმა სულხან მოლაშვილმა, ყველა თანამშრომლის სახელით, მაღალი შეფასება მისცა ამერიკის იურისტთა ასოციაციისა და იუსტიციის დეპარტამენტის თანამშრომლობას ერთობლივი ინსტიტუციური და სტრუქტურული განვითარების პროგრამის გეგმის ჩამოყალიბებისა და მისი განხორციელების საქმეში.

გაწეულ მუშაობაზე ილაპარაკეს და ქართველ კონტროლიორებთან საქმიანი ურთიერთობის გამო კმაყოფილება გამოთქვეს ამერიკის იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა საქართველოში ლაურენს დე ბეკმა და იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა საქართველოში ჯეკ გლისონ III-ემ.

ბატონმა ლ. დე ბეკმა სერტიფიკატები გადასცა პილოტური ტრეინინგ-პროექტის ფარგლებში პროცესული სწავლების აქტიურ მონაწილეებს: გია სალუქვაძეს, ზვიად ვემაპიძეს, ლაზარე ომაძეს, ლელა ბუცხრიკიძეს, გოჩა ჩაგელიშვილს, თამაზ სტურუას, ზურაბ მელაძეს, მირზა ჯულაყიძესა და რომან ბოკერიას.

ალექსანდრე ალექსიძე.

ბიზნეს ამბები

### სატენდერო პირობები მალე გამოცხადდება

სააქციო საზოგადოება „თბილგაზის“ სატენდერო პირობები ივნისის დასაწყისში გამოცხადდება.

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კონტრაქტორმა ფირმამ, PEA CONSULTING, რომელიც გასული წლის ნოემბრიდან „თბილგაზში“ მენეჯმენტს ახორციელებს, საპრივატიზაციო პირობებზე რამდენიმე დღეა დაასრულა მუშაობა და თბილისის საკრებულოს გადასცა განსახილველად.

ტენდერის პირობები ჯერჯერობით კონფიდენციალურია. თუმცა, სარწმუნო წყაროს ცნობით, ტენდერის პირობების მიხედვით, „თბილგაზში“ სავალდებულო ინვესტიცია 75 მლნ ლარს შეადგენს. ამასთან, ტენდერში გამარჯვებული კომპანია ვალდებული იქნება გადაიხადოს „თბილგაზის“ ყველა დავალიანება, რამაც 50 მლნ ლარს მიაღწია.

### ესპანელი ბიზნესმენები ცოცხლები არიან

შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ თბილისში მყოფი საერთაშორისო ინტერპოლის პრეზიდენტი ჰესუს ესპიგარეს მირა დაარწმუნა, რომ შარშან ნოემბერში გატაცებული ესპანელი ბიზნესმენები ცოცხლები არიან, მაგრამ მათ გასათავისუფლებლად ოპერაციის ჩატარება არ შეიძლება, ვინაიდან მძევლების სიცოცხლეს საფრთხე შეექმნება.

მინისტრი ირწმუნება, რომ ესპანელების გამოსახსნელად სამართალდამცავები მუშაობას მომავალშიც განაგრძობენ და წარმატებით დაასრულებენ.

ვინ არის ვინ

## გამარჯვება თუ გვინდა, დაპირისპირებებს არ უნდა შევუშინდეთ

(პირველი გვერდიდან)

დღეს ბატონი კობა სახელმწიფო მინისტრის მოადგილეა, ამავე დროს პრეზიდენტის ბრძანებულებით ახლახან დაინიშნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობაში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლად.

ხასიათი მტკიცე აქვს, საუბარი ლოგიკური, წინასწარი დაპირებები არ უყვარს, ამბობს, ხშირად ამას ტრაბახის ფორმა ეძლევაო, მიაჩნია, რომ ადამიანი თავისმა საქმემ უნდა გამოაჩინოს და მსჯელობაც შედეგების მიხედვით უნდა გაიმართოსო.

კორუფციას იგი საქართველოს ეკონომიკის განვითარების ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად აღიქვამს, ამიტომ, აპირებს ენერგიისა და შინაგანი ძალის დაუზოგავად იმუშაოს და მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება ანტიკორუფციულ ბრძოლას მოახმაროს.



„თორმეტკაცას“ მთლიან შემადგენლობას ჯერ კარგად არ ვიცნობ, რადგან ეს-ესაა ჩამოვედი აშშ-დან, — ამბობს ბატონი კობა. — მაგრამ ამ კომისიის მრავალფეროვანი სპექტრი მაძლევს იმედიანი განწყობილების საფუძველს, მით უმეტეს, ბატონ მირიან გოგიაშვილს კარგად ვიცნობ, ჩვენ აშშ-ში ერთდროულად ვმუშაობდით. ყოველთვის ვცდილობ, სამართლიანი გადაწყვეტილება მივიღო, და არავის გავლენის ქვეშ არ მოვექცე. კორუფციასთან საბრძოლველად, თუ საჭირო იქნება, არავითარ დაპირისპირებას არ მოვერიდები.

ბატონი კობა საქართველოს მომავალს იმედიანად უყურებს, ურომლისოდაც, მისი აზრით, არანაირ მუშაობას ფასი არ ექნებოდა.

პრეზიდენტი ენდობა ახალგაზრდა თაობას. ვენდოთ ჩვენც.

ნაზი იმნაიშვილი.

დერეფანი

## „ტრასეკას“ სატრანსპორტო დელტა“ ბათუმიდან დაიწყება

(პირველი გვერდიდან)

გამოჩნდა კიდევ სივრცე, ესოდენ რომ სჭირდება ნავსადგურს და აქ არსებულ საზღვაო საბორნე კომპლექსს, რომლის მომსახურებაც მრავალი სარკინიგზო მანიპულაციის შესრულებას მოითხოვს. — უკვე 900 მეტრამდე რკინიგზის ხაზი შევცვალეთ, ახლა კი მთავარი ხაზის გასასვლელ ხაზთან მიერთებაზე ვმუშაობთ, რაც 400-მეტრიან მონაკვეთს შეიცავს — მეუბნებიან ნავსადგურის სამშენებლო საწარმოო დარგის დირექტორები მერაბ დოლიძე და ნიკა ჩარკვიანი — მალე მესამე ხაზსაც მივუერთებთ მეცხრე ნავმისადგომს, რაც 50 პროცენტით გაზრდის გამტარუნარიანობის მაჩვენებელს ნავსადგურის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ მთელი ეს სამუშაო საკუთარი ძალებით კეთდება და ჩვენი რკინიგზას სპეციალისტების შეფასებით არაფრით ჩამოუვარდება მიღებულ სტანდარტებს. როგორც აქ მითხრეს, წინა დღით თავად ბატონი აკაკი ჩხაიძეც ყოფილა ბათუმში და საგულდაგულოდ მოუვლია მთელი ნავსადგური.

— ასეთი თანადგომა, რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობისაგან, არასოდეს ჰქონია ჩვენს ნავსადგურს — საუბარში გვიერთდება ნავსადგურის უფროსი ჯამბულ ნინიძე, — რაც ბევრ პრობლემას გვიხსნის და დიდად გვიწყობს ხელს იმ შედეგების მიღწევაში, რომლითაც ასე გამოირჩევა ბათუმის ნავსადგური ბოლო წლებში.

ბატონი ჯამბული მისახელებს ციფრებს: შარშან ბათუმის ნავსადგურმა გადაამუშავა 7 მილიონი ტონა ტვირთი, რაც ორჯერ მეტია წინა წლის მაჩვენებელზე, 23 მილიონამდე გაიზარდა შემოსავლებიც, საიდანაც 8 მილიონი მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტმა, წელს კიდევ უფრო აღმავალი რიგმით იზრდება ტვირთბრუნვის მაჩვენებელი. მართალია, ჯერ კიდევ ჩამორჩენით მშრალი ტვირთების დარგში, მაგრამ გვაქვს იმედი, რომ ამ ხარვეზს მომავალ თვეებში გადავფარავთ, ხოლო რაც შეეხება წლევანდელ საბიუჯეტო შენატანებს, წელს მას დაახლოებით 30 პროცენტით გავზრდით.

უახლოეს თვეებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდება „ტრასეკას“ სივრცეში — მწყობრში ჩადგება აქტაუს ნავსადგურის ახალი საზღვაო-საბორნე გადასასვლელი, რომელიც მნიშვნელოვნად დატვირთავს ტრანსკავკასიურ სარკინიგზო მაგისტრალსა და საქართველოს ნავსადგურებს. მარტო ჩვენი ნავსადგური, — მეუბნებიან მასპინძლები — 3 მილიონი ტონით ვარაუდობს ტვირთბრუნვის გაზრდას. ამ მიზნით ბათუმში უკვე იყვნენ აქტაუს სამარკეტინგო და კომერციული დირექტორები, უახლოეს დღეებში ჩვენს სპეციალისტებთან ერთად ბათუმელებიც ვიქნებით აქტაუში, სადაც პრაქტიკულად დავგეგმავთ მომავალ თანამშრომლობას.

აი, ასეთია უახლოესი პერსპექტივა... ამასობაში კიდევ ერთი სერიოზული „სიმძლავრე“ შეემატება ბათუმის ნავსადგურს — ეს იქნება დიდი საკონტეინერო ტერმინალი, რომელსაც აქ აშენებს ბათუმის საზღვაო-საბორნის კომპლექსის ამშენებელი ცნობილი თურქული ფირმა „ბენერ არდა“.

**— როგორი იქნება ეს ტერმინალი?** — ვეკითხები ამ ფირმის ჯგუფის გენერალურ კოორდინატორს რაუფ სუჯადინოვს.

— ეს მრავალდარგობრივი უმძლავრესი ტერმინალი იქნება, რომელიც განლაგდება 11 ათას კვადრატულ მეტრზე და ყველაზე დიდ კონტეინერმზიდებსაც კი მიიღებს. მაისის ბოლოსთვის მწყობრში ჩავაყენებთ სამასმეტრიანი ნავმისადგომის პირველ ას მეტრს, სადაც ერთი შედარებით პატარა, ხოლო ერთი დიდი პორტალური — 40-ტონიანი ამწე დამონტაჟდება. ივნისის ბოლოს კი, — განაგრძობს ბატონი რაუფი, — ნავმისადგომს კიდევ 50 მეტრი დაემატება, რაზეც მიშენდება რკინიგზის ხაზიც. ასე რომ, ივლისისათვის უკვე ამუშავდება ნავმისადგომის ნახევარი თავისი სამი ამწითა და რკინიგზის ხაზით.

როგორც ჩვენი საუბრიდან ვასკვენი, ბათუმის ეს მრავალდარგოვანი ტერმინალი ერთობლივად შენდება თურქეთის კომპანია „ბენერ არდასა“ და ქართული „ალორძინება-ბ-ს“ ურთიერთთანამშრომლობით. პროექტის ღირებულება, ყველა სამუშაოს ჩათვლით, 13 მილიონ დოლარს აღწევს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბიუჯეტი ერთ თეთრსაც არ ხარჯავს ამ მშენებლობაზე. წილობრივი პროპორცია თანაბარია პარტნიორებს შორის, რომლებიც თანაბრად გაინაწილებენ მოგებასაც.

ვაკვირდები მშენებლებს, რომლებიც გამალებით მუშაობენ და ვხედავ, როგორ სტაცებენ ისინი ფართობს ზღვას. ახალი ნავმისადგომი, რომლის სიგრძე 300 მეტრი იქნება ძირითადად სპეციალურ ხიმინჯებზე განლაგდება — „ასეთი ტექნოლოგიით სანავსადგურო ნაგებობების მშენებლობა ფართოდ გამოიყენება თურქეთის პრაქტიკაში — მეუბნება ბატონი რაუფი და განაგრძობს, — უფრო მეტსაც გეტყვით. სწორედ აქ, ბათუმის აკვატორიაში ვაპირებთ მომავალი ნავსადგურის მშენებლობასაც, რომელიც ჩვენი კომპანიის მიერ შემუშავებული ახალი, მაგრამ კარგად აპრობირებული ტექნოლოგიით აშენდება.

ბატონი რაუფი მაჩვენებს ბათუმის ახალი ნავსადგურის პერსპექტიულ პროექტს, რომელიც, მართლაც, სერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი მასშტაბითა და საინჟინრო გადაწყვეტით.

ეს, როგორც იტყვიან, მომავლის საქმეა. ამიტომაც ვცდილობ ჩვენი საუბარი დღევანდელ პრობლემაზე, კერძოდ, ბათუმის საზღვაო-საბორნე გადასასვლელის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადავიტანო. ჩვენ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმზე მეტი გავაკეთეთ. ავაშენეთ მსოფლიოში საუკეთესო საბორნე გადასასვლელი, მაგრამ ჯერჯერობით ამ მშენებლობამ არ გაგვიმართლა, რისი მიზეზიც, ჩვენი აზრით, ფოთში გახსნილი საბორნე გადასასვლელია. არ ვიცი, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ერთ პატარა სივრცეში მეორე ბორნის მშენებლობა, რაც ბათუმის საბორნე გადასასვლელს პრაქტიკულად უფუნქციოდ ტოვებს, მაშინ, როდესაც ჩვენი ბორნის გადასასვლელი ხიდის უნიკალურობა დღეში ორი ბორნის მიღების შესაძლებლობას გვაძლევს. ამჟამად კი ვიღებთ კვირაში ერთს, იმასაც მცირეოდენი ტვირთით, რაც მიზერულ შემოსავალს იძლევა. — ისე არ გამიგოთ — განაგრძობს ბატონი რაუფი, — თითქოს ჩვენ ვებრძვით ფოთს, როგორც კონკურენტს, პირიქით, ამ სიტუაციაში ორივე მხარე ვალდებული ვართ ვითანამშრომლოთ და ერთად გამოვიდეთ შექმნილი სიტუაციიდან. არ გაგიკვირდეთ და, „ტრასეკას“ დიდი პროექტიდან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია ეს ნონსენსი 40-50-კილომეტრიან რადიუსში — ორი საბორნე გადასასვლელის არსებობა, ხეირადაც კი გვექცეს, თუ ყველა ინსტანცია, მათ შორის, ევროგაერთიანების „ტრასეკას“ პროგრამის ხელმძღვანელობა, შეასრულებს დანაპირებს და დროულად დაიწყებს ჩვენი ბორნის ევროპულ ლიანდაგზე გადასაყვანად დაგეგმილ სამუშაოებს, რადგან უკვე არსებობს გადაწყვეტილება ამ მიზნისათვის 2 მილიონ ეკიუს (საჭირო 4 მილიონის ნაცვლად!) გამოყოფისა და ტენდერის ჩატარების შესახებ, რაც, ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზე რჩება. ამასობაში კი გარბის დრო, რომელიც მეტად ძვირად ფასობს, განსაკუთრებით ახლა, როცა მწყობრში დგება აქტაუს საბორნე გადასასვლელი, რაც თავისთავად ტვირთების შესაძლო მოზღვავებას გვპირდება ბათუმსა და ფოთში.

— ეს საქმე უნდა დაჩქარდეს — ამ შემთხვევაში, როგორც „ტრასეკას“ კონკურენტუნარიანობის ამაღლების სამთავრობო საუწყებათაშორისო კომისიის წევრს, მომმართავს რაუფ სუჯადინოვი.

მიუხედავად ამისა, ბათუმის ნავსადგურისა და თურქული კომპანიის ხელმძღვანელები უკვე ამუშავებენ პროექტებს არსებული მძიმე სიტუაციიდან გამოსასვლელად. გადაწყვეტაც გამოინახა: შეიქმნება ორი სამკუთხედური მარშრუტი — ბათუმის საბორნე გადასასვლელი, რომელიც ევროპული სალიანდაგო სისტემის ბორბლებით იქნება აღჭურვილი, იმოძრავებს მარშრუტით: რუმინეთი-თურქეთი-საქართველო, ხოლო ფოთის გადასასვლელი, საბჭოური სისტემის ბორბლებით მოემსახურება ბულგარეთ-უკრაინა-საქართველოს მარშრუტს.

თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ პერსპექტივას, რის თაობაზეც წერილის დასაწყისში მოგახსენეთ, მართლაც, ადვილი შესაძლებელია „მარი“ ხეირად გვექცეს და „ტრასეკას“ სატრანსპორტო დელტამ“, რომლის შექმნასაც ასე ელოდება ჩვენგან ევროკავშირი, საგულისხმო წვლილი შეიტანოს აღმოსავლეთ-დასავლეთის ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ეს უსათუოდ ასეც მოხდება!

გია ჭელიძე.





ავტორის ფოტო

### მოსალოდნელია ტარიფის გაზრდა

ელექტროენერგიის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ელიზბარ ერისთავის განცხადებით, თბილისში ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდაა მოსალოდნელი.

გუშინ გამართულ პარლამენტის ენერგოკრიზისის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ჩუბინაშვილმა განაცხადა, რომ თავის დროზე სატენდერო კომისია არ უნდა დათანხმებულიყო „კაბალური ხელშეკრულების ამ კაბალურ მუხლს“, რომლის მიხედვით დასაშვები ხდება ტარიფის მომატება.

კომიტეტის სხდომაზე სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ განაცხადა, რომ იგი დედაქალაქში ელექტროენერგიაზე ტარიფის მომატების წინააღმდეგია.

### იზრდება ტვირთების ნაკადი

საქართველოს საავტომობილო გზების რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელების შედეგად ტრასეკას პროექტის ფარგლებში, ექსპერტთა მონაცემებით, ტვირთბრუნვა 1,5-2–ჯერ გაიზრდება. 2001 წლის პირველ კვარტალში, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, გადაზიდული ტვირთის მოცულობამ 3,8 მილიონი ტონა შეადგინა. შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საავტომობილო ტრანსპორტმა გადაზიდა 5,6 პროცენტით მეტი ტვირთი.

შესაბამისად გაიზარდა მგზავრთა გადაყვანის მოცულობაც.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პროკურატურა

# შევბუღლება გოჭის ფასად

### ამნისტიამ 3000-მდე ჭაბუკი იხსნა, თუმცა დეზერტირობის ტემპი მაინც არ დაეცა

[illegible]

ბადრი ბიწაძე, მთავარი სამხედრო პროკურორი: — 2000 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" კანონის ამოქმედებამდე საქართველოს სამხედრო პროკურატურის ორგანოების წარმოებაში სამხედრო ნაწილების თვითნებურად დატოვებისა და დეზერტირობის ფაქტზე იმყოფებოდა 859 მასალა და 2792 სისხლის სამართლის საქმე. აქედან, დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარი ითქვა 520 მასალაზე, ხოლო წარმოებით შეწყდა 1744 სისხლის სამართლის საქმე. გარდა ამისა, თვით სამხედრო ნაწილების მოკვლევის სამსახურებმა სისხლის სამართლის საქმე არ აღძრეს 490 მასალაზე, რომელიც დაამტკიცეს რეგიონულმა სამხედრო პროკურატურებმა. მათ სამოქმედო ტერიტორიებზე კი სასამართლოებმა წარმოებით შეწყვიტეს სისხლის სამართლის 107 საქმე. საბოლოო ჯამში ამნისტია სულ შეეხო 2990 პირს. ეს შთამბეჭდავი ციფრებია.

აღსანიშნავია, რომ 1996 წლის 18 სექტემბრის „ამნისტიის შესახებ" კანონით ისარგებლა მხოლოდ 589 პირმა. თუმცა ამ სფეროში მიღწეულ რაიმე წარმატებებზე საუბარი ჯერჯერობით ძალზე ნაადრევია. მთავარი სამხედრო პროკურატურის დანაყოფებში სამხედრო ნაწილებიდან უკვე შემოსულია 501 მასალა სამხედრო ნაწილების თვითნებურად დატოვების ფაქტზე. თუ ასე გაგრძელდა, წლის ბოლომდე დაახლოებით 3.000 დეზერტირი გვეყოლება და კიდევ ერთი ამნისტიის გამოცხადება დაგვჭირდება. ჯარში ისევ უძნელესი საყოფაცხოვრებო პირობებია, ჭირს კვება, ჩაცმა, სამედიცინო მომსახურება. ამასთან ჯარში ისევ იწვევენ უღარიბესი ოჯახების შვილებს, არის კორუფცია, ქრთამის მიცემა. ვამხილეთ კომისარიატების, სამხედრო ნაწილების მუშაკები, მაგრამ საერთო ვითარება მაინც დამაფიქრებელია. ჯარი უნდა დაფინანსდეს წესიერად, თორემ ვერც კორუფციას მოვუელით და ვერც დეზერტირობას.

ბელა ბეჟუაშვილი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე: — დასამალი არაა, ჯარში ფინანსური პრობლემებია. მალე წვევამდელებთან დაკავშირებით კანონში სიახლეები იქნება. გადავადება, მაგალითად, ფასიანი გახდება. ეს ერთის მხრივ, კორუფციას შეამცირებს, მეორეს მხრივ კი, ბიუჯეტს გარკვეულ თანხას შემატებს.

ნოდარ ოქრუაშვილი, მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილე: — ამნისტია ჰუმანური აქტია, მაგრამ ახალგაზრდები არ უნდა მივაჩვიოთ ამხელა შეღავათებს. ზოგი რვაჯერ დავაბრუნეთ სამხედრო ნაწილში და მეცხრედ მაინც გაიქცა. პოლიციაც გაქცეულებს ცუდად ეძებს. პოულობს 2-3 წლის შემდეგ, როცა გაქცეული ან უკვე სტუდენტია ან უკვე დაოჯახებულია. მერე მას ხელს ვეღარ ვახლებთ.

ამასთან, ცუდი მომარაგების გამო ჭირს ჯარის გამოკვება. ნაწილის მეთაურები ბიჭებს შინ უშვებენ და იქიდან გოჭებს, ინდაურებს, ფქვილს, ყველს, ღვინოს, არაყს აზიდვინებენ. ამის გამო ერთ-ერთი ნაწილის მეთაური გაასამართლეს და თავისუფლება 5 წლით აღუკვეთეს. ისიც სათქმელია, რომ სასამართლოები დეზერტირებს სწყალობენ და მათ, [illegible] წავა ისევ ის, ვინც დღეს მიდის.

რამაზ ქლენტი, გენერალური პროკურატურის სამმართველოს უფროსი: — რა ხდება? ჯარში ღარიბები მიდიან და მერე ისევ მათ ვასამართლებთ? თვით სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი კანონი, ისეთი მექანიზმი, რომ მისმა ჩინოვნიკმა შვილი ჯარში გაუშვას. მერე აღარც კორუფცია იქნება და აღარც ელიტარული ოჯახებიდან შვილების გადამალვა.

დეზერტირობის საკითხს ლამის ყოველწლიურად იხილავს საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგია. არც ამნისტიები გვაკლია. ვითარება კვლავ უძნელესი რჩება. გაწვევის ვადა 25-დან 27 წლამდე გავზარდეთ, ჯარის რაოდენობა შევამცირეთ, და ამ შემცირებულ კონტინგენტსაც ვერ ვავსებთ. უმაღლესი სასწავლებლის ცნობა თურმე 50 ლარი ღირს. მიიტან და ჯარიდან თავისუფალი ხარ. რა, ეს მაინც ვერ მოვაგვარეთ? ცნობაც კორუფციის წყაროდ ვაქციეთ? ამასაც დაფინანსება სჭირდება? ვთქვათ, რომ იმსახუროს ყველამ, ცხადია, ჯანმრთელმა ახალგაზრდობამ. არ იმსახურებს და კარიერაში, სახელმწიფო სამსახურში ხერგილები გაუჩნდება. ფული არც ამის გადაწყვეტას სჭირდება. მაშ, რაღას ვწელავთ?

და ბოლოს, მშიერ ჯარში არც რიგითი იმსახურებს და არც ოფიცერი. ამ დღეებში იარაღის ვაჭრობისათვის თავდაცვის სამინისტროს მუშაკთა დაპატიმრება ხელმოკლეობას უფრო უკავშირდება. ხელმოკლეობას უკავშირდება ამხელა დეზერტირობაც. მაშინ, გავიწვიოთ იმდენი, რამდენის რჩენაც შეგვიძლია. 100-ათასიან მშიერს, ისევ 10-ათასიანი მაძღარი სჯობია. თუ ჯარისკაცს მუხლი და მაჯა უკანკალებს, მასზე იმედის დამყარება ბლეფია!

ბონდო გულიაშვილი.

## პოლიცია

# 100-ათასიანი მილი 1500 ლარად გაყიდა

**არავინ უწყის, რა ზარალი მიაყენა ამ ჯართომანიამ ქვეყანას. ერთი კი ცხადია: — იპარავენ რაღაც 10, თუნდაც 100 - ლარიან საგანს, ქვეყანას კი მილიონიან საქმეს უფუჭებენ. ამასთან, ხალხსაც დიდ საფრთხეში აგდებენ. ასეთი შემთხვევები ხშირია ელექტროგადამცემ ხაზებზე, რკინიგზის მაგისტრალებზე, გაზსადენებზე...**

ახლახან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის უფროსს როლანდ ლიპარტელიანს მაგისტრალური გაზსადენის დატაცების გამო წერილობითი განცხადებით მიმართა საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გოცირიძემ. სწორედ ეს განცხადება გახდა პოლიციისათვის მოკვლევის ჩატარების საბაბი. მოკვლევის შემდეგ კი ამ დეპარტამენტის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს აღმოსავლეთ საქართველოს განყოფილების თანამშრომლებმა დიდი ოდენობით სხვისი ქონების ქურდობის ფაქტზე ამხილეს ვინმე გოჩა ბარბაქაძე.

გოჩა ბარბაქაძეს, რომელიც დღეისათვის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს ბრძანებით დაპატიმრებულია, ბრალად პატარა ამბავი არ ედება. მან მიწიდან ფარულად ამოთხარა, დაჭრა და ჯართის სახით გაყიდა 1220 - მილიმეტრიანი სპეციალური ფოლადის შემცველი 40 ტონა მილი. მერე ჯართადქცეული მილი 1500 ლარად მიჰყიდა რუსთაველში, რკინიგზის ე.წ. „გილდიას" ჩიხში არსებულ შპს „თემის" წარმომადგენელ დავით ჭელიძეს. საბალანსო ღირებულებით ზარალმა შეადგინა 102.235 ლარი. გაზსადენი მილი ეკუთვნოდა „საქგაზის" სატრანსპორტო კომპანიის მაგისტრალური გაზსადენის ექსპლუატაციის დეპარტამენტს, რომელსაც ტრასა გაჰყავს გარდაბნის რაიონის სოფელ სამგორის ტერიტორიაზე. მაგისტრალი ჯერ დაუმთავრებელია. შესრულებულია სამუშაოს 60 პროცენტი. მილი, რომელიც გოჩა ბარბაქაძემ ამოთხარა და ჯართად აქცია, ექსპლუატაციაში გაშვებული არც გახლდათ. მას ხალხი ელოდა.

გოჩა ბარბაქაძემ მუშახელი და ტექნიკა დაიქირავა და მათი მეშვეობით მოახერხა ამ მილის ამოთხრა და დაჭრა. დაქირავებული მუშახელისა და ბრალდებულ გოჩა ბარბაქაძის დანაშაულებრივი კავშირი ჯერჯერობით არ იკვეთება. თუმცა ვნახოთ, მომავალში რა დადგინდება. სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც აღიძრა დიდი ოდენობით სხვისი ქონების უკანონოდ დაუფლების მუხლით, სატრანსპორტო საგამოძიებო სამმართველო იძიებს. 1500 ლარი მართლაც ჩალის ფასია, სასამართლომ კი ეს თანხა მილის დამტაცებელს შეიძლება გაუასმაგოს, რადგანაც საბალანსო ღირებულებით ზარალი მართლაც დიდია. იქნებ გოჩა ბარბაქაძეც ცოდოა, მაგრამ რა ქნას სახელმწიფომ? როდემდე ითმინოს ლითონის მოტრფიალეთა თავაშვებულობა და განუკითხაობა?

გიორგი ღვინიაშვილი.

## ფაქტი

**თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობის გადასახადისათვის თავის არიდების ფაქტზე, ამხილეს შპს „დასავლეთი და აღმოსავლეთის" დირექტორი ბორის ჭკუასელი.**

**მას ბრალად ედება ის, რომ 2000 წლის ნოემბერ-დეკემბერში გაყიდა 54513 ლარის ღირებულების სხვადასხვა სამშენი მასალები და ბიუჯეტთან ანგარიში არ გაუსწორებია.**

**ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა: ამ საზოგადოების დირექტორს თავი აურიდებია ბიუჯეტის კუთვნილი — 11529 ლარის გადახდისათვის. ბორის ჭკუასელს სულ, ჯარიმა-საურავებთან ერთად, ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 14747 ლარი. შპს „დასავლეთი და აღმოსავლეთის" დირექტორის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს გადაეცა.**

**საქინფორმი.**

## გაცნობა



# ბავშვს სკოლის მერხიდანვე უჩიჩინე კორუფციის მავნეობა!

(პირველი გვერდიდან)

ამერიკელმა პროფესორმა ხაზი გაუსვა სასკოლო განათლების როლს იმ საქმეში, რომ ახალგაზრდობას, სამართლებრივი სწავლების შედეგად, აეაცილოთ სერიოზული კრიმინალური დანაშაული და კორუფციის ატმოსფერო. გამოჰყო, აგრეთვე, მასმედიის როლი თანამედროვე საზოგადოებაში. მასმედია ის ძლიერი ინსტიტუტია, რომელსაც ძალუძს დაუპირისპირდეს დანაშაულსა და კორუფციას და, ამასთან, გააძლიეროს კანონიერების კულტურა.

ეს შეხვედრა, რომელსაც გაცნობითი ხასიათი ჰქონდა, ფაქტობრივად, დისკუსიაში გადაიზარდა. ბატონმა გოდსონმა ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვას უპასუხა, დასასრულს კი მადლობა გადაუხადა მათ საუბრის თემისადმი ძალზე სერიოზულ და გულმტკივნეული დამოკიდებულებისა და გამოთქმული საყურადღებო მოსაზრებებისათვის.

ავთანდილ კვინტრაძე.

## გადასახადი

# ყელზე დამდგარი ფუნთუშა

საქართველოს კონტროლის პალატის უფროსის 2000 წლის 18 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე, კონტროლის პალატის მეოთხე დეპარტამენტის წამყვან ინსპექტორებს ნუგზარ ნაჭყებიას და დიმიტრი ბიჭიკაშვილს დაევალათ, შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციების მეშვეობით, შეემოწმებინათ რამოდენიმე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ შპს „თბილისის მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟიდან", 1997-2000 წლებში შესყიდული ხორბლის შემოსავალში აღების, გადამუშავების, რეალიზაციის და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების რეალობა. ერთ-ერთ საზოგადოებად ამ ბრძანებაში ფიგურირებს შპს „კუნძიკა".

ამ საზოგადოების საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს მარცვლეული კულტურების შესყიდვა-გადამუშავება და პურ-ფუნთუშეულის ნაწარმის წარმოება-რეალიზება.

მართლაც, ნ. ნაჭყებიამ, დ. ბიჭიკაშვილმა და გლდანი-ნაძალადევის საოლქო საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა კონტროლის განყოფილების მთავარმა საგადასახადო ინსპექტორმა ვ. ჩიტაიამ, 2000 წლის დეკემბერ-2001 წლის იანვარში შეამოწმეს შპს „კუნძიკას" მიერ შპს „თბილისის მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟიდან" 1997-2000 წლებში შესყიდული ხორბლის შემოსავალში აღების, გადამუშავების, რეალიზების და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების რეალობა.

2001 წლის 17 იანვარს შედგა შემოწმების აქტი. მასში დაფიქსირებულია, რომ შპს „კუნძიკას" შპს „სახელმწიფო მარეგულირებელი საბჭოდან" მიღებული აქვს სულ 70,8 ტონა ხორბალი, რამიც გადახდილი აქვს 24 200 ლარი. ამ აქტით შპს „კუნძიკას" ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხა არ დაერიცხა.

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონმა ოპერატიული ღონისძიებების შედეგად მოიპოვა შპს „კუნძიკას" მიერ შპს „სახელმწიფო მარეგულირებელი საბჭოდან" ხორბლის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები. გაირკვა, რომ შპს „კუნძიკას" მიერ შპს „სახელმწიფო მარეგულირებელი საბჭოდან" შეძენილი ხორბლის რაოდენობა აღემატებოდა 2001 წლის 17 იანვრის შემოწმების აქტში დაფიქსირებულ რაოდენობას. ამიტომ მასალები გაიგზავნა გლდანი-ნაძალადევის საოლქო საგადასახადო ინსპექციაში, რომელმაც შპს „კუნძიკაში" შეამოწმა კიდეც ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხები.

2001 წლის 5 აპრილს შედგა შემოწმების აქტი, რომლის მიხედვითაც შპს „კუნძიკას" მიერ შპს „სახელმწიფო მარეგულირებელი საბჭოდან" შესყიდული ხორბლის სხვაობამ შემოსავალში აღებულსა და ფაქტობრივად მიღებულს შორის შეადგინა 199710 კილოგრამი (ღირებულება 64462 ლარი). საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე და 223-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ეს სხვაობა შპს „კუნძიკას" ჩაეთვალა დანაკლისად და სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა 24028 ლარი, მათ შორის ძირითადი გადასახადია 13893 ლარი, ჯარიმა-საურავი — 10134 ლარი.

შპს „კუნძიკას" ხელმძღვანელი შაქრო ქარელიშვილი გაეცნო შემოწმების შედეგებს და არ დაეთანხმა. მან თითქოს არ იცის შპს „კუნძიკას" მიერ განხორციელებული ოპერაციები, რომლებიც ბუღალტრულად ასახული არ არის საზოგადოებაში. ამასთან, იგი ადასტურებს, რომ შპს „კუნძიკასა" და შპს „თ და კომპანიას" შორის გაფორმებული ხელშეკრულება-დავალებები დამოწმებულია შპს „კუნძიკას" ბეჭდით, რომ საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი დეკლარაციები დამოწმებულია მისი ხელმოწერით, მაგრამ ვერ ხსნის, რატომ არ იცოდა მან, როგორც დირექტორმა, შპს „კუნძიკას" და შპს „თ და კომპანიას" შორის არსებული ხელშეკრულებების შესახებ, რომლებსაც ხელს აწერს შპს „კუნძიკას" ყოფილი ბუღალტერი ირაკლი ქათამაძე (იგი გარდაიცვალა 2000 წლის 16 ოქტომბერს).

ამასთან, დადგენილია, რომ შპს „კუნძიკას" ტრიკოტაჟის ფაბრიკის ტერიტორიაზე აქვს საკუთარი წისქვილი, რომელშიც ახდენს ხორბლის გადამუშავებას. ამას ადასტურებს შ. ქარელიშვილიც. მისივე განცხადებით შემოსავალში აუღებელი ხორბალი არ შეიძლებოდა ამ წისქვილში გადამუშავებულიყო.

ს/ს „დიდუბის წისქვილკომბინატიდან" შპს „კუნძიკას" სახელზე გამოწერილი ხორბლის (რომელიც არ ყოფილა აღებული შემოსავალში) გადამზიდავი მანქანების მძღოლები დ. ხოკრიაშვილი და ა. ნონიაშვილი კი ადასტურებენ, რომ შპს „კუნძიკას" სახელზე გამოწერილი ხორბალი გადაიტვირთა ტრიკოტაჟის ფაბრიკის ტერიტორიაზე მდებარე წისქვილში. იგივეს ადასტურებს მოქალაქე დ. ცუცქირიძე, რომლის განცხადებითაც, მის მიერ დიდუბის წისქვილკომბინატიდან შპს „კუნძიკას" მინდობილობით გამოტანილი ხორბალი გაიგზავნა ტრიკოტაჟის ფაბრიკის მიმართულებით.

შ. ქარელიშვილის ახსნა-განმარტება არ გაიზიარეს, რადგან ის მოგონილია მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით. პირდაპირ დაასკვნეს, რომ შპს „კუნძიკას" დირექტორმა 2000 წლის სექტემბერ-ოქტომბერში თავი აარიდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადის გადახდას. კერძოდ, საზოგადოების ბუღალტერიაში, ასევე საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილ დეკლარაციებში არ აისახა საზოგადოების მიერ განხორციელებული ოპერაციები — 1999-2000 წლებში შპს „სახელმწიფო მარეგულირებელი საბჭოდან" 64462 ლარის ღირებულების 199710 კილოგრამი ხორბლის შეძენის შესაბამისი და მისი შემდგომი რეალიზების დამადასტურებელი გაანგარიშებები, რის შედეგად ბიუჯეტში გადასახდელმა თანხამ შეადგინა 13893 ლარი.

შემოწმების პროცესში ასევე დადგინდა, რომ საქართველოს კონტროლის პალატის მეოთხე დეპარტამენტის წამყვანმა ინსპექტორებმა ნუგზარ ნაჭყებიამ და დიმიტრი ბიჭიკაშვილმა, ასევე საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგდასახადო დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მთავარმა ინსპექტორმა ვლადიმერ ჩიტაიამ, შპს „კუნძიკას" შემოწმების პროცესში გამოიჩინეს სამსახურებრივი გულგრილობა, არაჯეროვნად მოეკიდნენ შემოწმებას და საზოგადოების ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აქტში არ ასახეს შპს „კუნძიკას" მიერ 1999-2000 წლებში შპს „სახელმწიფო მარეგულირებელი საბჭოდან" 64462 ლარის ღირებულების 199710 კილოგრამი ხორბლის შეძენის და მისი შემდგომი რეალიზების ფაქტები, რასაც მოჰყვა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა, სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლდა 13893 ლარის გადასახადი.

**ასეთი „შეცდომა" ჩინოვნიკებს არ აპატიეს. არსებული მასალების მიხედვით ლეგიონში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა შპს „კუნძიკას" დირექტორის შაქრო ქარელიშვილის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდების ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით და საქართველოს კონტროლის პალატის წამყვანი ინსპექტორების ნუგზარ ნაჭყებიას, დიმიტრი ბიჭიკაშვილის, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მთავარი საგადასახადო ინსპექტორის კახა ჩიტაიას მიერ სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.**

ბადრი იაშვილი.

## პრესა

# სახელმწიფო სამურაის უნდა დაემსგავსოს

### ორი ჩვეულებრივი ფაქტი ერთი უცხოური კომენტარით

**თბილისის საკრებულოს დარგობრივი ეკონომიკის კომისიის უფროსი დავით ხაზარიძე:**

— თითოეული სატრანსპორტო ერთეულის უკან ათასი ჯურის ხალხი დგას. კონკრეტულად გვარებს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ არიან შავი სამყაროს წარმომადგენლები, ჩინოვნიკები. ეს მას შემდეგ გამოჩნდა, რაც კონკურსი გამოვაცხადეთ. განცხადებები შემოდიოდა, ვილაცეები მოდიოდნენ, ხან რა მოჰქონდათ, ხან რა. რომ ვეკითხებოდით, ვინა ხართ-მეთქი, ამბობდნენ, ჩვენ მძღოლების ინტერესებს ვიცავთო („ალია" 29-30 მარტი, 2001 წ.).

**პარლამენტარი ირაკლი ბათიაშვილი:**

— შესაბამისი ინფორმაცია მაქვს, თუ რომელი კონკრეტული პირები დგანან ამ ბანკის უკან (საუბარია „საქართველოს საფოსტო ბანკზე", — რედ.) რა თქმა უნდა, ეს თანამდებობის პირები არიან, მაგრამ ჯერჯერობით ამის შესახებ ვერ ვილაპარაკებ. ამას შესაბამისი დასაბუთება სჭირდება („ახალი თაობა", 20 მარტი, 2001 წ.).

**ინგლისელი სოციოლოგი ენრიკო სალივანი (*იგი ქართულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს სწავლობს*):**

— თუ სახელმწიფოს კორუფციასთან ბრძოლის რეალური ნაბიჯების გადადგმა სურს, მაშინ ის უნდა დაემსგავსოს სამურაის, რომელიც თავისი ნებით და ხელით იკეთებს პარაკირს. ახლა ჰკითხეთ თქვენს ხელისუფლებას, უნდა მას პარაკირი? თუ ვერ გაითავისებთ იმას, რომ კორუფციის ძირები, მმართველობითი სისტემის გარდა, ადამიანთა ცნობიერებაშია, მაშინ ყოველივეს აზრი ეკარგება.

თქვენს ანტიკორუფციულ პროგრამაში ვკითხულობთ (თავი 4.2): „კორუფციის შესახებ ინფორმაციის მოზღვავება საზოგადოებრივ შოკს იწვევს და სახელმწიფოსადმი ნდობას მკვეთრად აქვეითებს". ხალხსა და სახელმწიფოს შორის ნდობა დაკარგულია. ღმერთმა ნუ ქნას და, საკმარისია, გარეშე ძალასთან ომი ან შინაარეულობა დაიწყოს, რომ ხალხი სახელმწიფოს გვერდში არ დაუდგება.

ქართული საზოგადოების ნაწილი, მართლაც, შოკირებულია და სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ადამიანი ხედავს, რომ მუშაობს და ვერაფერს ქმნის. მეტიც, ჭამაც კი უჭირს, ხოლო ვიღაც არ მუშაობს, არც არაფერს აკეთებს და ყველაფერი აქვს. ეს მასში იწვევს ქრონიკული დაღლილობის სინდრომს, ანუ პიროვნება ყველაფრისგან დაღლილია, აღარ ახარებს აღარაფერი, უჩნდება ფანტაზია, ელოდება მოულოდნელს, ფიქრობს, რომ რაღაც გაუმართლებს. გადის დრო, სასიკეთო არაფერი ხდება, ერევა მელანქოლია, რასაც ხშირად თვითმკვლელობამდე მიჰყავს. საგულისხმოა, რომ ქართული საზოგადოება დამჯერია, რასაც ეუბნებიან, სწამს. ამიტომ მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება. მთავარია, ხალხმა დაინახოს, რომ ხელისუფლება ნამდვილად ზრუნავს ან თუნდაც ცდილობს ქვეყნის კეთილდღეობაზე და ყველაფერი მოგვარდება.

კიდევ იცით, რა მაკვირვებს? ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენლებისაგან გამიგონია, ვიცი, დამნაშავე ვინ არის, მაგრამ დასახელებისგან თავს შევიკავებო. გასაკვირია ის, რომ ასეთ ხალხს საზოგადოება არ აძალებს, თუ-კი იცი დამნაშავე, მაშინ დაასახელეო, ანუ საზოგადოებაც ინდიფერენტულია. ასეთი რამ ინგლისში რომ მოხდეს, მთქმელს დამნაშავის დაფარვისთვის დასჯიან („კვირის პალიტრა", 9-15 აპრილი, 2001 წ.).

## საგანგებო ლეგიონი

# ვერ ელევიან ნახევარ მილიონ ლარს

### თურქეთი კეთილი მეზობელია, მაგრამ თურქულ ფირმას გადასახადის გადაუხდელობა არ ეპატიება

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონის მოკვლევის სამმართველომ განიხილა მასალები თურქეთის რესპუბლიკის ტელეკომუნიკაციათა სამრეწველო-კომერციული სააქციო საზოგადოება „ალკატელ-ტელეტაშის" მიერ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ.

ერთობ საინტერესო ამბები გამომზეურდა.

სააქციო საზოგადოება „ალკატელ-ტელეტაში" შექმნილია თურქეთის რესპუბლიკაში 1983 წელს.

1993 წლის სექტემბერში ამ ფირმასა და საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს შორის კონტრაქტი გაფორმდა, რომლის საფუძველზეც 1994-1995 წლებში მან ჩვენში შემოიტანა და დაამონტაჟა კავშირგაბმულობის მოწყობილობა. პროექტის მთლიანმა ღირებულებამ 5260637 დოლარი შეადგინა.

1995 წლის დეკემბერში ობიექტი მწყობრში ჩადგა. ხოლო 1996 წლის მარტში საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროდან ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს და შპს „საქართველოს ელექტროკავშირს".

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია: თურქულ საწარმოს ამ პროექტის განხორციელებიდან საქართველოს ბიუჯეტში გადასახადები არ გადაუხდია.

ეს საგადასახადო კანონმდებლობის უხეში დარღვევაა: მოგების გადასახადის გადამხდელები საქართველოში რეგისტრირებული საწარმოების გარდა, არიან აგრეთვე, კომპანიები, ფირმები, ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად და სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან საქართველოში მუდმივი წარმომადგენლობის მეშვეობით.

ასეთი ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია როგორც უცხოელი იურიდიული პირები. უცხოელი იურიდიული პირის მუდმივ წარმომადგენლობად იგულისხმება ბიურო, კანტორა, სააგენტო, საქმიანობის ნებისმიერი სხვა ადგილი, რომელიც დაკავშირებულია მოწყობილობის დადგმასთან, მონტაჟთან, აწყობასთან, გამართვასა და მომსახურებასთან, სხვა სამუშაოების ჩატარებასთან.

ამდენად, ფირმა „ალკატელ-ტელეტაში" უცხოური იურიდიული პირის სახით, არის გადასახადის გადამხდელი.

„საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" კანონის თანახმად, გადასახადების გადამხდელები ექვემდებარებიან სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციაში აუცილებელ აღრიცხვას მათი ადგილმდებარეობის ან საქმიანობის ადგილის მიხედვით. ბიუჯეტის წინაშე საგადასახადო ვალდებულების დადგომის მომენტისათვის საგადასახადო ორგანოებში აღურიცხაობა დასაბეგრი ობიექტის დამალვად განიხილება.

ფირმა „ალკატელ-ტელეტაშმა", რომელიც არ დამდგარა საგადასახადო აღრიცხვაზე, დაარღვია კანონის მოთხოვნათა დიდი ნაწილი და კანონით გათვალისწინებული არც ერთი საგადასახადო ვალდებულება არ შეასრულა.

არსებული მონაცემებით, თურქულ მხარეს აქვს მიღებული შემოსავალი, როგორც მოწყობილობის რეალიზაციიდან, ასევე სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებიდან, ტექნიკური მომსახურებიდან და ა. შ. ფირმის შემოსავალი ცნობილია: 5260637 დოლარი. ფირმის ხარჯები კი უცნობია, კანონის შემდეგ მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო: უცხოელი იურიდიული პირი, რომელიც საქართველოში ეწევა საქმიანობას, საანგარიშო მომდევნო წლის არაუგვიანეს 15 აპრილისა, საგადასახადო ორგანოს წარუდგენს საქართველოში საქმიანობის ანგარიშს და დეკლარაციას შემოსავლის შესახებ. კალენდარული წლის დამთავრებამდე საქმიანობის შეწყვეტისას ეს დოკუმენტები უნდა წარსდგეს თვის განმავლობაში მისი შეწყვეტის დღიდან.

როგორც ვთქვით, „ალკატელ-ტელეტაშს" ასეთი დოკუმენტები საგადასახადო ორგანოებისათვის არ წარუდგენია.

თუ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი იურიდიული პირის მიერ მიღებული მოგების განსაზღვრა არ ხდება, საგადასახადო ორგანო მოგებას გაიანგარიშებს საერთო შემოსავლის საფუძველზე, რენტაბელობის 25 პროცენტის ნორმიდან გამომდინარე.

„დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ" საქართველოს 1993 წლის 24 სექტემბრის კანონის თანახმად, საქონლის (სამუშაოს მომსახურების) რეალიზაცია უნდა ხდებოდეს ფასებით (ტარიფებით), რომლებიც შეიცავენ დამატებული ღირებულების გადასახადის თანხას დადგენილი განაკვეთით. ამიტომ, ფირმა „ალკატელ-ტელეტაშსა" და საქართველოს კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტროს შორის დადებული კონტრაქტის იმ მუხლის დებულება, რომლის მიხედვით — „ყველა სახის ფასები არის წმინდა ფასები, რომლებშიც არ შედის ნებისმიერი გადასახადი", უკანონოა.

უკანონოა ხელშეკრულების ის დებულებაც, რომლის მიხედვით ქართულმა მხარემ ფირმა „ალკატელ-ტელეტაშის" წინაშე იკისრა ვალდებულება მის ნაცვლად გადაიხადოს ყველა ის გადასახადი, რომელიც წარმოიშვება საქართველოში პროექტის განხორციელების პროცესში. „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ" კანონი კრძალავს ასეთი სახით ხელშეკრულებების გაფორმებას, რაც გამომდინარეობს სახელშეკრულებო სამართლის პრინციპიდან — თუ რაიმე გარიგების ამსახველი კონტრაქტის დისპოზიციური დებულება ეწინააღმდეგება მოქმედი კანონის იმპერატიულ ნორმას, კონტრაქტის ასეთი დებულება ბათილია.

საგანგებო ლეგიონის თანამშრომლების მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე 2000 წლის ნოემბერში ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებმა მოახდინეს „ალკატელ-ტელეტაშის" დოკუმენტური შემოწმება, რის შედეგად თურქულ საწარმოს საქართველოს ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა სულ 492395 ლარი, საიდანაც 273553 ლარს შეადგენდა გადაუხდელი მოგების გადასახადის თანხა, ხოლო 218842 ლარს — გადაუხდელი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა.

სს „ალკატელ-ტელეტაშის" ხელმძღვანელობას და ფირმის წარმომადგენელს საქართველოში აქტის გაცნობის შემდეგ, არაერთი შეხსენების მიუხედავად, არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ და არც შემოწმების შედეგად საწარმოზე დარიცხული თანხა საქართველოს ბიუჯეტში შეუტანიათ.

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონის მოკვლევის სამმართველომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა თურქეთის რესპუბლიკის სააქციო საზოგადოება „ალკატელ-ტელეტაშის" პასუხისმგებელი პირების მიმართ განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოგების და გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტის დამალვის ფაქტზე.

ბორის კუტალაძე.

## მშენებლობა

# ვილები საბალე ნაკვეთებში

**1 ივლისამდე საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ უნდა წარმოადგინოს სრული ინფორმაცია 1997 წლის დამდეგიდან მშენებლობაზე გაცემული ნებართვების შესახებ. მინისტრის თავმჯდომარეობით უკვე შეიქმნა „ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ღონისძიებათა განხორციელების საკოორდინაციო შტაბი", რომელმაც დაიწყო ნაგებობათა სრული ინვენტარიზაცია. აღწერა უკვე განხორციელდა ქვემო და შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. მაგალითად, დაბა ბულაჩაურში, რომელიც განეკუთვნება ჟინვალჰესის წყალსაცავის დაცვის პირველ სანიტარიულ ზონას, და, სადაც რაიმე ნაგებობის აშენება კატეგორიულად აკრძალულია, განლაგებულია ყოფილი საბაღე ნაკვეთები, რომლებიც ახლა კერძო მფლობელობაშია გადაცემული. თუ წინათ იქ პატარ-პატარა საბაღე სახლები იდგა, ახლა უკანონოდ და ყოველგვარი ნებართვის გარეშე 2–3-სართულიანი სახლებია წამოჭიმული, იტყობინება ჩვენი წყარო ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროდან. ასეთი ვილები დაახლოებით ოცია და მათი მფლობელები, ძირითადად, სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაკები არიან.**

**ლარსში უნებართვოდ შენდება საბაჟო ტერმინალი. გუდაურში, თვით სოფლის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა მარსაგიშვილმა ააშენა სახლი ნებართვის გარეშე. უკვე ლაპარაკიც კი ზედმეტია იქ მშენებარე სასტუმროებზე. მაგალითად, ბატონი თოფურიძე, განათლების სამინისტროს მუშაკი, აშენებდა ეგრეთ წოდებულ „სპორტსკოლას", საბოლოო ანგარიშით კი გამოვიდა სასტუმრო დამტკიცებული პროექტის გარეშე. სასტუმრო „ჯვრის უღელტეხილიც" ბიზნესმენმა ზარდიაშვილმა ასევე უნებართვოდ ააშენა.**

**გამოვლენილია ფაქტები, როცა მშენებლობის ნებართვა გაიცა ერთ რეგიონში, სახლს კი მეორე რეგიონში აშენებდნენ. მაგალითად, მცხეთის ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტოროსის" სასადილოსა და ავტოსამრეცხაოს, აგრეთვე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სოფიას" ავტოგასამართი სადგურისა და სამარაგო ნაწილების მაღაზიის მშენებლობის ნებართვა გასცეს თბილისში.**

**საქინფორმი.**

## კარიკატურა თემაში



— სიდედრზე რომ გააფორმა ეს სახლი, ვითომ ვერ მიხვდებიან?
— სიდედრიც სხვაზე ჰყავს გაფორმებული.

ნახატი და თემა ჭაბუკა ლეისაძისა.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

# რუსეთი: დეპუტატები „ევროკლუბად“ ერთიანდებიან



**ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ჩამოყალიბდა დეპუტატების ფრაქციათშორისი გაერთიანება „ევროპული კლუბი“, რომელშიც შევიდა ყველა ფრაქციისა და ჯგუფის წარმომადგენელი 40-ზე მეტი დეპუტატი.** სახელწოდება „ევროკლუბი“ ძალზე ზუსტად გამოხატავს შექმნილი ორგანიზაციის არსს: ტრადიციული სათათბიროს ფრაქციებისა და ჯგუფებისაგან განსხვავებით, ფრაქციათშორისი გაერთიანება წარმოადგენს ნაკლებად ფორმალურ და ხისტ სტრუქტურას. კლუბში შესული დეპუტატები რჩებიან თავიანთი ფრაქციების, პარტიებისა და მოძრაობების წევრებად. კლუბის გადაწყვეტილება არ არის სავალდებულო მისი წევრებისათვის. ამ გაერთიანებას უფრო ეთქმის სხვადასხვა პოლიტიკურ პოზიციაზე მდგომი, მაგრამ საერთო „პროევროპული“ იდეით შეკავშირებული დეპუტატების ფორუმი, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ, თუ რაოდენ საჭიროა რუსეთის პარლამენტის საქმიანობის გააქტიურება ევროპული გეზით. ეს უკანასკნელი კლუბის საქმიანობას იდეოლოგიურ ხასიათს ანიჭებს და განასხვავებს დანარჩენი მრავალრიცხოვანი ოფიციალური სტრუქტურებისაგან.

საპარლამენტო საქმიანობის ფარგლებში კლუბის უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება, შეიმუშაოს და წამოაყენოს ინიციატივები, რომელთა მიზანია ქვეყნის ჩაბმა ევროპულ ინტეგრაციულ პროცესებში. მომწიფდა აუცილებლობა, გააქტიურდეს ევროპის ქვეყნებთან და მათ ინტეგრაციულ სტრუქტურებთან რუსეთის ურთიერთობის საკანონმდებლო ბაზა. შეიქმნას ხელშემწყობი პირობები მეცნიერებისა და კულტურის სფეროში რუსეთისა და ევროპის ორგანიზაციათა თანამშრომლობის, რუსეთის კომპანიების საქმიანობისათვის ევროპულ ქვეყნებში, აგრეთვე მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებისათვის. ამასთან დაკავშირებით „ევროპული კლუბის“ მუშაობის პრიორიტეტული მიმართულება გახდა რუსული და ევროპული სამართლის ჰარმონიზაცია. ფრაქციათშორისი გაერთიანების საქმიანობის გეგმა ითვალისწინებს დიდი მოცულობის კანონშემოქმედებით მუშაობას. დასახულია, შეიმუშაონ და განიხილონ მთელი რიგი კანონპროექტები, მოაწყონ საპარლამენტო მოსმენა და პრესკონფერენციები, რომლებიც შეეხება ევროპის ქვეყნებთან და ინტეგრაციულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განვითარების პრობლემებს.

„ევროპული კლუბი“ ამოცანად ისახავს, გახდეს „პროევროპული“ ძალების მიზიდვის ცენტრი არა მარტო სათათბიროში, არამედ მთლიანად რუსეთის პოლიტიკაში. დეპუტატთა გაერთიანებასთან შეიქმნა საზოგადოებრივი და ექსპერტთა საბჭოები, რომლებშიც შევიდნენ თვალსაჩინო საზოგადო, კულტურის მოღვაწენი, მეცნიერები, სამეწარმეო წრეებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები. მათი მიზანია ფართო დისკუსიების ინიცირება და საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობა ევროპული პრობლემატიკისადმი, მოსამზადებელი კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების საექსპერტო შეფასებებისა და განხილვის მოწყობა. დაგეგმილია, რეგულარულად გაიმართოს კონფერენციები, მრგვალი მაგიდის შეხვედრები და სემინარები რუსი და ევროპელი ექსპერტების მონაწილეობით.

„ევროკლუბის“ საქმიანობის მეორე დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის სახის გაუმჯობესების, ევროპულ ქვეყნებთან როგორც სახელმწიფოთაშორის, ისე სამოქალაქო საზოგადოების დონეზე დაახლოების ხელშეწყობა.

კლუბი აქტიურად მონაწილეობს დელეგაციების გაცვლის ორგანიზაციებში, აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, მოსკოვში მოქმედი სხვადასხვა ევროპული ორგანიზაციის ფილიალებთან.

მიუხედავად იმისა, რომ „ევროპული კლუბი“ ჯერჯერობით ჩამოყალიბების სტადიაშია, აშკარაა, რომ იგი არ იქნება მკვდრადშობილი სტრუქტურა, წერს დასასრულ ევროპის კავშირის ჟურნალ **„ევროპაში“** ამ კლუბის პასუხისმგებელი მდივანი **დანიელ ალგულიანი.**

# სამყაროს იდუმალი ძალები

**კოსმოსურ აპარატებზე, რომლებიც დედამიწისაგან დიდი მანძილით არის დაშორებული, მოქმედებს თანამედროვე მეცნიერებისათვის აუხსნელი ძალები. მკვლევარებმა ასეთი დასკვნა გამოიტანეს ღრმა კოსმოსში არსებული ხელთქმნილი ობიექტების ტრაექტორიათა ანალიზის შედეგად.**

ეს შეიძლება იყოს თვით კოსმოსური აპარატების ზემოქმედება, — თითქმის შეუმჩნეველი თავისი მიკროსკოპულობის გამო, მაგრამ, როგორც მეცნიერები თვლიან, ყველაფერი შეიძლება სხვაგვარადაც აიხსნას. ალბათ, ამბობენ ისინი, ეს არის პირველი გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ დედამიწელებმა უნდა გადასინჯონ თავიანთი გაგება გრავიტაციის ძალაზე.

„დაახლოებით იგივე მოხდებოდა, კოსმოსური აპარატები ისე რომ არ იქცეოდნენ, როგორც უნდა მოიქცნენ დღესდღეობით არსებული მიზიდულობის კანონების შესაბამისად, — ამბობს NASA სააგენტოს რეაქტიული იმპულსების ლაბორატორიის თანამშრომელი, დოქტორი ჯონ ანდერსონი, რომელიც ამ დარგში მიმდინარე კვლევას მეთაურობს. — ჩვენ ამ პრობლემაზე რამდენიმე წელიწადია, ვმუშაობთ და უკვე ყველაფერი მოვსინჯეთ, რაც შეიძლებოდა მოგვესინჯა.



„პიონერ-10“ აპარატს, რომელიც 1972 წელს გაუშვეს სხვა სამყაროებისაკენ და უკვე შორს გასცდა იუპიტერის ორბიტას, დღემდე არ დაუკარგავს რადიოკონტაქტი დედამიწასთან.

დოპლერის ცვლადის შესწავლისას („პიონერ-10“-დან მომავალი რადიოსიგნალების „გაწელვა“), მეცნიერებმა გამოიანგარიშეს აპარატის მოძრაობის სიჩქარე. 1980 წლიდან მისი ტრაექტორია უაღრესად გულდასმით აღირიცხება. მაგრამ გამოცანა ის არის, რომ „პიონერის“ მოძრაობა გაცილებით უფრო სწრაფად ნელდება, ვიდრე უნდა შენელებულიყო.

თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ამის მიზეზია აირის უმცირესი გაჟონვა, ანდა, შესაძლოა, მზის სისტემის ფარგლებში არსებული რაღაც უხილავი ობიექტის ზემოქმედება.

მაგრამ შემდეგ მკვლევარები შეუდგნენ მეორე პრაქტიკულად ასეთივე აპარატის — 1973 წელს გაშვებული „პიონერ-11“-ის ტრაექტორიის შესწავლას. საიდუმლო საბოლოოდ გაეხვია ბურუსში: აღმოჩნდა, რომ მასზეც მოქმედებს იგივე უცნაური ობიექტი. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ „პიონერ-11“ იმყოფება მზის სისტემის საპირისპირო მხარეს, პრაქტიკულად 22 მილიარდ კილომეტრზე თავისი უფროსი ძმისაგან. და ამდენად, რაღაც, თუნდაც, უხილავი ობიექტის მიზიდულობის ძალა მასზე ვერ უნდა ახდენდეს ვერავითარ ზემოქმედებას. ამას დაუმატეთ კიდევ რაღაც აუხსნელი ძალები, რომლებიც ზემოქმედებდნენ იუპიტერისაკენ მიმავალ „გალილეო“ აპარატზე და მზის ირგვლივ მბრუნავ „ულისეზე“ — და თქვენ მიიღებთ თავსატეხს, რომელიც მზის სისტემის ოდენაა.

ანგარიშში, რომელიც სულ მალე გამოქვეყნდება ავტორიტეტულ ასტრონომიულ ჟურნალში, დოქტორი ანდერსონი და მისი კოლეგები წერენ მასშტაბური კვლევის შედეგებზე, რომლებიც მიღებულია „პიონერ-10“-დან, და მთელ „მიკროძალებზე“, რომელთა მონაცემების შეგროვებაც მათ შეძლეს.

„ყველა ჩვენი ანალიზის გათვალისწინებითაც კი, ძალზე რთულია, გაიგო, როგორ შეიძლება ახსნას ყველა ამ მექანიზმმა „პიონერის“ ქცევაში იმ ანომალიების ამპლიტუდა, რომლებსაც ჩვენ ვაკვირდებოდით“, — ამბობენ მეცნიერები.

ვარაუდობენ, რომ გრავიტაციული ძალების ზემოქმედებაში ასეთი გადახრები შეიმჩნევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ობიექტი „გიგანტური მანძილით არის დაცილებული დედამიწას. გარდა ამისა, აღნიშნავენ, რომ ამ ეფექტის ძალა, ალბათ, ესატყვისება სამყაროს ორ ფიზიკურ მუდმივას: სინათლის სიჩქარესა და თვით სამყაროს გაფართოების სიჩქარეს.

მაგრამ სხვა სპეციალისტები უარყოფენ ამგვარ მიდგომას, რომელსაც მეტისმეტად უცნაურს უწოდებენ, და ამტკიცებენ, რომ თუ ანომალიები „პიონერის“ ქცევაში ნამდვილად მიგვანიშნებდნენ მიზიდულობის ძალაზე ჩვენი ცოდნის არასრულფასოვნებას, მაშინ იგივე უნდა მოსვლოდათ მზის ირგვლივ მბრუნავ პლანეტებს, ეს კი არ ხდება.

ასე რომ, ჯერჯერობით ეფექტი აუხსნელი რჩება. ხოლო რამდენადაც ის ოთხი კოსმოსური აპარატი, რომლებიც გვაძლევენ საფუძველს, რაღაც მოვისაზროთ მის არსებობაზე, დედამიწაზე არასოდეს აღარ დაბრუნდება, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოცანა კიდევ ძალიან დიდხანს დარჩება გამოუცნობი, წერს დასასრულ დოქტორი **დევიდ უაიტჰაუსი,** ბი-ბი-სის კორესპონდენტი.

# პრეზიდენტის ქალიშვილი 51 დოლარით და 25 ცენტით დააჯარიმეს



**შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ქალიშვილის ჯენას ხუთშაბათს მიუსაჯეს ჯარიმა — 51 დოლარი და 25 ცენტი. გარდა ამისა, ქალაქ ოსტინის სასამართლოს გადაწყვეტილებით, 19 წლის ჯენამ ახლა 6 საათს უნდა ისმინოს ლექციები ალკოჰოლის მავნეობის შესახებ და 8 საათი გაატაროს საზოგადოებრივ სამუშაოებზე.**

განაჩენი წაიკითხეს ორ კვირაში, მას შემდეგ, რაც გადაცმულმა პოლიციელებმა ბუშის ქალიშვილს წაასწრეს ოსტინის ერთ-ერთ კლუბში, როდესაც იგი ლუდს შეექცეოდა. კანონის მიხედვით, ამერიკაში ვერავინ გაეკარება ალკოჰოლს 21 წლამდე.

ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი იუწყება, რომ სასამართლოს სხდომაზე ჯენა ბუში, ტეხასის უნივერსიტეტის სტუდენტი, მივიდა შავი უსახელოებო ბლუზით და ვარდისფერი სლაქს რეიტუზით. მოსმენაზე მას არ უცვნია თავი ბრალეულად, მაგრამ ოფიციალური ფორმულირების მიხედვით, „არ დაუწყია დავა პოლიციელთა ჩვენებების გამო“. „მე ვერ გავიგონე, რას ამბობდა მისს ბუში, რადგან იგი ძალიან ჩუმად ლაპარაკობდა. მან რამდენჯერმე დაიქნია თავი და ამის შემდეგ მოსამართლემ უთხრა: „აბა, თქვენ იცით, მისს ბუშ“.



ჯენა ბუში შეიძლოთ, დაეჯარიმებინათ მაქსიმუმ 500 დოლარით, მაგრამ ახლა მან მხოლოდ სასამართლო ხარჯები უნდა გაისტუმროს. ლექციის მოსმენა და საზოგადოებრივ სამუშაოებში მონაწილეობის მიღება მან უნდა მოასწროს 28 ივლისამდე, თორემ, შეიძლება, ჩამოართვან მძღოლის უფლებები ან დააპატიმრონ კიდეც.

ამერიკის კანონებში არის ორი ტიპის დანაშაული: სერიოზული (**felony**) და უმნიშვნელო (**misdemeanors**). ჯენა ბუშის დარღვევა პოლიციამ განაკუთვნა **misdemeanors**-ს, ანუ ყველაზე უმნიშვნელო დანაშაულს.



# მაკეტი ესპანეთში ჩაიტანეს

**კ-19 საბჭოთა წყალქვეშა ნავის მაკეტი ამერიკიდან ჩაიტანეს ესპანეთის ქალაქ ბურიანაში, სადაც უახლოეს დღეებში იწყება ამ სუბმარინისადმი მიძღვნილი ფილმის გადაღება ჰარისონ ფორდის მონაწილეობით.**

ესპანეთში გადაღებები ეწყობა სამ თვეში მას შემდეგ, რაც ფორდი, რომელიც წყალქვეშა ნავის მეთაურის როლს ასრულებს, და რეჟისორი ქეთრინ ბიგელოუ ფილმის ჯგუფთან ერთად მოსკოვში იყვნენ, რათა გადაეღოთ რამდენიმე სცენა ერთ-ერთ ვაგზალზე.

წყალქვეშა ნავის მაკეტი რამდენჯერმე უფრო მოკლეა ნამდვილ კ-19-თან შედარებით: იგი 8 მეტრი სიგრძისაა და დაამზადა იმავე სტუდიამ, რომელმაც სპეცეფექტები შექმნა ფილმ „გლადიატორისათვის“ და ამაში „ოსკარი“ მიიღო.

ფილმი საბჭოთა წყალქვეშა ნავის შესახებ ემყარება 1961 წლის მოვლენებს, როდესაც კ-19-ში, რომელიც ამ სანაპიროს მახლობლად დაცურავდა, მოხდა რეაქტორის ავარია, მაგრამ ეკიპაჟმა შეძლო, თავიდან აეცილებინა აფეთქება. რეჟისორ ქეთრინ ბიგელოუს თქმით, მას სურს, ფილმში აჩვენოს, რომ „ცივი ომის დროინდელი ამერიკელები და რუსები ჰგავდნენ ერთმანეთს“, რადგან ეს ომი ორივე მხარის მიერ იყო ინიცირებული“.

ამასთან, 1961 წლის კ-19-ის ეკიპაჟის რამდენიმე წევრმა ადრე განაცხადა, რომ ფილმი არ ასახავს სინამდვილეში იმას, რაც ნავში ხდებოდა და რუს წყალქვეშელებს მასხარად იგდებს. სცენარში, როგორც წყალქვეშელებმა თქვეს, „ეკიპაჟი გამუდმებით სვამს არაყს და საერთოდ, ძალზე ბევრი რამ ტყუილია“.

ავარიის დროს კ-19-ში დაიღუპა ეკიპაჟის 8 წევრი და კიდევ 20 კაცი მოგვიანებით გარდაიცვალა დასხივების შედეგად. მას შემდეგ ამ წყალქვეშა ნავს თვით მეზღვაურები უწოდებენ „ჰიროსიმას“. კ-19 დღემდე ოფიციალურად არის რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მწყობრში, და ჰოლივუდის სტუდიას ფილმის გადასაღებად რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი შტაბის სპეციალური ნებართვა დასჭირდა.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვება **არჩილ მანჯგალაძე.**

— ქველმოქმედება —

# ჰქმენ სიკეთე

მადლობა ღმერთს, ამ შეჭირვებულ ყოფაში ქვეყნად კეთილი ადამიანები ჯერ კიდევ რომ არსებობენ.

„იბერკომპანი ჰოლდინგზე“ (პრეზიდენტი **გოჩა ენუქიძე,** ვიცე-პრეზიდენტი **თემურ თოფურიძე,** კომერციული დირექტორი **ტარიელ ხეჩიკაშვილი**) მოგახსენებთ, მეცენატობა საქმიანი ცხოვრების წესად რომ უქცევიათ. იტყვით, შეძლება მომეცი და მეც გავიღებ მოწყალებასო. როგორ გეკადრებათ — ცოტანი არიან ირგვლივ „ახალი ქართველები“; ჯიბეზე ხელის გაკვრას რომ ვერ აიძულებ საქველმოქმედო მიზნით, კაზინორესტორნებში კი ფანტიაშილებად გვევლინებიან? რამდენიც გნებავთ. საბედნიეროდ, ამჯერად იშვიათ გამონაკლისზე მოგითხრობთ.

საქართველოს 1999 წლის საუკეთესო სპორტსმენს გიორგი ასანიძეს უკვე მესამე სეზონია „იბერკომპანი“ ყოველთვიურად 300 ლარით უმსუბუქებს საზრუნავს, ამ დღეებში კი ევროპის 2001 წლის ძალოსანთა ჩემპიონატში მოპოვებული გამარჯვებისთვის ბანკ „რესპუბლიკის“ 1000-დოლარიანი საკრედიტო ბარათით დააჯილდოვა. როგორც სამადლობელი სიტყვით გამოსვლისას საჩხერელმა მტანგისტმა აღნიშნა, რამდენიმე თვეში (28 აგვისტო — 7 სექტემბერი) იგი ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში „კეთილი ნების თამაშებში“ იასპარეზებს და, ვიმედოვნებთ, გულუხვ სპონსორს მორიგი „ფეშქაშის“ გაღება მოუწევს.




სამახსოვრო პრიზი გადაეცა ქველმოქმედთა ძვირფას სტუმარს — ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს, რომელმაც მადლიერებით მოიხსენია მისი ამასწინანდელი საიუბილეო საღამოს ყველა ორგანიზატორი და ჟურნალისტები, კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით კი დასძინა: „გიორგი ასანიძე, მწამს, მომავალი ოლიმპიური ჩემპიონია და მორიგ წარმატებებს საფუძველს ახალნაოპერაციევი ხელით, სისტემატური ოფლისღვრით უყრის. მისი და „იბერკომპანის“ თანამშრომლობა სამაგალითოდ მიმაჩნია. მოვიდა დრო, დანარჩენმა გამორჩეულმა ბიზნესმენებმა საამაგოდ სპორტის სხვა სახეობებათა თვალსაჩინო წარმომადგენლები გაიპიროვნონ“.

ამავე შეხვედრაზე სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა გვაუწყა, რომ ახლადშექმნილ „სპორტის მეგობართა კავშირს“ „იბერკომპანის“ სახით 26-ე ღირსეული წევრი შეემატა.

ჭეშმარიტად!

**გია პლატონიშვილი.**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

— წყალბურთი —



# ახალგაზრდები ნახევარფინალში იასპარეზებენ

საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელები სამი წელიწადია წარმატებით ასპარეზობენ რუსეთის ღია ჩემპიონატებში. წლეულსაც მათ ჩინებულად გაიარეს ორი შესარჩევი ტურნირი და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს.

გადამწყვეტ ორთაბრძოლებს ამ დღეებში რუსეთის დედაქალაქი მასპინძლობს. ოთხი შეხვედრიდან ჩვენმა გუნდმა სამი მატჩი მოიგო და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. ამის მიუხედავად, იგი ნახევარფინალში გავიდა. აქ ქართველ წყალბურთელთა მეტოქე არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი იქნება.

— უნივერსიადა - 2001 —

# ფინიშის სწორზე

**კიდევ რამდენიმე დღე და დამთავრდება საქართველოს წლევანდელი უნივერსიადა. ფინიშის სწორზე უფრო გამძაფრდება პაექრობები გუნდური საპრიზო ადგილებისთვის. თუმცა, არც აქამდე გამართულ ორთაბრძოლებს აკლდა სიმწვავე.**

## კალათბურთი

ექვსი საუკეთესო გუნდი მონაწილეობდა კალათბურთელ ქალთა ფინალურ ეტაპზე. ჩემპიონობისთვის გადამწყვეტი შეხვედრა საქართველოს ტექნიკური და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების გუნდებს შორის გაიმართა. ტრადიციულ მეტოქეთა ორთაბრძოლა ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელებმა მოიგეს და ჩემპიონობაც მოიპოვეს. მესამე ადგილზე საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის გუნდი გავიდა.

## მაგიდის ჩოგბურთი

მცირე ჩოგნის ოსტატების პაექრობას ბათუმმა უმასპინძლა. უძლიერესთა დუელში საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ჩოგბურთელებმა იმარჯვეს. მათ მცირედით ჩამორჩნენ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები. მესამე საპრიზო ადგილზე ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები გავიდნენ.

პირად პირველობაში ქალთა შორის ჩემპიონობა ვერიკო ბარამიძემ (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ხოლო ვაჟებში — ვახტანგ იმერლიშვილმა (სპორტის აკადემია) მოიპოვა.

## ფარიკაობა

თბილისის სპეციალიზებული საფარიკაო დარბაზის ბილიკებზე 30 მუშკეტერი ცდიდა ძალებს. ხმლით ორთაბრძოლა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა იმედა გათენაძემ მოიგო. დაშნით პაექრობაში უძლიერესები იყვნენ ნათია ჩუბინიძე (ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და ირაკლი კიკალიშვილი (ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია). რაპირაში მხოლოდ ვაჟებმა იასპარეზეს. აქ საუკეთესო იყო ირაკლი ქორქოლიანი (ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია. 2. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

## კრივი

ტყავის ხელთათმნის ოსტატებმა ქუთაისში მოიყარეს თავი. 9 უმაღლესი სასწავლებლის 75 მოკრივე ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. გუნდურ ჩათვლაში ყველას თსუ-ს ნაკრებმა აჯობა. მეორე-მესამე ადგილები წილად ხვდათ გორისა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენლებს.

პირად პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით უნივერსიადის ჩემპიონები გახდნენ; ზვიად ხადური (48 კგ), დავით ჩილინდრაშვილი (51 კგ), კოტე კუპატაძე (54 კგ, სამივე — სტუ), ოთარ ნონიკაშვილი (57 კგ, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ავთანდილ კაშია (60 კგ, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), დავით ბერიძე (63,5 კგ, გსუ), შოთა ლომიძე (67 კგ, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია), მერაბ ბუჩილოვი (71 კგ, ქსუ), დავით წიკლაური (75 კგ, აკადემია), დავით დავითაშვილი, (81 კგ, გსუ), დავით დავითაშვილი (91 კგ, თსუ), გაგა ბოლქვაძე (+91 კგ, ქსუ). საუკეთესო მოკრივის პრიზი გაგა ბოლქვაძეს გადაეცა, საუკეთესო ტექნიკისათვის — ავთანდილ კაშიას, გამარჯვებისკენ სწრაფვისა — დავით დუნდუას (91 კგ, სტუ).

უნივერსიადა გრძელდება.

**ვაჟა დანელია.**

## ცინცხალი ამბები



ჩილელი ჩოგბურთელი მარსელო რიოსი ხულიგნობისთვის 10 ათასი დოლარით დააჯარიმეს. რომში გამართული საჩოგბურთო ტურნირის შემდეგ, ოფიციალური საღამოდან დაბრუნებისას მან შეურაცხყოფა მიაყენა ტაქსის მძღოლს და ორ პოლიციელს.



ამერიკის პროფესიული კალათბურთის კლუბის „ორლანდოს“ მცველი მაიკ მილერი, „ნიუ-ჯერსის“ თავდამსხმელი მარტინი, „გოლდენ სტეიტის“ მარკ ჯექსონი, „კლიპერსის“ დარიუს მაილზი და „ტორონტოს“ მორის პეტერსონი ახალბედებს შორის საუკეთესო ხუთეულში მოხვდნენ.



ესპანეთის „ალავესის“ ფეხბურთელები, მიუხედავად ინგლისის ლივერპულთან დამარცხებისა, შესაძლოა ევროპის სხვადასხვა კლუბებმა შეიძინონ. ყველაზე პოპულარული ხავი მორენო და კოსმინ კონტრაა.

— ჭიდაობა —

# „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“

გლდანის მოზარდთა და ბავშვთა ჭიდაობის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის დარბაზში ამ დღეებში გაიმართა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საინტერესო ასპარეზობა საქართველოს 15 ქალაქისა და რეგიონის 1987-89 წლებში დაბადებული 220 ჭაბუკის მონაწილეობით.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულნი გახდნენ: 29 კგ — გოგა ხუჭუა (სამტრედია), 32 კგ — კოტე მაისურაძე (გორი), 35 კგ — გიორგი საგინაშვილი (ყაზბეგი), 38 კგ — მურთაზ კვესაძე (ქუთაისი), 42 კგ — გიორგი მარსაგიშვილი (ყაზბეგი), 47 კგ — ხვიჩა ჭილლაძე (საჩხერე), 53 კგ — ლევან ასპანიძე (რუსთავი), 59 კგ — ფრიდონ მკრევალიშვილი (ამბროლაური), 66 კგ — ხვიჩა ყიფიანი (აჭარა), 73 კგ — ვახტანგ ბერიძე (ამბროლაური), 85 კგ — გიორგი ნიკურაძე (ლევან თედიაშვილის სახელობის კლუბი).

**შოთა ბოკერია.**

**სურათებზე:** გიორგი ნიკურაძის და ხარაგაულელი ნუგზარ ტაბატაძის შეხვედრის მომენტი; ტურნირის გამარჯვებულები.

რობერტ ბაზოიანის ფოტო.





— ყოველი მხრიდან —

## „ოსკარი“ - კრამნიკს

ყოველწლიური „ოსკარის“ მფლობელი პირველად გახდა რუსი დიდოსტატი ვლადიმერ კრამნიკი. ამ საპატიო პრიზს წლის საუკეთესო მოჭადრაკეს უკვე მეექვსე წელია ანიჭებს ჟურნალი „64“. მე-14 მსოფლიოს ჩემპიონმა დააგროვა 3796 ქულა და საგრძნობლად გაუსწრო ფიდეს მსოფლიო ჩემპიონს, ინდოელ ვიშვანათან ანანდს (3410) და მე-13 მსოფლიო ჩემპიონს გარი კასპაროვს (3372).

58 ქვეყანაში შედგენილ 329 ანკეტიდან კრამნიკს პირველი ადგილი მიაკუთვნეს 179-მა, ანანდს — 78-მა, კასპაროვს — 60-მა.

ათ საუკეთესო მოჭადრაკეს შორის დაასახელეს აგრეთვე შიროვი (ესპანეთი), მაიკლ ადამსი (ინგლისი), ალექსანდრე გრიშჩუკი (რუსეთი), ალექსანდრე მოროზევიჩი (რუსეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), ალექსანდრე ხალიფმანი (რუსეთი).

## კომბინეზონი მოიპარეს

ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის განცხადებით, მოიპარეს ცნობილი ვერცხლისფერი კომბინეზონი, რომელში გამოწყობილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა კეტი ფრიმენმა აანთო 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების ცეცხლი. შავ ბაზარზე ამ რელიქვიის ფასი 50 ათასი დოლარია.

## ოლიმპიური პროგრამა ფართოვდება?

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პასუხისმგებელმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამოყვარულო გოლფის საერთაშორისო საბჭომ (**WAGE**). მიმართა თხოვნით, — ჩართონ გოლფი 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. მოყვარულებს მხარი დაუჭირა გოლფის პროფესიულმა ლიგამაც (**PGA**), რომელთანაც სოკ-ი მართავს კონსულტაციებს ამ საკითხზე.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიურ პროგრამაში სპორტის ამ სახეობის შეტანის ცდა იყო 1996 და 2000 წლების თამაშების წინაც, მაგრამ ორივეჯერ უარი მიიღეს.

სოკ-ის სპორტულმა დირექტორმა ჟილბერ ფეიმ განაცხადა, რომ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში თამაშებში მონაწილეობას მიიღებენ პროფესიონალი გოლფისტებიც.

ოლიმპიური „ოჯახის“ წევრებად გახდომას ცდილობენ აგრეთვე რაგბი, ბოულინგი, ბილიარდი, ბოლიბოლდინგი, საბალო ცეკვები, სკეოში და სერფინგი. მათი განცხადების განხილვას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სექტემბერ-ოქტომბერში დაიწყებს.



**სურათზე:** გამოჩენილმა გერმანელმა ჩოგბურთელმა ბორის ბეკერმა მონაწილეობა მიიღო გოლფის მცირე შეჯიბრებაში, რომელიც გერმანიაში პროფესიონალთა სუპერტურნირის წინ გაიმართა. ბეკერის კონსულტანტი იყო მსოფლიოს საუკეთესო გოლფისტი ამერიკელი ტაიგერ ვუდსი (უკანა პლანზე).

**სპორტის რედაქცია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# სახიობა

თეატრალური გაზეთი

„საქართველოს რესპუბლიკის"
ყოველთვიური დამატება

№5
(53)


...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა [illegible] ერისათვის. კულტუ[illegible]რა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

**სანდრო ახმეტელი.**

## მოგონებანი ავტოგრაფითურთ

### რუბრიკას უძღვება ნანა ღვინეფაძე

დროს ერთი საოცარი თვისება აქვს, იგი ჩვენდაუნებურად აწესრიგებს ყველაფერს. ერთ წრედ კრავს აწმყოს, წარსულსა და მომავალს. ამ განზომილებაში ვცხოვრობთ, ვიბრძვით, ვფიქრობთ, გვიყვარს და ვეძიებთ ადამიანები. ასე იქმნება ჩვენი ცხოვრების წიგნი, რომელშიც მოგონებებად ლაგდება ნანახი და განცდილი, გარდასულ დღეთა შთაბეჭდილებანი.

განსაკუთრებულ ინტერესს კი იმ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმართ ვიჩენთ, რომლებიც ჩვენს გვერდით არსებობენ, მაგრამ, ჩვენგან განსხვავებით, სხვა სამყარო ასულდგმულებთ. ასეთთა რიცხვს კი, უწინარესად, ალბათ, მწერლები, პოეტები, მსახიობები მიეკუთვნებიან, სწორედ ამან განაპირობა ჩემი სტუმრობა ბატონ კოტე მახარაძესთან, რომელმაც, ვფიქრობთ, საკმაოდ საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო და ამ ხნის მანძილზე მოსაგონარიც დაუგროვდა. თანაც მასთან სწორედ მაშინ მივედი, როცა თავის სამუშაო ოთახში საწერ მაგიდას მისჯდომოდა და ფურცლებს ჩაჰკირკიტებდა. თვალი მომკრა ოთახში შესულს, თავი აიღო და ღიმილით მითხრა, – წიგნზე ვმუშაობ, ალბათ, მალე დავამთავრებ, ჩემი წლოვანების კაცს გასახსენებელი ბევრი აქვს. განვლილი წიგნად აიკინძება, მანამდე კი...

# სცენაზე ლოდინის თამაში მიყვარდა...

### ყველაზე მთავარი

– მოდით, შორიდან დავიწყებ, პირველი ქალიშვილის, მაკას დაბადებიდან. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი მოვლენა. ცოცხალი ადამიანი რომ ევლინება ამ ქვეყანას და ის შენია სისხლით, ხორცით და ყველაფრით, ეს შოკის შეგრძნებას იწვევს, მით უფრო, ახალგაზრდობაში. ჩემი მეუღლე მეუბნებოდა, ყველა ბავშვი წითელია, ნახე ეს როგორი თეთრიაო. დედამისს ეჩვენებოდა, რომ მისი შვილი ყველაზე ლამაზი იყო. მერე შენც ბუნებრივად ექცევი ამის ტყვეობაში, გეჩვენება, რომ ყველაზე ლამაზია შენი შვილი, მაგრამ ხომ იცით, მამას ყოველთვის ვაჟი უნდა, გვარის გამგრძელებელი, ჰოდა ივიკო გაჩნდა, მესამე კი ისევ გოგონა. ესეც ჩემი ცხოვრების სამი საოცრება!

*ოთახში უამრავი რამ იქცევს ყურადღებას. მზერა გამირბის. კედლები ფოტოებად ქცეული მოგონებებს ახსიეებს. ხშირად რამდენს იტევს სულ ერთი წამი. აქ ყველაფერი თეატრით სუნთქავს. წამიერად ცოცხლდება ჩემს თვალწინ სცენები სპექტაკლებიდან. აი, იმ სურათზე, ქალბატონი ვერიკო მარტო ზის, ხელები მუხლებზე დაუწყვია და ფიქრობს. რა საოცარი თვალები აქვს წარსულს. ამ მზერის ტყვეობაში ვექცევი უნებურად, მაგრამ მახსენდება...*

**– ბატონო კოტე, ბავშვობიდან საგზლად რა გამოგყვათ?**

– ერთმა მწერალმა ხუთი-ექვსი წლის წინათ მითხრა, ბედის ნებიერა ხარო. ვერ ვიტყვი, რომ ეს მთლად ასეა, მე ღარიბ ოჯახში დავიბადე. დედა I სკოლის ბიბლიოთეკის გამგე იყო, საოცრად განათლებული ქალი. მამა – იმპერატორის არმიის ოფიცერი, მოგვიანებით კი ჩვეულებრივი მოსამსახურე, მაგრამ ამის გამო სულ სდევნიდნენ. იმდენად გაჭირვებული ყოფა გვქონდა, რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, X კლასში ფეხსაცმელიც არ მქონდა, პირდაპირ წინდებზე მეცვა კალოში. ვცხოვრობდით ყოფილ პეროვსკაიას ქუჩაზე. ამ ადგილმა ბევრი რამ განსაზღვრა ჩემს ცხოვრებაში. იქვეა ვერის პარკი, სადაც კალათბურთის მოედანია, ახლოა პირველი სკოლა, რუსთაველის თეატრი, ოპერის თეატრი, კონსერვატორია, მარჯანიშვილისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრები. ე. ი. მე უკვე ხელოვნების სფეროს ალყაში ვიყავი მოქცეული. მერე პირველი სკოლის მეგობართა წრე: ზურაბ ანჯაფარიძე, ნოდარ ანდღულაძე, რეზო თაბუკაშვილი, თენგიზ მუშკუდიანი, ლილი გეგელია, ელენე ყიფშიძე, რომ აღარაფერი ვთქვა სპორტზე: ჩემზე ერთი კლასით უფროსი იყო ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე, ოთხი წლის განმავლობაში თბილისის ჩემპიონები ისე ვხდებოდით კალათბურთში, რომ აღარც კი ვემზადებოდით. ასე რომ, გარემომ ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ განაპირობა. ვერ გახდები ნარკომანი ან ქურდი, როცა შენს გარშემო ასეთი არავინ არის. ჩემი ცხოვრება პრინციპში ბავშვობიდან გამოყოლილმა ხელოვნებისა და სპორტის სიყვარულმა განსაზღვრა.

### გზა თეატრამდე

– შვიდი წლის ვიყავი, როცა დედამ საბალეტო სტუდიაში მიმიყვანა. ცოტა ხანში ვახტანგ ჭაბუკიანი ჩამოვიდა და უცბად თავში ყველაფერი დატრიალდა. არაფერი არ მინდოდა გარდა იმისა, რომ მისნაირი ვყოფილიყავი. მერე აკაკი ხორავა ვნახე ოტელოს როლში. ამან საერთოდ გამაოგნა. მამიდა იხსენებდა ხოლმე, რომ ღამით გაბოდებდა ოტელოსო. საოცრება იყო ეს უნებლიე გავლენა. მამა კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ მსახიობი გამოვსულიყავი, უნდოდა იურისტი ან მათემატიკოსი ვყოფილიყავი. როგორ ასცდა ჩემი ბიჭი გზასო, – ამბობდა ხოლმე, მაგრამ მე არ მგონია, რომ არჩევანში შევცდი.

ათი წლის ვიყავი, რომ „მაკნატუნაში" ვითამაშე. წლები რომ გავიდა და ვიხსენებ, რომ ევგენი მიქელაძე იყო ამ სპექტაკლის დირიჟორი და სოლიკო ვირსალაძის კოსტიუმი მეცვა, არ მჯერა, რომ ეს რეალობაა. ბედმა გამიღიმა. ჩემი პირველი პარტნიორი ელენე ყიფშიძე იყო. ამ სპექტაკლში ის მაშას როლს თამაშობდა და, ალბათ, ერთი საუკეთესო ბალერინა იქნებოდა, რომ არა ბედის სიმუხთლე. მეოთხე კლასში ვიყავით, ზაფხულის არდადეგებზე დასასვენებლად წავედით. ლენა ქარელის რაიონიდან არის, საყიფშიძეოდან და ზაფხულსაც იქ ატარებდა. არ ვიცი, ასე უცბად რა მოხდა, სოფლიდან ფეხებგაღრეცილი ჩამოვიდა, მერე კი გაუსწორდა, მაგრამ ისე არა, რომ ბალერინა გამხდარიყო. ამის გამო გავიდა საბალეტო სტუდიიდან. ლენას სახით ნიჭიერი, პოტენციური ბალერინა დაიკარგა. თუმცა არ დაიკარგა თეატრისთვის, ძალზე პლასტიკური იყო, მან თეატრში გამოიყენა ეს ნიჭი.

საბალეტო სტუდიას რომ ვამთავრებდი, ბალეტი „კოპელია" დაიდგა. ამ სპექტაკლზე ძალიან სერიოზულად ვიმუშავე. უკვე ვმერყეობდი თეატრსა და ბალეტს შორის. ბოლოს მაინც გადასძლია მსახიობობისაკენ სწრაფვამ.

*... ტელეფონი რეკავს, მომენტით ვსარგებლობ და კვლავ კედლისაკენ ვაპარებ თვალებს. ერთი ფოტო განსაკუთრებით იქცევს ჩემს ყურადღებას. ქალბატონ სოფიკოს თეთრი თავსაბური ახვევია, მხოლოდ სახე ჩანს. მარტო თვალები კი არა, სახის ყველა ნაკვთი მეტყველია, შეუძლებელია ოთახში ამ სახის არსებობა ვერ იგრძნო. ალბათ, ამ ფოტოს შეხვედრას დავარქმევდი, ან...*

**– ბატონო კოტე, შეუძლებელია არ მოეხიბლეთ ამ სახეს, როგორ შეხვდით ქალბატონ სოფიკოს?**

– ყველაფერი ასე დაიწყო. მოსკოვში ვიყავით მე და რეზო ჩხეიძე ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე, სწორედ იქ მითხრა რეზომ, რომ ფილმის – „ჩვენი ეზოს" გადაღებას აპირებდა. ვკითხე, ვინ მიიღებდა მონაწილეობას. გიორგი შენგელაია და სოფიკოო, – მითხრა. დავინტერესდი, ვინ სოფიკოს გულისხმობდა, როცა გავიგე, გავობოდით. ნელ-ნელა, თანდათან მოხდა ყველაფერი, ჩვენი შეხვედრა შედგა.

**თეატრის ერთი გამხელილი „ცოდვა".**

– გაგიმხელთ, რომ თეატრს აქვს ერთი მაგია – შეიძლება არც არასოდეს არაფერი მომხდარიყო ჩემსა და სოფიკოს შორის „ურიელ აკოსტაში" რომ არ გვეთამაშა ცდი, არ ვიცოდი, ვერიკოსა და მიშას ქალიშვილიც თუ ჰყავდათ. არადა, სოფიკოს უფროსი ძმა – რამაზი და მე თითქმის საბავშვო ბაღიდან ვმეგობრობდით. სოფიკო ჩვიდმეტი წლის ხდებოდა, როცა მე გავიგე, რომ იგი არსებობდა!

ერთხელ, შემთხვევით დავინახე ეკრანზე. რა თქმა უნდა, შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ გაფიქრებასაც ვერ გავბედავდი, რადგან იგი უკვე გათხოვილი იყო. მე ჩემი ცხოვრებით ვცოცხლობდი, ნელ-ნელა მივიწევდი წინ იმ საფეხურებით, რომელიც ყველა ხელოვანმა, მსახიობმა გაიარა. მერე რუსთაველის თეატრში შევხვდით. რომ გითხრათ, ყურადღებას არ ვაქცევდი-მეთქი, ეს ტყუილი იქნება, მაგრამ იმის დაშვება არ შემეძლო, რომ ჩვენ ოდესმე ერთად ვიქნებით ერთად, სადაც ის რაღაც, რაც ჩვენში ხდებოდა თურმე, თანდათან იკრებდა ძალას და როცა ანალოგიურ სცენურ სიტუაციაში აღმოვჩნდით, ამ ყველაფერმა უცბად იფეთქა!

მას შემდეგ ძალიან ბევრი დრო გავიდა, რაც მე და სოფიკო ერთად ვართ. ავაშენეთ სახლი, შევქმენით თეატრი. არ ვჩხუბობთ-მეთქი, ვერ გეტყვით. ჩვენდა ბედად, არ განვეკუთვნებით იმ შეწყვილებულ მსახიობებს, რომლებიც აღტაცებულნი არიან ერთმანეთით, პირიქით, – სოფიკო სულ კრიტიკის ქარ-ცეცხლში მატარებს. არც მე ვაკლებ. ამან უფრო გააძლიერა ჩვენი თანაცხოვრება. ნარცისიზმის ტყვეობიდან ორივე თავისუფალი ვართ. მერე, არ მოხდა ის, რასაც ორივე ველოდით, რომ საზოგადოებრიობა გაგვერიყავდა, – ამანაც გაგვიიოლა ყოფა.

### ერთი მსახიობის თეატრი – ნაბიჯი საკუთარი თავისაკენ

– მე არ მახსოვს, სოფიკოს უთქვამს თუ არა როდისმე ჩემთვის ქათინაური. ერთადერთი, როცა ერთი მსახიობის თეატრი შევქმენი, მაშინ თქვა: „აი, შენ ნამდვილად იპოვე შენი თავი". ალბათ, მართლაც ასეა. ერთი მსახიობის თეატრის შექმნის იდეა ვალერი ასათიანს ეკუთვნის, ამ იდეის განხორციელებაც მან ითავა. პირველი სპექტაკლი ილია ჭავჭავაძე იყო, რომელიც მართლა კარგი გამოგვივიდა. მას მოჰყვა სპექტაკლი ქართველ-ებრაელთა ურთიერთობაზე, რომლის ავტორიც იყო შესანიშნავი პიროვნება, მწერალი ჯემალ აჯიაშვილი. დიდხანს ვერ შემოვიტყუეთ მსახიობები, რადგან ერთი სირთულე ახლავს ასეთ თეატრს – სცენაზე მარტო ყოფნის მომენტი. მე უკვე მქონდა ამის გამოცდილება, საერთაშორისო გადაცემების დროს მიკროფონით მილიონობით ხალხს ველაპარაკებოდი. შემდეგ, გამოჩნდა მურმან ჯინორია, შესანიშნავი მსახიობი, მანაც, შეიძლება ითქვას, ამ თეატრში იპოვა საკუთარი თავი. ამას მოჰყვა მისი და სოფიკოს სპექტაკლი „დედა დედოფალი". შემდეგ დაიდგა მარინა ჯანაშიას სპექტაკლი „კარმენი", რომელშიც მან ანტიკური იონის პრიზი აიღო, ეს პრიზი მონოსპექტაკლებში ოსკარად ითვლება. უფრო ადრე მე ავიღე გრან პრი. მურმანმა მარჯანიშვილის, ხოლო სოფიკომ რუსთაველის პრემია მოიპოვა. ასე რომ, ჩვენს პატარა თეატრს წელიწადი არ გაუცდენია უპრემიოდ.

**– დღევანდელი გადასახედიდან როგორ თვლით, მაინც რომელ სპექტაკლში ამოწურეთ თქვენი შესაძლებლობები?**

– იცით, საოცრად მიყვარდა მოსამართლის როლი მონოპიესაში, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში იდგმებოდა. მგონი, ცუდად არ ვთამაშობდი, მაგრამ ეს არ იყო რაღაც განსაკუთრებული. ძალიან მწყინს, რომ კარგად ვერ ვითამაშე ბარონი მიუნჰაუზენი. სულ ვოცნებობდი მეთამაშა დონ სეზარ დე ბაზანი. გოგი გეგეჭკორმა ითამაშა ბრწყინვალედ ეს როლი.

ალბათ, „ურიელ აკოსტაში" ვითამაშე კარგად, მაგრამ როცა ჩემამდე ისეთი დიდი მსახიობი თამაშობდა, როგორიც უშანგი ჩხეიძე იყო, ამის თქმაც ძნელია.



იხ. მე-6 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 119, შაბათი, 19 მაისი, 2001 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაოზა

# „ბერიკები" და ბურატინო

ამას წინათ აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში სკოლა-სტუდია „ბერიკების" პატარა მსახიობებმა თავიანთ თანატოლებს წარმოუდგინეს ა. ტოლსტოის „ბურატინოს თავგადასავალი" ა. შაპიროს ინსცენირებით.

ნამდვილად შთამბეჭდავი იყო ყმაწვილების თამაში. ბავშვები ზუსტად ასრულებდნენ სპექტაკლის ორგანიზატორთა, სკოლა-სტუდია „ბერიკების" დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის გოგი თოდაძის, მეტყველების პედაგოგის თამუნა ბუხნიკაშვილის, ვოკალის პედაგოგის ზურა ჭარელაშვილისა და დამდგმელი რეჟისორის დათო ნიკოლაძის მითითებებს. რარიგ სასიამოვნოა, რომ პატარებმა კარგად გაართვეს თავი სპექტაკლს, რისთვისაც მათი თანატოლებისა და უფროსების სიმპათია დაიმსახურეს.

ყმაწვილები კარგად მოერგნენ თავიანთ როლებს. დასამახსოვრებელი იყო ნათია ზაუტაშვილის დურემარი, მის თვალებში ბავშური ეშმაკობა ბრწყინავდა. გოგონა სცენაზე იმდენად მოხდენილი იყო, თითქოსდა დაბადებიდანვე დურემარად დაბადებულიყო.

პატარა მაყურებლები მოხიბლეს ბურატინოს როლის შემსრულებლებმა გიორგი ბუბაშვილმა და დათო ალადაშვილმა. ისინი სცენაზე სხარტად და გონივრულად მოქმედებდნენ. აღსანიშნავი იყო ყარაბას-ბარაბასის როლის შემსრულებელი ნიკუშა ქოქრაშვილი, რომელიც ძალას არ იშურებდა თავი უხეშ, გულქვა თეატრის მეპატრონედ წარმოედგინა, რასაც ჩინებულად ახერხებდა. პატარა მალვინა – ცისფერთვალა „თოჯინა" თავისი სინაზით ყველას ატყვევებდა. არტემონის როლს ირაკლი თურქაძე ასახიერებდა, პიეროს – გიორგი ყორღანაშვილი, კატა ბაზილიოს – აჩიკო ყაჭაშვილი, მელია ალისას კი სამი შემსრულებელი ჰყავდა: გვანცა მიქელაძე, სალომე ყარალაშვილი და ქეთი შათირიშვილი; სასტუმროს დიასახლისი – სალომე საძაგლიშვილი თავაზიანი დიასახლისისაგან წამში საოცარი არტისტიზმით მრისხანე ქალბატონად გადაიქცა.

იმ დღეს ზეიმი იყო აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ სკოლა-სტუდიის ხელმძღვანელობამ პატარა მსახიობებს და მათ მეგობრებს მადლობა გადაუხადა და ბედნიერი მომავალი უსურვა. ტაშთან ერთად დიდხანს ისმოდა მხიარული შეძახილი: „ბე-რი-კე-ბი"! „ბე-რი-კე-ბი!"

**რუსუდან მუხაძე.**



**სურათზე: სპექტაკლის მონაწილე „ბერიკები".**

მუსიკა



# დიტცენბახიდან ბორჯომამდე ერთი ნაბიჯი ყოფილა

## ლიანა ისაკაძის ახალი სიურპრიზი



საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღემდე – 26 მაისამდე ჯერ კიდევ ერთი კვირა გვაშორებს და მაინც, სწორედ ამ დღეს მიუძღვნა საქველმოქმედო კონცერტი საქართველოს სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა (სამხატვრო ხელმძღვანელი ლიანა ისაკაძე, მთავარი დირიჟორი გიორგი ჟორდანია) შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში 18 მაისს. იკითხავთ, ალბათ, რატომ იჩქარა და სწორედ დღესასწაულს რატომ არ დაამთხვია ორკესტრის გამოსვლა კამერული მუსიკის ცენტრმაო, რომლის ეგიდითაც მოღვაწეობს ეს კოლექტივი. ამ „აჩქარებას" წონადი მიზეზი აქვს, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ, თუმცა, მანამდე ორიოდე სიტყვას თვით კონცერტის შესახებ გეტყვით.

როგორც აღვნიშნე, კონცერტი საქველმოქმედო იყო – შემოსული თანხით რუსთაველის თეატრის შენობის აღდგენის საქმეში საკუთარი წვლილი შეიტანა კამერულმა ორკესტრმა. გარდა ამისა, ასოციაცია „მესამე ასაკის" მეოხებით მუსიკის ამ დღესასწაულს არაერთი მარტოხელა მოხუციც დაესწრო და რამდენადმე გაიხალისა ყოფა. კონცერტს სპონსორობა საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამაც გაუწია მამუკა ხაზარაძის თავკაცობით, რომელსაც საერთოდ დიდად ემადლიერება, როგორც კამერული მუსიკის ცენტრის დირექტორი მანანა დავითაშვილი, ასევე ორკესტრის ხელმძღვანელობაც.

საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრს, ამჯერად, გერმანელი დირიჟორი და კომპოზიტორი უვე ბერკემერი უძღვებოდა – ადამიანი, რომელსაც დიდი მეგობრობა აკავშირებს ლიანა ისაკაძესთანაც, ჩვენს ორკესტრთანაც და ჩვენს ქვეყანასთანაც, – იმდენად დიდი, რომ შარშან გერმანიაში ორკესტრს გასტროლისას მევიოლინე ბელა მახარაძეს „დაადგა თვალი", და დღეს მათ მეუღლეთა გვირგვინი აკავშირებს. საგულისხმოა, რომ ორკესტრის შარშანდელი ჭეშმარიტად წარმატებული გერმანული შემოქმედებითი „ვოიაჟის" შემდეგ, უვე ბერკემერი თავისივე თხოვნით, ორკესტრის მოწვეულ საპატიო დირიჟორადაც იქცა. ამჯერად კი, კიდევ ერთი სიურპრიზი შემოგვთავაზა – ვივალდის, მოცარტის, შუმანის, გრიგის ნაწარმოებებთან ერთად, მან საკუთარი თხზულებაც გაგვაცნო – ფანტაზია სიმებიანი ორკესტრისათვის, რომელიც მეუღლესა და საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრს მიუძღვნა და რომლის საფუძვლად ქართული თემები, მოტივები იქცა.

ყოველივე ეს იყო გუშინ, დღეს კი, ჩვენი კამერული ორკესტრი გერმანიაში მიემგზავრება, რათა კვლავაც მიიღოს მონაწილეობა უკვე ტრადიციად ქცეულ საერთაშორისო ფესტივალში, რომელსაც ქალაქი დიტცენბახი მასპინძლობს. იქ შეეგებება და შეუერთდება თავის კოლექტივს ლიანა ისაკაძეც. ამ ფესტივალის, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი უვე ბერკემერია, საბაზო ორკესტრი სწორედ ჩვენი კამერულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მუდამ წარსდგება ფესტივალის აუდიტორიის წინაშე ამ ფორუმის ეგიდით. დიტცენბახის მუსიკალური ფესტივალი, რომელიც შარშან მაისში დაარსდა, წელიწადში ორჯერ იმართება – მაისსა და სექტემბერში და მასში მონაწილეობენ ცნობილი მუსიკოსები და მუსიკალური კოლექტივები. შარშანდელი შემოდგომის ფესტივალი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პატრონაჟით გაიმართა. ამჟამინდელი ფორუმიც ბატონ ედუარდის სახელს დაუკავშირდა.

ახლა კი, ერთ სასიამოვნო და ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან სიურპრიზსაც გაგიმხელთ – გერმანულმა მხარემ სიამოვნებით აიტაცა ლიანა ისაკაძის იდეა, თაოსნობა და გაისიდან ფესტივალს ახალი სახელწოდება მიენიჭება – „ბორჯომი-დიტცენბახის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი". ცხადია, ეს მხოლოდ სახელწოდების გაფართოება არ არის – მომავალი წლიდან მაისის ნაცვლად, სავარაუდოდ, ივლისში დიტცენბახის ნაცვლად საგაზაფხულო ფესტივალს ჩვენი საკურორტო ქალაქი ბორჯომი უმასპინძლებს. უკვე განახლებულ და გაფართოებულ (მუსიკის გარდა წარმოდგენილი იქნება ხელოვნების სხვა სფეროებიც) ფესტივალს ორი სამხატვრო ხელმძღვანელი ეყოლება – ლიანა ისაკაძე და უვე ბერკემერი. ამგვარად, ლიანა ისაკაძე კიდევ ერთ (ჩვენი ქვეყნისთვის) უპრეცედენტო შემთხვევას უყრის საფუძველს – ორმხრივ საერთაშორისო ფესტივალს. პროექტზე მუშაობა დასრულებული არ იყო, როდესაც არაერთ ავტორიტეტულ მუსიკოსს, ხელოვანს წინდაწინ გამოუთქვამს ამ ფორუმში მონაწილეობის სურვილი. სასიხარულოა, რომ ქალბატონ ლიანას იდეა საქართველოშიც სიხარულით აიტაცეს. ამ მხრივ დიდად ემადლიერებიან მამუკა ხაზარაძეს, სადაზღვევო კომპანიას „იმედი"-ს, პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს სამცხე-ჯავახეთში გიგლა ბარამიძეს, ბორჯომის გამგებელს ემზარ ასპანიძეს, თუმცა, თუ სხვებსაც გაუჩნდებათ მეცენატობისა და ხელშეწყობის, თანადგომის სურვილი, ვფიქრობ, მადლიერებას ისინიც დაიმსახურებენ. ასეთი ფესტივალის გამართვა კი, რასაკვირველია, კიდევ უფრო მეტად გამოავლენს ქართული კულტურისა და ხელოვნების იერსახის შტრიხებს უცხოელთათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ არანაკლებად მნიშვნელოვან მოვლენაზე – ბორჯომის ხეობის გამოცოცხლების ხელის შეწყობასა და მისი იმიჯის აღდგენა-განმტკიცებაზე.

დიახ, ლიანა ისაკაძე კვლავაც ჩვენს გვერდით არის, კვლავაც ეფერება სამშობლოს და კვლავაც ზრუნავს საქართველოს მომავალზე...

**ზურაბ ოიკაშვილი.**

მოგონებანი ავტოგრაფიულად

# სცენაზე ლოდინის თამაში მიყვარდა...

**(მეხუთე გვერდიდან)**

მე ვთვლი, მაინც, რომ ჩემი ენერგიის, უნარის მაქსიმუმი სტალინში ჩავდე. იქ ურთულესი აქცენტებია, სულ ბეწვის ხიდზე გიწევს სიარული, რადგან ორგვარი პოზიციის მაყურებელი ზის დარბაზში. ერთნი, რომელნიც სასტიკად ვერ იტანენ სტალინს და მეორენი – ფანატიკოსები. ამ დროს მასალის მიწოდება მოახერხო ისე, რომ მათ რაღაც ახალიც უთხრა, ძალიან რთულია, მაგრამ რაღაცნაირად, ალბათ, გავართვი თავი. ეს პიესა შეიძლება მოსკოვში გამოიცეს, როგორც სცენური ნაწარმოები. ისე კი, მე უფრო სხვებში ვეძებ ნამდვილი ერთი მსახიობის თეატრს, ვიდრე ჩემში.

**– ამბობენ, თბილისში განსაკუთრებული მაყურებელიაო. ჩვენ ხომ ყველაფერს ვკარგავთ, მათ შორის ზნეობრივ კრიტერიუმებსაც. საზოგადოების აზროვნების გაპრიმიტიულება კი, ალბათ, ყველაზე უკეთ მაყურებლისა და თეატრის ურთიერთდამოკიდებულებაში ჩანს. ბატონო კოტე, როგორი მაყურებელი ზის დღეს დარბაზში?**

– ტყუილია, რომ თბილისში განსაკუთრებული მაყურებელია. პირიქით – ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მაყურებელია. არ იფიქროთ, რომ მე ქართულს ვედავები რამეს, მაგრამ თბილისში პრემიერას რომ ვთამაშობ, ორი აქტი პარტერთან ომი მაქვს. არადა, მაყურებელია შენი შეფასების კრიტერიუმი, მაგით ცხოვრობ. მაყურებელი თუ დაკარგე, აღარაფერი აღარ ხარ. თეატრი ერთ-ერთი დარგია ხელოვნებისა, სადაც მაყურებელი და ხელოვანი თანაშემოქმედნი არიან. უფრო მეტიც, ხშირად მაყურებელი წარმოდგენის წარმატების განმაპირობებელია, ის კი, დღემდე არ იღებს ზოგჯერ თეატრის ისეთ აშკარა წარმატებას, რომელიც ეჭვგარეშეა.

*თეატრზე საუბარმა ისე შემოყოლია, კინაღამ დამავიწყდა, რომ ბატონი კოტე ორგანულად არის დაკავშირებული ქართულ ფეხბურთთან. იგი, ეროსი მანჯგალაძის შემდეგ, თითქმის შეუცვლელი კომენტატორია. მისი ხმა ყოველთვის იმ დროს მახსენებს, როცა ქართული ფეხბურთი ყოველი ქართველისთვის დღესასწაული იყო.*

– კომენტატორობა იგივე ხელოვნებაა, – მეუბნება ბატონი კოტე. – მას ისევე სჭირდება ოსტატობა და იმპროვიზაციის უნარი, როგორც კარგი სპექტაკლის თამაშს. ბევრი რამის გახსენება შეიძლება ქართულ ფეხბურთზე, მაგრამ ამ მოგონებებს ერთი მაინც გადასწონის. აგერ, ოცი წელი გავიდა, მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამო" თასების თასის მფლობელი გახდა. ეს, მართლაც, დღესასწაული იყო! ამ სიხარულს ალბათ, ვერაფერი შეცვლის, როცა 1981 წ. მე ვაუწყე მთელს მსოფლიოს – „Представляю, что сейчас творится в столице Грузии".

*არ მინდა, ჩემი შეხვედრა ბატონ კოტესთან ისე დასრულდეს, რომ მოგონებათა ზარდახშიდან განსაკუთრებული წამი არ გაცოცხლდეს, წამი, რომლის შეჩერებასაც ინატრებდა მსახიობი, ბატონი კოტე გაოცებული მიყურებს;*

– თქვენ მე, იცოდეთ, ყველაზე ძვირფას კადრს მტყუებთ, – მეუბნება და მიხარია, რომ თხრობას იწყებს.

## შეჩერებული წამი

მახსოვს, მე და სოფიკო მოსკოვში ვართ, ჩვენს შორის ჯერ არაფერია ნათქვამი სიყვარულზე. მოსკოვიდან 33 კილომეტრის მოშორებით რესტორანია „Русская сказка". იქ ვართ ჩვენ და კიდევ თბილისიდან თეატრის ხუთკაციანი ჯგუფი. მოსკოვშია ქალბატონი ვერიკოც. ყველა ხედება, რომ ჩვენს შორის რაღაც ხდება, მაგრამ არავინ არაფერს იმჩნევს. ზამთარია, მოყინულია გზები, თურმე ვერიკო ნერვიულობს, რომ სოფიკო სასტუმროში იგვიანებს, გამუდმებით რეკავს. როგორც იქნა, წამოვიშალეთ, გარეთ გამოვედით, შეზარხოშებული ვარ, სოფიკოს ვაცილებ, მხარზე ხელი ჩამოვდე და ვეუბნები: – ახლა გათავდა ყველაფერი, კარგად იყავი, გადავეშვი პირდაპირ ხრამში და დავიძახე „Прощай", საშინლად დავვარდი, თვალებს ძლივს ვახელ, ავიხედე ზევით და ვხედავ სოფიკო მორბის. ეს იყო საოცარი, განსხვავებული კადრი, რომელსაც დიდი სიამოვნებით შევაჩერებდი.

## მონოლოგი ეპილოგის ნაცვლად

ჩვენ უკვე ვიცხოვრეთ, მარჯანიშვილის თეატრში ჩემი თაობის აღარავინ დარჩა, ფატალურად შემომაცვდა მეგობრები. ქალბატონ ვერიკოს სიტყვა მახსენდება, როცა მარჯანიშვილის თეატრიდან ერთ-ერთ მსახიობს ასვენებდნენ: „მე დავიღალე თქვენი გასვენებით მარჯანიშვილის თეატრიდან". ახლა დროის ამ გადასახედიდან ასაკთან ერთად ტრაგიკულად განვიცდი, რომ მე და სოფიკოს სიყვარულის ნაყოფი არ გაგვაჩნია. არადა, ამ ურთიერთობას ნაყოფი აუცილებლად ეკუთვნოდა, ყოფას, ალბათ, ის აიოლებს და გარკვეულწილად საყრდენადაც ის იქცა, რომ შევიგრძენი არარაობა სიცოცხლისა და სიკვდილისა. ხანდახან, როცა ძალიან ცუდად ვარ, გამოვდივარ ოთახიდან, მივესვენები დიდ სავარძელზე და ჩუმად ველოდები სიკვდილს, სცენაზე ყოველთვის ლოდინის თამაში მიყვარდა...

*... მოგონებების წიგნად აიკინძება წარსული, აწმყო და მომავალი. ვიღაცამ „რაღაცა" გამოიგონა და გაფრინდა, ვიღაცამ „სახლი აგო" და დარჩა. საერთოდ, შეიძლება იკითხო, რატომ მოდიან და მიდიან ადამიანები „მომინანქრებულ" სამყაროში და რატომ თამაშობენ მერე დიდ სცენაზე, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, და მიუხედავად იმისა, რომ კედლებზე მოგონებებად შემორჩენილი აფიშებიდან უკვე დიდი დრო გავიდა, აქ ისეთივე სპექტაკლებს დგამენ, როგორსაც უწინ.*

ესაუბრა

**ანა ჯანიკაშვილი.**

გამოფენის ექო

# ვიფიქროთ, თორემ მერე გვიან იქნება

## „კოსტიუმი თეატრში"

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ ახლახან მოწყობილმა გამოფენამ – „კოსტიუმი თეატრში" – ინტერესი გამოიწვია და განსაკუთრებით თეატრის მოყვარულთა დიდი აუდიტორია მიიზიდა. გამოფენა – „ისტორია, სტილი, კოსტიუმი" სერიიდან – „გადავარჩინოთ ქართული კულტურა", სახელმწიფო მუზეუმის შენობაში საზეიმოდ გაიხსნა სპეციალური პროგრამით, რომელშიც მუსიკაც ჟღერდა (გაფორმება ნ. მემანიშვილისა), ქორეოგრაფიაც იყო წარმოდგენილი (ნ. სამადალაშვილი), და ამავე დროს კოსტიუმებიც „გააცოცხლეს" (მონაწილეები – სააგენტოები „ნატალი" და „იმიჯ ცენტრი").

ამ საქველმოქმედო ხასიათის ღონისძიებას დახმარება აღმოუჩინეს ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ეროვნული ბალეტის ხელმძღვანელობამ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის, შოთა რუსთაველის, კოტე მარჯანიშვილის, ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობის თეატრების, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმის ხელმძღვანელებმა და თანამშრომლებმა, კერძო პირებმა. განსაკუთრებული მადლობის ღირსნი არიან ამ გამოფენის პროექტის დირექტორი მ. ღვალიშვილი, მთავარი კონსულტანტი მ. ბახტაძე, მხატვარი-დიზაინერი თ. გოცირიძე, მხატვარი ნ. ყურაშვილი, გრაფიკული დიზაინის ავტორები ნ. ყურაშვილი, გ. პაქსაშვილი და ბევრი სხვა.

ძნელია ყველა იმ ადამიანის ღვაწლისა და შრომის ჩამოთვლა, რომელთა გარეშეც გამოფენა ვერ შედგებოდა.

მოკლე გზამკვლევში ლაკონურად არის გადმოცემული გამოფენის მიზანი – თუ რა დიდი შემეცნებითი და ესთეტიკური მნიშვნელობა ჰქონდა მას. აღნიშნულია, რომ კოსტიუმი „სპექტაკლის გაფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, ერთ-ერთი მთავარი გამომსახველობითი საშუალებაა სცენური სახის შესაქმნელად".

...თეთრ, ქათქათა დარბაზებში სიჩუმეს არღვევდა წყნარი, კლასიკური მელოდიები, „გაცოცხლებული" მანეკენები. მათზე მორგებული კოსტიუმები თვალს ახარებდა, მაყურებელი ტკბებოდა ცნობილი თეატრალური მხატვრების – დ. სიდამონ-ერისთავის, ი. გამრეკელის, პ. ოცხელის ე. ახვლედიანის, დ. კაკაბაძის, ს. ვირსალაძის, ი. სუმბათაშვილის, ა. ლაპიაშვილის, ო. ქოჩაკიძის, ა. სლოვინსკის, ი. ჩიკვაიძის, ნ. იგნატოვის, თ. სუმბათაშვილის, გ. მესხიშვილის, მ. ჭავჭავაძის და სხვათა ნიჭითა და ფანტაზიით შექმნილი ხელოვნების შედევრებით...

მაყურებელი ათვალიერებდა კოსტიუმებს, სხვადასხვა სცენურ აქსესუარს და თითქოს თეატრის ზღაპრულ სამყაროში გადადიოდა. მის წინ თითქოს ცოცხლდებოდნენ დიდი მსახიობების მიერ შექმნილი განუმეორებელი სახეები – მაყურებელმა ნახა ა. სუმბათაშვილი-იუჟინის პერანგი, მანტო, ჟილეტი, „რომეო და ჯულიეტადან", ა. ხორავას კოსტიუმი „ივანე მრისხანედან", ა. ვასაძის იაგოს კოსტიუმი, ვ. ანჯაფარიძის კაბები სპექტაკლებიდან „ურიელ აკოსტა" და „ხეები ზეზეურად კვდებიან", მ. ჯაფარიძის, ვ. გოძიაშვილის, ს. თაყაიშვილის, პ. კობახიძის, ს. ინაშვილის, ე. ყიფშიძის, ე. მანჯგალაძის, ს. ჭიაურელის და სხვათა კოსტიუმები. აქ იყო ხელოვნური ყვავილები, წამოსასხამები, სხვადასხვა ჩაცმულობა. ყველაზე მდიდარი და მრავალფეროვანი იყო ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ბალეტის სოლიკო ვირსალაძისეული გენიალური კოსტუმების ექსპოზიცია.

გამოფენამ სევდაც გამოიწვია და ტკივილიც იმის გამო, რომ ჩვენს წინ გაცოცხლდა ოდესღაც ნანახი სცენური შედევრები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენს სულში... წავიდა... გაქრა, ჩვენ კი გვახსოვს, გვესმის ა. ხორავას მჭექარე ხმა, ვერიკოს ივდითის და მარგარიტა გოტიეს სევდიანი ხმები.

სპექტაკლი... მას ძალზე მოკლე სიცოცხლე უწერია, იგი ცოცხლობს მხოლოდ იმდენ ხანს, სანამ მსახიობები სცენაზე არიან, დაიხურა ფარდა და... სპექტაკლი მოკვდა, აღარ არის, თვით მსახიობსაც კი არ შეუძლია იმის გამეორება, რასაც იგი სცენაზე აკეთებდა. სპექტაკლი განუმეორებელია. იგი ერთ საღამოს იბადება და კვდება... ასეთია ხელოვნების ამ სახის სპეციფიკა და მით უფრო მნიშვნელოვანია მისგან რაღაცის შენარჩუნება. დღეს, ფერადი ხმოვანი კინოს არსებობის დროს, ჩვენ ათეული წლების მანძილზე ვერ გადავიღეთ და ვერ შევინარჩუნეთ მომავალი თაობებისათვის დიდ ქართველ ხელოვანთა სცენური სახეები. ვერ გადავიღეთ ვერც ერთი სპექტაკლი და ახალი თაობა ვერ იხილავს ჩვენი სცენის გიგანტებს – ვ. ანჯაფარიძეს, ა. ხორავას, ა. ვასაძეს, ს. თაყაიშვილსა და ბევრ სხვას, რომელთა გარეშეც ჩვენი ეროვნული კულტურა წარმოუდგენელია... მოკვდა სპექტაკლები... აღარ არიან ცოცხლები ადამიანები, რომელთა ხელოვნება განუმეორებელია, დაშალეს დეკორაციები და დაჭრეს, მოსპეს ბევრი კოსტიუმი, რომლებიც მხატვრობის შედევრებს წარმოადგენდნენ.

განა გულდასაწყვეტი არ არის ის, რომ არ გადარჩა, დაჭრეს, დაკუწეს და გადააკეთეს ვ. ანჯაფარიძის კაბები „მარგარიტა გოტიედან", „მედეადან" და სხვა როლებიდან. გადარჩენილია ა. ხორავას ოტელოს კოსტიუმი, ისიც მოსკოვში, ბახრუშინის მუზეუმში, განა არ უნდა შემოგვენახა თ. ჭავჭავაძის ლაურენსიას, ვ. გოძიაშვილის ლუარსაბის ან ს. თაყაიშვილის ელისაბედის, გ. შავგულიძის, ს. ქორქოლიანის, სხვათა და სხვათა კოსტიუმები. რატომ არ უნდა გვენახა ო. მელვინეთუხუცესის, რ. ჩხიკვაძის, გ. გეგეჭკორის, ნ. მგალობლიშვილის, კ. მახარაძის, გ. სალარაძისა და სხვათა და სხვათა საუკეთესო მსახიობთა სამოსელი, ეს ხომ ხელოვნების ნაწარმოებებია, მათში ხომ დიდ ხელოვანთა სულია ჩაქსოვილი.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ დიდი ისტორიული კულტურის ერი ვართ, მაშ რატომ არ ვუფრთხილდებით იმას, რაც მომავალ თაობებს საამაყოდ უნდა დარჩეს, რატომ ვექცევით ასე დაუდევრად იმას, რაც აღარ აღდგება, წავა და დაიკარგება წარსულში...

დიდმა მსახიობმა და ქართველმა პატრიოტმა ა. ი. სუმბათაშვილმა (იუჟინმა) ანდერძი დატოვა – მისი თეატრალური კოსტიუმები საქართველოში ჩამოეტანათ. მოსკოვის მცირე თეატრის ხელმძღვანელობამ ეს ანდერძი შეუსრულა, თეატრის გასტროლების შემდეგ, ს. ზაქარიაძეს გამოატანეს შესანიშნავად ნაკეთები ქართული სკივრი, რომელშიც ეწყო დიდი მსახიობის კოსტიუმები. ეს სკივრი დიდხანს ეგდოთ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის საკოსტიუმოში, შემდეგ მოიპარეს სკივრი, ოთარბეგის ხმალი და კოსტიუმი „ღალატიდან" და ა. შ. გადარჩა მხოლოდ ის სამი სამოსელი, რომლებიც გამოფენაზე იყო წარმოდგენილი.

საზღვარგარეთ, გერმანიაში, დავათვალიერე ერთ-ერთი თეატრის კულისები, სადაც ვრცელი დარბაზებია; იქ ინახავენ მსახიობთა კოსტიუმებს, დეკორაციებს, ამის ნახვას არაფერი სჯობდა. ჩვენ კი, ჩვენ ისედაც ბევრი რამ შემოგვეფლანგა და სანამ გვიან არ არის, იქნებ ამას მაინც მოვუაროთ, რაც გადარჩა, შევინახოთ, დავუტოვოთ შვილებსა და შვილთაშვილებს, მათ ხომ უნდა იცოდნენ „ვისი გორისა არიან", ვინ იყვნენ მათი წინაპრები, რა შექმნეს და რა სულიერ სიმდიდრეს ფლობდნენ. ვიფიქროთ და ვიზრუნოთ ამაზე, თორემ ყველაფერი გვიან იქნება, თუ კი ფესვები ამოეთხარეთ...

...ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ, ეს ყველა ჩვენთაგანის ვალია.

**ნადია შალუტაშვილი.**

მხარე

# მონატრებული თეატრი

კარგა ხანი გავიდა, რაც ტყიბულის სახალხო თეატრს ახალი სანახაობით აღარ გაუხარებია მაყურებელი. ბოლოს, დიდი მონდომებითა და ადგილობრივი ხელმძღვანელობის დახმარებით, დაიძრა საქმე – ორგზის საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატმა დასმა წარმოადგინა მერაბ ბერაძის ტრაგი-კომედია „მზე ნეკერჩხლის ტყეში".

სპექტაკლი მიეძღვნა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 56-ე წლისთავს. პიესაში ასახულია მეორე მსოფლიო ომში ქართველი ახალგაზრდების თავდადება, მაყურებელს აღელვებს ომის ეპიზოდების გახსენება. ახალგაზრდა მეომრები არ ეპუებიან მტერს და გმირულად სწირავენ სიცოცხლეს. ამაღელვებელია უკანასკნელი ამოძახილი: „ჩვენ ცოცხლები ვართ, მტერმა ვერაფერი დაგვაკლო, ჩვენ ჩვენს დედებში, მამებში, დებსა და ძმებში ვაგრძელებთ სიცოცხლეს". ისინი კვდებიან რწმენით, რომ სამშობლო და შთამომავლობა მათ არ დაივიწყებს.

გამოცდილ რეჟისორს, კულტურის დამსახურებულ მუშაკს – რ. ქორქოლიანს, მხატვარ-დეკორატორს – მ. დოხნაძეს, მუსიკალურ გამფორმებელს – თ. ბუაძეს ცოდნა და მონდომება არ დაუკლიათ ადამიანური ტკივილებით აღსავსე სპექტაკლის შესაქმნელად. პირველი ეპიზოდიდანვე დაწყებული, ფარდის დაშვებამდე, მაყურებლის დაძაბულობა და ინტერესი არ განელებულა.

წარმოდგენაში კარგად იგრძნობა უტეხი ქართული გენი, მონაწილენი გამოირჩევიან სიმართლით, სცენური ზომიერებით უშუალობით გამახსოვრდებათ მოყვარული მსახიობები: ე. ჭლიკაძე (სევე), გ. საყვარელიძე (უჩა), გ. აშოთია (ნიკა), ს. საყვარელიძე (ფაცია).

ქალაქის ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად წარმოდგენას ესწრებოდა პიესის ავტორი მერაბ ბერაძე, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ნიჭიერ სცენისმოყვარეთა ნამუშევარს და კვლავ შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე დღეები უსურვა მათ.

ტყიბულელთა ახალმა წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ სახალხო თეატრი ამ ქალაქის სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

**ნუნუ გომართელი.**

გახსენება

# ლადიკო ბაჯელიძის ასი როლი



ოზურგა ქალაქ ოზურგეთის ერთ-ერთ ბორცვს მოიდანახე ჰქვია. მოიდანახეში (მოდი და ნახე) კარგად ასოცირდება თეატრი და თეატრალი. სწორედ აქ, ახლანდელ პავლე ინგოროყვას ქუჩაზე, ბინადრობდა ვლადიმერ ბაჯელიძე, ოზურგეთის ჭეშმარიტი კოლორიტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, სანიმუშო ოჯახის თავკაცი...

მასსა და მის მეუღლეს, ოზურგეთის დრამატული თეატრის მსახიობს, საქართველოს დამსახურებულ არტისტს შურა ცქიტიშვილს – ორივეს გარდასახვის დიდი უნარით დაჯილდოებულთ, სიცილის ოსტატებს, მაყურებლისათვის არაერთხელ განუცდევინებიათ კომედიისა და კომიკურის ხიბლი, მოიდანახის დაღმართიდან მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეშურებოდა ვლადიმერ ბაჯელიძე თავის სათაყვანებელი თეატრისაკენ. ოზურგეთის თეატრის 130-წლოვან ისტორიაში მან 100 ფურცელი ჩაწერა! ეს მის მიერ ამ თეატრის სცენაზე განსახიერებული 100 როლია, რომელთაგან ყველა თეატრის მატიანეს კუთვნილებაა.

მის მიერ განსახიერებულ როლებში არის როგორც კომიკური, ისე დრამატული სახეებიც, რაც მსახიობის, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე, მდიდარი საშემსრულებო პალიტრისა და მაღალი პროფესიონალიზმის წყალობაა და იმაზეც მეტყველებს, რაოდენ მდიდარი შემოქმედებითი ხურჯინი ჰქონდა ჩვენს მართლაც უბადლო ნაცარქექიას, ბავშობიდანვე ჩვენთვის საყვარელ მსახიობს – ლადიკო ბაჯელიძეს.

მარტო ეს ერთი როლი – ნაცარქექია (გიორგი ნახუცრიშვილის ამავე სახელწოდების პიესაში) მისი სამსახიობო შემოქმედების კარუსელის ღერძი გახლდათ, რომლის გარშემო განხორციელებულ მთაბეჭდავ სახეთა მთელი ფეიერვერკი ტრიალებდა.

ვლადიმერმა დიდი როლი შეასრულა იმ წარმატებებში, რაც 1968 წელს ოზურგეთის თეატრმა თბილისში გასტროლებზე მოიპოვა, რომლის შესახებაც დაიწერა კიდეც დედაქალაქის პრესაში:

„თავმდაბლად, სარეკლამო ყვირილის გარეშე ჩამოვიდნენ მახარაძელი ხელოვნების მუშაკები და, სიმართლე უნდა ითქვას, გააკვირვეს მომთხოვნი მაყურებელი. უცბად დავინახეთ, რომ პერიფერიაშიც მუშაობენ სცენის ოსტატები, რომელთა უშუალო, გულწრფელი და უპრეტენზიო სიტყვა ღრმად წვდება მნახველისა და მსმენელის გულს, თეატრის სხვა მსახიობებთან ერთად თავისი შემოქმედებითი უნარი გვიჩვენა და მაყურებელთა აღტაცება მოიპოვა სცენის ჭეშმარიტმა ოსტატმა ვლადიმერ ბაჯელიძემ".

ამ აღიარების დასტურია ისიც, რომ იმ გასტროლებისას თბილისელები ვლადიმერ ბაჯელიძისა და შურა ცქიტიშვილის საგასტროლო სპექტაკლებში წარმოთქმული რეპლიკებით კენწლავდნენ ერთმანეთს („ხუშტი-ხუშტი-ვახუშტი, ოხ, რა ბიჭი გაფუჭდი" – „ნაცარქექია"), „შეგირცხვეს მიმოქცევა ნენა" („ამაღლებული სოფელი") და თბილისშიც ხშირად გაიგონებდით ქალბატონ შურა ცქიტიშვილის მიერ საგასტროლო სპექტაკლში ნამღერს: „ქარი შრიალებს ფოთლებში, მთვარე ამოდის ღრუბლებში, გოგონას სძინავს ლოგინში, სული ამოხდა ლოდინში".

თეატრიდან მოიდანახის აღმართზე ამავალ ბატონ ვლადიმერს, ქართული სასცენო ხელოვნების სამსახურში, სიკეთესა და სიყვარულში სანთელივით ჩამოღვენთილს, თან მიჰყვებოდა მადლიერ მაყურებელთა მქუხარე ტაშის ექო და განუზომელი სიყვარულის გრძნობა, რომელიც იმ პოპულარული სიმღერისა არ იყოს, „მძიმე და საამო ტვირთია".

ოზურგეთელები დღესაც ამ სიყვარულით, მოვიხსენიებთ და პატივს მივაგებთ მოიდანახის სასაფლაოზე განსვენებულ ამ დიდებულ კაცსა და ხელოვანს.

**გურამ კუნჭულია,**
**ოზურგეთი.**

**სურათებზე:** ქიშვარდი – ვ. ბაჯელიძე (ვ. კანდელაკის „ამაღლებული სოფელი"), ნაცარქექია – (გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია", მოსწავლეთა სახლთან არსებული თეატრის სპექტაკლში).



მუსიკა

# საოპერო სტუდიის წინსვლა



ღიახ, წინ მიიწევს კონსერვატორიის საოპერო სტუდია, რაც ნათლად დაადასტურა მისმა უკანასკნელმა სპექტაკლებმა, წინ მიიწევს მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომლებიც ჯერ კიდევ თან ახლავს მის მოღვაწეობას. მხედველობაში მაქვს ნორმალური პირობების უქონლობა სისტემატური და გეგმაზომიერი მუშაობის წარმართვისათვის – მთელი სასწავლო წლის მანძილზე – აბა, მაშ რა ვუწოდოთ იმას, რომ სათანადო სამეცადინო სათავსოს დანატრებული დიდი კოლექტივი (სოლისტები, გუნდი, ორკესტრი) იძულებული ხდება კვირა დღეებში კონსერვატორიის მეოთხე სართულის დერეფანში ჩაატაროს რეპეტიციები?

კიდევ კარგი, რომ წელიწადში ორჯერ (შემოდგომობით და გაზაფხულზე) სტუდიას საშუალება ეძლევა ორ-ორი კვირით გადაინაცვლოს კონსერვატორიის დიდი დარბაზის სცენაზე. და რა სასარგებლო იქნებოდა, რომ ეს ყანებადივით საჭირო პერიოდები ოდნავ მაინც გახანგრძლივებულიყო.

როგორც ვიცით, საოპერო სტუდიამ მოღვაწეობა 11-წლიანი „პაუზის" შემდეგ წარმატებით განაახლა შარშან ამ დროს, რამაც დიდად გაახარა როგორც ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა – კონსერვატორიის სტუდენტ-ვოკალისტები, ისე სტუდიის ვეტერანები და, საზოგადოდ, მისი ადრინდელი ნაყოფიერი მოღვაწეობის ყველა თვითმხილველი.

მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთმა ხანგრძლივმა იძულებითმა „შესვენებამ", სხვა უარყოფით შედეგებთან ერთად, კიდევ ერთი ფრიად დასანანი სინდრომი წარმოშვა: კერძოდ, საოპერო სტუდიისადმი ერთგვარი გაუცხოება ჩვენი მუსიკალური საზოგადოების მხრიდან.

ახალგაზრდებმა უბრალოდ არ იციან, ხოლო უფროსებმა თანდათან დაივიწყეს ის, თუ რა უდიდესი მნიშვნელობის მხატვრულ-პედაგოგიური ფენომენი იყო მრავალი წლის მანძილზე კონსერვატორიის საოპერო სტუდია, რომელმაც 1952 წლიდან მოყოლებული გზა დაულოცა და, როგორც იტყვიან, „საგზური" მისცა დიდ სარბიელზე გასასვლელად მრავალ სახელოვან ქართველ მომღერალს. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც მხოლოდ დიდი ქართველი მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძე.

ზურიკო ჩემი ბავშვობის მეგობარი და თანაკლასელი იყო. სიამაყის გრძნობით ვიგონებ, რომ პირველმა მე წავიყვანე იგი ვოკალის პედაგოგებთან – ქალბატონებთან ანა ჩიჯავაძესთან და ნადია ბუზოღლისთან. თვალს ვადევნებდი ზურაბის მეცადინეობას კონსერვატორიაშიც, სადაც მას დიდებული მასწავლებელი – ბატონი დავით ანდღულაძე ჰყავდა. ჰოდა, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ თუ არა საოპერო სტუდია, ზურიკო ან საერთოდ არ შედგებოდა როგორც დიდი მასშტაბის მომღერალი და არტისტი, ანდა თუ შედგებოდა, – არა ისეთი, როგორიც ჩვენ (და განა მარტო ჩვენ?) გვიყვარდა, გვახარებდა და აღტაცებას გვგვრიდა! შეიძლება სხვა მაგალითების მოყვანაც. ყოველივე ამას კი იმისათვის ვამბობ, რომ დღეს ჩვენს მუსიკალურ საზოგადოებას, როგორც ჩანს, ბოლომდე არა აქვს გაცნობიერებული საოპერო სტუდიის ჭეშმარიტი მნიშვნელობა და როლი ქართული მუსიკალურ-თეატრალური ხელოვნების შემდგომი განვითარების საქმეში. გასაკვირია, რომ ეს ეხება თვით იმათაც კი, ვინც თავისი სამსახურებრივი თუ პროფესიული მოვალეობის შესაბამისად – მაგალითად, კულტურის სამინისტრო, კონსერვატორიის სამხატვრო საბჭო (ორიოდე გამონაკლისის გარდა), მუსიკალური კრიტიკოსები, პრესა – უბრალოდ ვალდებულნი იყვნენ დასწრებოდნენ სტუდიის ბოლო სპექტაკლებს, მაგრამ ისინი, რუსული ირონიული გამოთქმა რომ ვიხმაროთ: „при сем блистательно отсутствовали".

გამოვთქვამ რწმენას, რომ უნდობლობის თუ გულგრილობის ეს დასანანი ინერცია დროთა განმავლობაში გადაილახება ქართული საოპერო ხელოვნებისა და მისი მომავლის სასიკეთოდ.

ახლა კი მოკლედ სარეცენზიო სპექტაკლების შესახებ. სულ ოთხი წარმოდგენა გაიმართა. ერთი მათგანი გახლდათ სტუდიის ახალი ნამუშევარი – რახმანინოვის ოპერა „ალეკო" და ვერდის „რიგოლეტოს" მეოთხე აქტი (სამი სპექტაკლი) და ერთიც – შარშანდელი „დაისი".

ვიხილეთ და მოვისმინეთ ჩვენთვის ახალი შემსრულებლები – სოლისტები – კონსერვატრიის ვოკალური განყოფილების სტუდენტები. უკვე ეს შეიძლება ჩაითვალოს ხსენებული სპექტაკლების პრინციპულ ღირსებად.

მთავარ „მოქმედ პირად" კი უდავოდ მოგვევლინა გამოცდილი და ნიჭიერი მუსიკოსი რევაზ ტაკიძე – კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის გამგე და სტუდიის მთავარი დირიჟორი, რომლის მაღალმა პროფესიულმა კვალიფიკაციამ, საქმის სიყვარულმა და ერთგულებამ, მართლაც რომ, ჩინებული ნაყოფი გამოიღო. ეს ეხება მუსიკალური ანსამბლის ყველა კომპონენტს: დამყარებულია ზუსტი ურთიერთკავშირი სოლისტებს, გუნდსა და ორკესტრს შორის, კარგად არის რეგულირებული საერთო ხმოვანების ბალანსი, ყველა შემსრულებელი ბუნებრივად „მისდევს" დირიჟორის ხელს.

„ალეკოს" დადგმა ისევე როგორც „დაისისა" ეკუთვნის სტუდიის მთავარ ვეტერანს – რეჟისორ გივი გაჩეჩილაძეს, რომელმაც სცენური ფართობის შეზღუდულობის პირობებში შექმნა კარგად გამართული წარმოდგენები.

რახმანინოვის „ალეკოს" პარტიტურა თავისი ლაკონიურობის მიუხედავად ფრიად რთულ ამოცანებს სახავს შემსრულებლების წინაშე. მოვისმინეთ მთელი რიგი კარგად მომზადებული და უთუოდ პერსპექტიული ახალგაზრდა მომღერლები, ზემფირას როლის შემსრულებელი სოფიო ჯანელიძე ფლობს ლამაზი ტემბრის კომპაქტურ ხმას, არ გამიკვირდება, თუ მას შემდგომ ვიხილავთ „დიდ" საოპერო სცენაზე. კარგები იყვნენ ამ როლში, აგრეთვე, ინგა ნოზაძე და ნინო გზირიშვილი, იგივე შეიძლება ითქვას ალეკოს როლის შემსრულებლების – ვანო გალუაშვილისა (იგი უკვე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტია) და კობა სარდალაშვილის შესახებაც. ახალგაზრდა ბოშის პარტია შეასრულეს გამოცდილმა ნუგზარ გელაშვილმა და სტუდენტმა – ძალიან მუსიკალურმა მამუკა მანჯგალაძემ, მოხუცი ბოშის – შავლეგ მაჭარაშვილმა, ბოშა დედაბრისა – ნინო დოლენჯაშვილმა და ნატო კიკნაძემ.

დიდი წინასწარი მუშაობა გასწიეს კონცერტმაისტერებმა მარინა გველესიანმა და ნანა რუხაძემ, ქორმაისტერებმა ლია ჭანიშვილმა და მედეა ქავთარაძემ.

საერთო აღტაცება გამოიწვია პირველივე წარმოდგენისას ვერდის „რიგოლეტოს" გენიალურმა მეოთხე აქტმა (პროლოგით). საქმე ის გახლავთ, რომ აქ მოვისმინეთ მომღერალთა ანსამბლი, რომელიც ნებისმიერ საოპერო სცენას დაამშვენებდა. სულხან გველესიანი (ბარიტონი – რიგოლეტო), გია ონიანი (ტენორი – ჰერცოგი), მიხეილ კოლელიშვილი (ბანი – სპარაფუჩილე), დარწმუნებული ვარ, რომ, ახლო მომავალში ფართო ასპარეზზე გაითქვამენ სახელს. ჩინებული იყო რიგოლეტოს პარტიაში ვანო გალუაშვილიც, ხოლო სპარაფუჩილეს პარტიაში – შავლეგ მაჭარაშვილი. კარგად აუბეს მათ მხარი ჯილდას როლის შემსრულებელმა – პერსპექტიულმა ქეთინო ეკალაძემ და ვიკა მარქარიანმა. სამივე სპექტაკლში მადალენას როლს ასრულებდა მაკა კაჯაევა – სცენურად მომხიბლავი, კარგი ხმის (მეცო-სოპრანო) მქონე. მესამე წარმოდგენა ჰერცოგის პარტიის შესრულებით დაამშვენა ჩვენმა საამაყო მომღერალმა თემურ გუგუშვილმა.

ახალბედა მომღერლების გამოსვლა სახელოვან და გამოცდილ პარტნიორებთან ერთად საოპერო სტუდიის ძველი და ძალზე ნაყოფიერი, სასარგებლო ტრადიციაა.

უდავოდ დასაფასებელია კონცერტმაისტერების – ნინო ლემკაშელისა და ალა ჩოჩიევას, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი რეჟისორის მაია გაჩეჩილაძის ღვაწლიც.

იმევე, როგორც შარშან, ძალიან დიდი წარმატებით გაიმართა „დაისის" წარმოდგენაც. შარშანვე უკვე დაწვრილებით შევეხე მას და ამიტომ, ამჯერად, ძირითადად შევჩერდები შემსრულებელთა ახალ ჯგუფზე (სამი ახალბედა მომღერალი). ესენი გახლავან მეორეკურსელი მამუკა ლომიძე, რომელმაც ყველანი გააკვირვა კიაზოს პარტიის დამაჯერებელი შესრულებით, ასევე ნინო დოლენჯიშვილი (ნანო) და ნიკა გულიაშვილი (ცანგალა).

ისევე, როგორც შარშან, წლეულსაც მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ ნიჭიერი მომღერლები ნინო ჩაჩუა (მარო) და გია ონიანი (მალხაზი). ოთხივე სპექტაკლში კარგად უკრავდა ორკესტრი.

სპექტაკლების სადადგმო ნაწილის ხელმძღვანელთა საერთო თხოვნა იყო საგანგებოდ აღმენიშნა ბუტაფორ-დეკორატორის ჯუმბერ ნოზაძის დამსახურებაც.

რომ შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული, შეიძლება დავასკვნათ, რომ შარშან კარგად აღებული „სტარტი" საოპერო სტუდიამ წელს წარმატებით განავითარა. იმისთვის, რომ მისი სასწავლო და შემოქმედებითი მუშაობის შედეგები კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდეს, საჭიროა ყოველმხრივ შეეწყოს მას ხელი, პირველ რიგში კი, ვიმეორებ, – ნორმალური პირობები შეექმნას სისტემატური მუშაობის წარმართვისათვის მთელი სასწავლო წლის მანძილზე.

კონსერვატორიის ახალმა რექტორმა, ქალბატონმა მანანა დოიჯაშვილმა, უკვე განახორციელა მთელი რიგი ძალზე საჭირო და სასარგებლო ღონისძიებები სასწავლო პროცესის გაუმჯობესების ხაზით. დავიწყებული არ არის არც საოპერო სტუდია: მიმდინარეობს სათანადო სარეკონსტრუქციო სამუშაოები კონსერვატორიის შენობაში, რომელთა დამთავრების შემდეგ ეს საკითხიც მოგვარდება.

მადლიერი საოპერო სტუდია და მისი ხელმძღვანელობა კი, დარწმუნებული ვარ, ძალღონეს არ დაიშურებენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაამდიდრონ და განავითარონ წარსულის შესანიშნავი შემოქმედებითი ტრადიციები.

გულბათ ტორაძე.

## ჩაუმქრალი ვარსკვლავები



მედეა ჯაფარიძე.
(შექსპირის „რომეო და ჯულიეტა").



სალომე ყანჩელი.
(უკვდავების მზეთუნახავი, გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა").



ევგენია გურაშვილი.
(ი. კალმანის „მარიცა").

პრემიერა

# „განთიადის ფერია"

## კიდევ ერთი შეხვედრა კასონას დრამატურგიასთან

ესპანელი დრამატურგის ალეხანდრო კასონას შემოქმედებას უკვე იცნობს ქართველი მაყურებელი. კარგა ხნის წინათ კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე წარმატებით იდგმებოდა მისი პიესა „ხეები ზეზეურად კვდებიან" დიდი ვერიკოს მონაწილეობით.

და აი, ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის შემდეგ იგივე სცენაზე განხორციელდა ა. კასონას მეორე პიესა „განთიადის ფერია". ამ ორმოქმედებიან ნაწარმოებს საფუძვლად უდევს ესპანური ხალხური დრამატული ლეგენდა. თარგმანი ეკუთვნის მწერალ ჯუმბერ თითმერიას.

პიესა, რომლის პრემიერაც ახლახან გაიმართა, თანამედროვე ფსიქოლოგიურ დრამას წარმოადგენს და მოგვითხრობს ერთი ოჯახის ტრაგედიაზე. სპექტაკლი დადგა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დიპლომანტმა ციცინო კობიაშვილმა (პროფესორ ლილი იოსელიანის სახელოსნო). იგი წინასადიპლომო ნამუშევარია, მასვე ეკუთვნის სპექტაკლის მუსიკალური გაფორმებაც, სადადგმო ჯგუფის წევრები არიან მხატვრები: ნანა წიქარიძე და მაია სულხანიშვილი, კომპოზიტორი ნიკა მემანიშვილი, ქორეოგრაფი – გია მარღანია.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ: მარინა ჯანაშია, თამარ სხირტლაძე, მზია არაბული, ნინო კობერიძე, რუსიკო გრიშიკაშვილი, ნინო ბურდული, დათო დვალიშვილი, ლევან ყოჩიაშვილი და სხვები.



სარედაქციო კოლეგია:
გურამ გოგიაშვილი, ნანა ღვინეფაძე (რედაქტორი), რუსუდან მუხიგულაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ზურაბ ოიკაშვილი.

რეაქცია

# საბოლოოდ დამყარდება წესრიგი

(პირველი გვერდიდან)

სამხარეო ადმინისტრაციის პრესცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ მცხეთა-მთიანეთის მხარის პენსიონერთა პერსონიფიცირებული აღრიცხვა ხორციელდება მხარის ადმინისტრაციის ინიციატივით და ეთერში დარღვევათა გამოვლენა-აღრიცხვის კომპლექსური რეჟიმის სახით წარიმართება. სახელმწიფო რწმუნებულის განკარგულებით, პერსონიფიცირებული აღრიცხვისა და მოწესრიგების სამხარეო კომისიას ხელმძღვანელობს სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ანზორ სულიაური, ხოლო რაიონულ კომისიებს უხელმძღვანელებენ დარგის კურატორები – რაიონის გამგებლის მოადგილეები.

მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაცია, რომელმაც პენსიონერთა აღრიცხვის მოსაწესრიგებლად და შესაძლო დარღვევების (ე. წ. „მკვდარი სულების“) გამოსავლენად სათანამშრომლოდ მოიწვია საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საპენსიო ფონდის წარმომადგენლები, შეძლებს ამ მნიშვნელოვან სფეროში წესრიგის საბოლოო დამყარებას.

**მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის პრესცენტრი.**

კონტაქტები

# აჭარის კულტურის დღეები მოსკოვში

მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო საკონცერტო დარბაზ „როსიაში“ საზეიმო კონცერტით გაიხსნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დღეები.

იმის მიუხედავად, რომ მოსკოვი მსოფლიო თეატრალურ ოლიმპიადას მასპინძლობს, აჭარის ხელოვნების ოსტატთა კონცერტზე დასწრების მსურველთა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იქ მივიდნენ მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი, სახელმწიფო სათათბიროს ხელმძღვანელობა, პოლიტიკოსები, კულტურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები, მრავალი საპატიო სტუმარი, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან აკრედიტებული ჟურნალისტები.

საზეიმო კონცერტი მისასალმებელი სიტყვებით გახსნეს მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ.

**საქინფორმი.**

არქივები იხსნება

# ყორჩიბაში

**სიკვდილამდე სამი თვით ადრე სტალინმა შერისხა თავისი დაცვის უფროსი, გენერალი ვლასიკი, რომელიც ალალმართლად ემსახურა მეოთხედი საუკუნის მანძილზე.**

რსფსრ სსკ მუხ. 193-17-ის პ. „ბ“-ს კვალიფიკაცია (1926 წ. რედაქციით):

„მუხ. 193-17. ა) მუშურ-გლეხური წითელი არმიის ხელმძღვანელი შემადგენლობის პირის მხრივ, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ძალაუფლების გადამეტება, ძალაუფლების უმოქმედობა, აგრეთვე, სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულება, უკეთუ ეს ქმედობა ჩადენილია სისტემატურად, ან ანგარების, ანდა სხვაგვარი პირადი დაინტერესების მოსაზრებებით, ასევე, თუ მათ შედეგად მოჰყვა მინდობილი ძალების, ან დაკისრებული საქმის დეზორგანიზაცია, ან სამხედრო საიდუმლოებათა გათქმა, ანდა სხვაგვარი მძიმე შედეგები, ან თუნდაც, არ მოჰყოლოდა აღნიშნული შედეგები, მაგრამ შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ან ჩადენილი იქნა ომის დროს, ან საბრძოლო ვითარებაში, – იწვევს:

თავისუფლების აღკვეთას მკაცრი იზოლაციით, ან უამისოდ არანაკლებ 6 თვის ვადით;

ბ) იგივე ქმედობა, განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებათა არსებობისას, იწვევს:

სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას;

გ) იგივე ქმედობა ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გაუთვალისწინებელი ნიშნების არარსებობისას, იწვევს:

მუშურ-გლეხური წითელი არმიის სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას“.

ახლა ვნახოთ მონაცემები ვლასიკის სისხლის სამართლის საქმიდან, უფრო ზუსტად – 1955 წლის 17 იანვრის სასამართლო სხდომის ოქმიდან:

**„სასამართლოს შეკითხვა.** რამ დაგაახლოვათ თქვენ და სტენბერგი?

**ვლასიკი. რა თქმა უნდა, დაახლოება მოხდა ერთობლივი სმისა და ქალებთან ნაცნობობის საფუძველზე.**

ს. შ: საამისოდ სტენბერგს მოსახერხებელი ბინა ჰქონდა?

**ვლ. მასთან ძალზე იშვიათად დავდიოდი.**

ს. შ. თქვენ აძლევდით წითელი მოედნის საშვებს ვინმე ნიკოლაევას, რომელიც უცხოელ ჟურნალისტებთან იყო დაკავშირებული?

**ვლ. მე მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ამით დანაშაული ჩამიდენია.**

ს. შ. თქვენს საყვარელს გრინდუსოვას და მის ქმარს შრაგერს თქვენ აძლევდით ბილეთებს „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნებზე?

**ვლ. ვაძლევდი.**

ს. შ. ინახავდით თქვენს ბინაში საიდუმლო დოკუმენტებს?

**ვლ. მინდოდა, შემედგინა ალბომი, რომელშიც ფოტოსურათებითა და დოკუმენტებით აისახებოდა ამხ. ი. ბ. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა.**

ს. შ. რა გზით შეიძინეთ რადიოლა და რადიომიმღები?

**ვლ. ორივე ვასილ სტალინმა გამომიგზავნა საჩუქრად. მაგრამ შემდეგ რადიოლაც და რადიომიმღებიც ახლომდებარე აგარაკს გადავეცი.**

ს. შ. რა შეგიძლიათ, თქვათ იმ თოთხმეტ ფოტოაპარატსა და ობიექტივზე, რომელიც თქვენ გაქვთ?

**ვლ. მათი უმრავლესობა ჩემი სამსახურებრივი საქმიანობის ხაზით მივიღე. ერთი ცაისის აპარატი ვიყიდე ვნეშტორგიდან, კიდევ ერთი აპარატი მაჩუქა სეროვმა...“**

ძალზე საინტერესოა დაჭარჩენის მტკიცებულებითი ნაწილი. იგი, უბრალოდ, უნიკალურია.

**„ვლასიკის ბრალეულობა აღნიშნულ დანაშაულობათა ჩადენაში დამტკიცებულია სასამართლოში დაკითხული მოწმეების ჩვენებებით, წინასწარი გამოძიების მასალებით, ნივთმტკიცებებით, აგრეთვე, ვლასიკის მიერ თავისი ბრალის ნაწილობრივი აღიარებით“. ესაა და ეს.**



შვილიშვილებთან ერთად, 40-იანი წლები.

განაჩენი – გადასახლება ათი წლით. 1953 წლის 27 მარტის ამნისტიით ეს ვადა სანახევროდ, ანუ ხუთ წლამდე შეუმცირეს. და ეს აქვე, განაჩენშია აღნიშნული.

ის დრო, ორ წელიწადზე მეტ ხანს რომ იჯდა ლეფორტოვოში? არ ითვლება? და თუ ითვლება – როგორ? განაჩენში ამაზე სიტყვაც არ არის ნათქვამი.

1956 წლის 17 მაისამდე იგი რატომღაც აღკვეთილი ჰყავდათ, ხოლო ეს კიდევ ერთი წელიწადი და ოთხი თვეა. მართალია, უკვე „სსრ კავშირის შორეულ ადგილას“ – კრასნოიარსკში. შეწყალების წესით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 15 მაისის ბრძანებულებას ხელი მოაწერა კლიმ ვოროშილოვმა) განთავისუფლებულია პატიმრობიდან და სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

მოსკოვში დაბრუნებული ვლასიკი მიღებას სთხოვს გენერალურ პროკურორს რუდენკოს – არ მიიღო. უგზავნის არზას რეაბილიტაციის შესახებ პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. შვერნიკს, შემდეგ ა. პელშეს – უარს ეუბნებიან. არ გასჭრა არც მარშლების გ. ჟუკოვის და ა. ვასილევსკის მხარდაჭერამ.

მისი ბინა გორკის ქუჩაზე (იმ სახლში, სადაც ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზია) კომუნალურ საცხოვრებლად გადააქციეს. მთელი ქონება გაზიდეს ჯერ კიდევ გამოძიების დროს.

1967 წლის 18 ივნისს ნ. ს. ვლასიკი ფილტვების კიბოთი მოკვდა, მოკვდა ისე, რომ სიმართლეს ვერ ეღირსა.

მისი ქალიშვილის განმეორებითს მიმართვაზე მამის სიკვდილის შემდგომი რეაბილიტაციის შესახებ 1985 წელს მთავარმა სამხედრო პროკურორმა ა. გორნიმ უარით უპასუხა.

ამჟამად სამართლიანობა თითქოს აღდგა, მაგრამ კვლავ პრობლემებია. ვლასიკის ქალიშვილს ნადეჟდას უკვე დაახლოებით წელიწადია, ურეკავენ და უგზავნიან განმარტებით წერილებს რეაბილიტაციის კომისიიდან და ფედერალური უშიშროების სამსახურიდან, რომ მამამისს მსჯავრი დაედო არა რსფსრ სსკ 58 მუხლით (სახელმწიფო დანაშაული), არამედ რსფსრ სსკ 193-17 მუხლით (უბრალო სამხედრო დანაშაული), ამიტომ ვლასიკი არ არის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი, ისევე, როგორც მისი შვილი არ არის დაზარალებული.

რა შეიძლება ითქვას ამაზე? 1991 წლის 18 ოქტომბრის რეაბილიტაციის კანონში ნათქვამია: **„რეაბილიტაციას ექვემდებარებიან ის პირნი, ვინც პოლიტიკური მოტივებით:**

**ა) მსჯავრდებულია სახელმწიფო და სხვაგვარი დანაშაულობებისათვის“.**

ნ. ს. ვლასიკს მსჯავრი დაედო „სხვაგვარი დანაშაულობებისათვის“. პოლიტიკური თუ არა პოლიტიკური მოტივებით? ვფიქრობ, აქ ორი აზრი ვერ იქნება. მას არავინ დაუხვრეტია და არ მოუწერია ხელი დახვრეტის სიებისათვის, არ მონაწილეობდა „ორეულებში“, „სამეულებში“, „განსაკუთრებულ თათბირებში“, მსახურობდა კეთილსინდისიერად, სანამ მის თავზე წისქვილის ქვა დატრიალდებოდა...

**ანდრია სუხომლინოვი,**
რუსეთის დამსახურებული იურისტი.
გაზ. „სოვერშენო სეკრეტნო“, № 5.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 117-118.

ფინანსები

# სახელმწიფო საგზაო ფონდის 2000 წლის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ

საქართველოს 2001 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონით სახელმწიფო საგზაო ფონდის 2000 წლის შემოსავლების თავდაპირველი მოცულობა განისაზღვრა 52.200 ათასი ლარით, ხოლო შემდგომში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილების (სეკვესტრი) შესაბამისად საგზაო ფონდის შემოსავლების მოცულობა განისაზღვრა 32 მილიონი ლარის ოდენობით, და თავდაპირველ გეგმასთან შედარებით შემცირდა 20200 ათასი ლარით, ანუ 38,7 პროცენტით, რაც მთლიანად მოდის საავტომობილო ბენზინის აქციზურ გადასახადზე (თავდაპირველი გეგმა 24.700 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა – 4.500 ათასი ლარი).

დაზუსტებული გეგმით შემოსავლები, საგზაო ფონდის გადასახადების ცალკეული სახეობების მიხედვით შეადგენდა შემდეგს:

– საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის გადასახადი სულ შეადგენდა 9.980 ათასი ლარს. საიდანაც ოთხი ქალაქიდან (ქ. თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) მისაღები შემოსავლების გეგმა შეადგენდა 7 მილიონ ლარს, ხოლო სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან კი – 2.980 ათას ლარს.

– საწვავ-საცხები მასალების რეალიზაციისათვის გადასახადიდან – 1.300 ათას ლარს.

– საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის გადასახადი – 10.500 ათას ლარს.

– ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი – 5.500 ათას ლარს, მათ შორის ქ. თბილისის მერიისთვის გადასაცემი მილიონ ლარს.

– საავტომობილო ბენზინის აქციზური გადასახადი 4.500 ათას ლარს.

– საავტომობილო გზების მიმდინარე ზოლში კომუნიკაციების განლაგებისა და ექსპლუატაციისათვის 20 ათას ლარს.

– სხვა შემოსავლები – 200 ათას ლარს, რაც მთლიანად მოდის რიკოთის საუღელტეხილო გვირაბით სარგებლობისათვის დადგენილ მოსაკრებელზე.

– გარდა აღნიშნულისა, 2000 წლის 3-4 იანვარს ცაგერის რ-ნში ალპანა-ცაგერის საავტომობილო გზის მე-15, 16 კმ-ში მეწყერის შედეგად მწყობრიდან გამოსული გზების მონაკვეთების აღდგენითი სამუშაოებისათვის საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 9 მარტის № 205 განკარგულებით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დამატებით გამოიყო 300 ათასი ლარი.

დაზუსტებული მონაცემებით 2000 წლის სახელმწიფო საგზაო ფონდის ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 31.975,300 ლარი და გეგმა შესრულდა 99,9 პროცენტით.

გადასახადების ცალკეული სახეობების მიხედვით შემოსავლების გეგმა შემდეგნაირადაა შესრულებული:

– საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის გადასახადი 11.722,500 ლარი, რაც დაგეგმილის 117,4 პროცენტს შეადგენს, ეს კი წინა წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს 1.742,500 ლარით აჭარბებს. მათ შორის: ოთხი ქალაქიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 8.413,8 ათასი ლარი, ხოლო სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან შემოსავლებმა 3.808,700 ლარი.

– საწვავ-საცხები მასალების რეალიზაციისათვის გადასახადის სახით მიღებულია 1.421,900 ლარი, რაც დაგეგმილის 109,4 პროცენტია და წინა წლის ფაქტიურ მაჩვენებელს აღემატება 128 ათასი ლარით.

– გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის შემოსვლისათვის მიღებულია 9.935 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 94,6 პროცენტია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადის ამ სახეობაში შემოსავლებში ვერ აისახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სარფის საკონტროლო გამშვებ პუნქტში ფაქტიურად აკრეფილი შემოსავლების ის ნაწილი, რომელიც გადარიცხულია გაურკვეველი მიმართულებით და არ მოხვდა საგზაო ფონდში, რამაც 2000 წელს სულ შეადგინა 2.625,700 ლარი.

– ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადის სახით მიღებულია 4.374,300 ლარი, რაც საგეგმო მაჩვენებელზე 1.125,700 ლარით ნაკლებია, ანუ გეგმა შესრულდა მხოლოდ 79,5 პროცენტით. ეს მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელზე 1.244,100 ლარით ნაკლებია.

– საავტომობილო ბენზინის აქციზით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 4.319,100 ლარი, რაც გეგმიურთან შედარებით 180,900 ლარით ნაკლებია და გეგმა შესრულდა 96 პროცენტით.

– საავტომობილო გზების მიმდებარე ზოლში კომუნიკაციების განთავსებისა და ექსპლუატაციისათვის მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 18,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიურის 92,5 პროცენტი.

– სხვა შემოსავლების, კერძოდ რიკოთის გვირაბით სარგებლობისათვის მოსაკრებლის სახით ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 184 ათასი ლარი. ეს კი წინა წლის ფაქტიურ მაჩვენებელზე 312,700 ლარით ნაკლებია, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ გასული წლის მე-2 ნახევარში რიკოთის გვირაბზე საგადასახადო პუნქტი არ ფუნქციონირებდა, გვირაბის სარემონტო სამუშაოებისა და ავტომატური საგადასახადო გამშვები პუნქტის მონტაჟის გამო.

– პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მიღებულია 300 ათასი ლარი, რაც განსაზღვრული იყო კიდეც დაზუსტებული გეგმით.

აღნიშნულის გათვალისწინებით სახელმწიფო საგზაო ფონდის 2000 წლის მთლიანმა შემოსავლებმა სულ შეადგინა 32.275,300 ლარი.

2000 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონით საგზაო ფონდის ხარჯვითი ნაწილი დაზუსტებული გეგმით განისაზღვრა 32300 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის

– საავტომობილო გზების მოვლა-შენახვაზე 17.000 ლარი.

– გზების კაპიტალურ მშენებლობაზე 2.100 ათასი ლარი.

– საავტომობილო გზების კაპიტალურ და საშუალო შეკეთებაზე 9.692 ათასი ლარი.

– ქ. თბილისის მერიისთვის გადასაცემი ტრანსფერტი – მილიონი ლარი.

– სხვა ხარჯები 1.008 ათასი ლარი, რითაც გათვალისწინებული იყო კუვეიტის ფონდის კრედიტით განსახორციელებელ სამუშაოებზე საჭირო თანამონაწილეობის თანხები.

– დეპარტამენტის ცენტრალური და საგზაო საგადასახადო სამსახურების აპარატების შენახვაზე – 1.500 ათასი ლარი.

ფაქტობრივად, 2000 წელს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საავტომობილო გზებზე გაწეულმა დანახარჯებმა სულ შეადგინა 36.598,400 ლარი.

მათ შორის:

– საავტომობილო გზების მოვლა-შენახვაზე გაწეულმა ფაქტობრივმა დანახარჯებმა შეადგინა 14.434,600 ლარი, რაც გეგმიური მოცულობის 84,9 პროცენტს შეადგენს.

– გზების კაპიტალურ მშენებლობაზე შესრულებამ შეადგინა 2.285,600 ლარი. გეგმა შესრულდა 108,8 პროცენტით.

– გზების კაპიტალურ და საშუალო შეკეთებაზე გაწეულმა დანახარჯებმა შეადგინა 9.772,700 ლარი, გეგმა შესრულდა 101 პროცენტით.

– ქ. თბილისის მერიაზე ფაქტობრივად გადაცემულმა ტრანსფერტმა შეადგინა 1.226,600 ლარი, ანუ გეგმიურის 122,7 პროცენტი.

– დეპარტამენტის ცენტრალური და საგზაო საგადასახადო სამსახურების აპარატების შენახვაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1.391 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული 1.500 ათასი ლარის ნაცვლად, ანუ გეგმიურის 92,7 პროცენტი.

გარდა აღნიშნულისა, 2000 წლის საგზაო ფონდის შემოსავლებიდან გადახდილია 1999 წლის შესრულებული სამუშაოების დავალიანებები 7.174 ათასი ლარის ოდენობით და უკან დაბრუნებული ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საავტომობილო ბენზინის აქციზის სახით 1999 წლის I კვარტალში საგზაო ფონდში ზედმეტად გადახდილი თანხები 314 ათასი ლარის ოდენობით.

აღნიშნულის გათვალისწინებით საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის დავალიანებამ მოიჯარე ორგანიზაციების მიმართ 2001 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით შეადგინა 4.323,100 ლარი.

| № | შემოსავლები: შემოსავლების წყარო | განსაზღვრული ბიუჯეტის შესახებ კანონით (წლიური): 2000წ | განსაზღვრული ბიუჯეტის შესახებ კანონით (წლიური): დაზუსტებული | ფაქტიური შესრულება: სულ საანგარიშო პერიოდი | ფაქტიური შესრულება: ნაზარდი ჯამით წლის დასაწყისიდან | № | ხარჯები: ხარჯების დასახელება | განსაზღვრული ბიუჯეტის შესახებ კანონით (წლიური): 2000წ | განსაზღვრული ბიუჯეტის შესახებ კანონით (წლიური): დაზუსტებული | ფაქტიური ხარჯები: საანგარიშო პერიოდი | ფაქტიური ხარჯები: ნაზარდი ჯამით წლის დასაწყისიდან |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 1 | ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერტი | - | - | | | 1 | სამმართველოს აპარატის შენახვის ხარჯები სულ | 1500,0 | 1500,0 | 1391,0 | 1391,0 |
| 2 | პრეზიდენტის (სარეზერვო ფონდიდან) მიღებული დაფინანსება | - | 300,0 | 300,0 | 300,0 | | 1) დეპარტამენტის ცენტრალური აპარატი | 524,0 | 524,0 | 507,6 | 507,6 |
| 3 | სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლები სულ: | 52200,0 | 32000,0 | 31975,3 | 31975,3 | | 2) საგზაო საგადასახადო სამმართ. | 411,0 | 411,0 | 395,4 | 395,4 |
| | (ა+ბ+გ+დ+ე+ვ) | | | | | | 3) საგზაო ფონდის სამმართველო | 565,0 | 565,0 | 488,0 | 488,0 |
| | მათ შორის: | | | | | 2 | საავტომობილო გზების მოვლა-შენახვა | 25000,0 | 17000,0 | 14434,6 | 14434,6 |
| | ა) საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის გადასახადი ქვიდან: | 9980,0 | 9980,0 | 11722,5 | 11722,5 | 3 | კაპიტალური მშენებლობა | 3000,0 | 2100,0 | 2285,6 | 2285,6 |
| | ოთხი ქალაქი (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) | 7000,0 | 7000,0 | 8413,8 | 8413,8 | 4 | საავტომობილო გზების კაპიტალური და საშუალო შეკეთება აქედან: | 21700,0 | 9692,0 | 9772,7 | 9772,7 |
| | სხვა ქალაქების და რაიონების | 2980,0 | 2980,0 | 3308,7 | 3308,7 | | საპროექტო საკვლევაძიებო და ექსპერტიზის სამუშაოები | 380,0 | 380,0 | 379,1 | 379,1 |
| | | | | | | | სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები | 110,0 | 110,0 | 108,6 | 108,6 |
| | ბ) საწვავ-საცხები მასალების რეალიზაციისათვის გადასახადი | 1300,0 | 1300,0 | 1421,9 | 1421,9 | | | | | | |
| | გ) გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის ზენორმატიული დატვირთვისათვის | 10500,0 | 10500,0 | 9935,0 | 9935,0 | | | | | | |
| | დ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი. მათ შორის ქ.თბილისის მერიაზე გადაცემული | 5500,0<br>1000,0 | 5500,0<br>1000,0 | 4374,3<br>1226,6 | 4374,3<br>1226,6 | | | | | | |
| | ე) საავტომობილო ბენზინის აქციზური გადასახადი | 24700,0 | 4500,0 | 4219,1 | 4319,1 | 7 | მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება | | | | |
| | ვ) საავტომობილო გზების მიმდინარე ზოლში კონიკ. განლაგებისა და ექსპლუატაციის სარეკლამო სტენდებისა და ფირნიშების განთავსებისათვის გადასახადი | 20,0 | 20,0 | 18,5 | 18,5 | 8 | ქ.თბილისის მერიაზე გადაცემული ტრანსფერი მ.შ. ქ.თბილისის მერიის ბალანსზე გადაცემული გზების საკომპენსაციო თანხა | 1000,0 | 1000,0 | 1226,6 | 1226,6 |
| | სხვა შემოსავლები სულ მათ შორის: | 200,0 | 200,0 | 184,0 | 184,0 | | | | | | |
| | ა) სამთავრობათაშორის ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული კრედიტები | - | - | - | - | 9 | სხვა ხარჯები მათ შორის: | | 1008,0 | - | - |
| | ბ) უცხოური ინვესტიციები | - | - | | | | | | | | |
| | გ) უცხოეთიდან მიღებული გრანტით | - | - | | | | | | | | |
| | დ) მსოფლიო ბანკის კრედიტით შესრულებული სამუშაოების დაფინანსება | - | - | | | | თანამონაწილეობა კუვეიტის ფონდის კრედიტით განხ. სამუშაოებში | - | 1008,0 | - | - |
| | ე) რიკოთის საუღელტეხილო გვირაბით სარგებლობისათვის მოსაკრებელი | 200,0 | 200,0 | 184,0 | 184,0 | 10 | ორგანიზაც. მიერ ზედმეტად ჩამორიცხული თანხების უკან დაბრუნება | - | - | 313,9 | 313,9 |
| | | | | | | 11 | მოიჯარადრე ორგანიზაციების მიერ 1999 წელს შესრულებული სამუშაოების დავალიანების დაფარვა | - | - | 7174,0 | 7174,0 |
| | სულ: | 52200,0 | 32300,0 | 32275,3 | 32275,3 | | | 52200,0 | 32300,0 | 36598,4 | 36598,6 |


# განცხადება

ა. წ. 1 ივნისს, 16 საათზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სხდომის დარბაზში ჩატარდება ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამოს“ წევრთა საერთო კრება.

დასწრება სავალდებულოა.

**საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ „დინამოს“ გამგეობა.**

## სს „ფოთი-მაცივარის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

სს „ფოთი-მაცივარის“ დირექცია 2001 წლის 5 ივნისს, 15 სთ-ზე იწვევს აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე.

დღის წესრიგი:

1. 2000 წლის საფინანსო შედეგები.
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევნები.

მისამართი:

ქ. თბილისი, წერეთლის პრ. № 114.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე 2001 წლისთვის

| № | საქონლის დასახ. | ხარისხი | რაოდ. |
|---|---|---|---|
| 1. | ბენზინი | სუპერი | 50 ტონა |
| 2. | ბენზინი | ნორმალი | 450 ტონა |
| 3. | დიზელის საწვავი | ლ-62 მარკის | 100 ტონა |

2. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მოწოდება სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 20 მაისიდან 27 მაისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭოროხის ქ. №6, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამეურნეო სამმართველო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

4.2. ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

4.3. ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე;

4.4 ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

5. იურიდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ ტელეფონებზე: 94-10-52, 94-09-07.

7. ღია ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებმა სატენდერო კომისიაში მასალებთან ერთად უნდა შეიტანონ სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარი (მოსაკრებელი უკან არ დაუბრუნდებათ).

**საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სახელით – სატენდერო კომისია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 119. შაბათი, 19 მაისი, 2001 წელი

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ფოტოსურათზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ, აღბეჭდილია ცნობილი ქართველი მწერალი ლეო ქიაჩელი ცოლ-შვილთან ერთად.

წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯის ბიბლიოთეკის ფოტოარქივიდან.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*რედაქცია გთხოვთ, მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.*

## კულტურა

### საჯაროობა – მთავარი თვისება

გუშინ პრესკონფერენცია გამართა საქართველოს კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ. ტრადიციულად, ამჯერადაც მადლობა გადაუხადა მასმედიის წარმომადგენლებს, რადგან, უწინარესად, სწორედ ჟურნალისტთა მეოხებით ცხადდება ფართო საზოგადოებრიობისათვის კულტურის სამინისტროს საქმიანობა, საჯაროობა კი, მისი ერთ-ერთი მთავარი თვისებაა.

სესილი გოგიბერიძემ ისაუბრა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით და დამსწრეთ მიაწოდა ინფორმაცია ამ პროგრამით 1 იანვრიდან 1 მაისამდე დაფინანსებულ ღონისძიებათა შესახებ. ამ პერიოდში აქცენტირებული იყო და დაფინანსდა თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების, მხატვრობის, ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების, ქართული კულტურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის ეგიდით სამინისტროში წარმოდგენილი პროგრამები და პროექტები.

სესილი გოგიბერიძემ ისაუბრა დმანისის დრამატული თეატრის, კახში ახლადგახსნილი ქართული კულტურის ცენტრის დღევანდელობაზე. ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ სამინისტროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ნიჭიერ ახალგაზრდა ხელოვანთა ხელშეწყობაა.

ამ დღეებში „თავისუფალი თეატრი" გამართავს დ. დოიაშვილის ახალი სპექტაკლის პრემიერას, რომელიც მან დავით ტურაშვილის პიესის „ჯინსების თაობის" მიხედვით შექმნა. მოგეხსენებათ, შემოქმედებით ჯგუფს გარკვეული სირთულეების დაძლევა მოუხდა და მაინც, სპექტაკლი დაიდგმება. სწორედ ამიტომ აღნიშნა სესილი გოგიბერიძემ: „უსაფუძვლო იყო ხმაური ცენზურასთან დაკავშირებით, – კულტურის სამინისტრო, ჩვენი ექსპერტთა საბჭო მხარს უჭერს ამ პროექტს და სადადგმო ხარჯებისთვის 5000 ლარიც გამოვუყავით".

ისიც შევიტყვეთ, რომ შემოდგომაზე გაიმართება ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების ფესტივალი, რომელსაც კულტურის სამინისტროსთან ერთად ფინანსურად „ჯეოსელიც" ეხმარება.

მინისტრმა ისაუბრა მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს 1 მაისის გადაწყვეტილებაზე (ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სარჩელი), რომლის ძალითაც აიკრძალა ეროვნული საგანძურის ყოველგვარი ნიმუშების გატანა საქართველოს ფარგლებს გარეთ. კულტურის სამინისტრომ შეიტანა სარჩელი, რათა განახლდეს ამ საკითხის შესწავლა.

საქართველოსა და იაპონიის მთავრობათა მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე რამდენიმე თვეა, რაც თბილისში ჩამოვიდა გახმოვანების ძვირადღირებული აპარატურა დიდი საკონცერტო დარბაზისთვის, მაგრამ ორი თვის მანძილზე ვერ მოხერხდა მისი განბაჟება, რადგან გრანტით გათვალისწინებული კანონმდებლობით აპარატურა უნდა იყოს სახელმწიფო დაწესებულების საკუთრება, ეს დარბაზი კი ამჟამინდელი სტატუსით არის შპს, იაპონიის მხარის გადაწყვეტილებით აპარატურა უნდა გადმომისამართდეს კულტურის სამინისტროზე და სწორედ ის განისაზღვროს გრანტის მიმღებ ორგანიზაციად. ალბათ, ეს საკითხიც მალე მოგვარდება.

ცხადია, კულტურის სამინისტროც გეგმავს გარკვეულ ღონისძიებებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ათი წლის აღსანიშნავად. ამ თარიღს მიეძღვნება სურათების ეროვნულ გალერეაში ქართველ ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც 21 მაისს გაიხსნება და სწორედ 26-ში დაიხურება საზეიმოდ. ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა კი იქნება 26 მაისს მერაბ მამარდაშვილის ძეგლის გახსნა, რომელიც ცნობილმა რუსმა მოქანდაკემ ერნსტ ნეიზვესტნიმ შექმნა და საჩუქრად გადმოსცა ჩვენს ქვეყანას. მის ჩამოსხმას მალე დაასრულებს ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკე ლაშა გუგუნავა. ერნსტ ნეიზვესტნი კი თბილისს 22 მაისს ეწვევა.

ამ და სხვა საინტერესო თემებს შეეხო ამჯერად სესილი გოგიბერიძე და ბოლოს, თხოვნითაც მიმართა ჟურნალისტებს – ნუ დაასათაურებენ საკუთარ პუბლიკაციებს ისეთი სათაურებით, რომლებიც სენსაციურობისათვის არის გამიზნული, მაგრამ საერთოდ, არ შეესაბამება სტატიათა შინაარსს და, ზოგჯერ, სულისკვეთებასაც, სამაგიეროდ, იზიდავს, მკითხველს, მაგრამ ცუდი და შეუსაბამო ელფერებით „ამკობს", „ამდიდრებს" ადამიანებს, დაწესებულებებს და ამახინჯებს მოვლენათა რეალობას.



**ზურაბ ოიკაშვილი.**

## დაზუსტება

„საქართველოს რესპუბლიკის" 11 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში „ქ. თბილისის 2001 წლის ბიუჯეტის სახსრებით მუნიციპალური ჯანდაცვითი პროგრამების სადაზღვევო პრინციპით განხორციელებაზე ღია ტენდერის ჩატარების შესახებ", დაშვებული იყო უზუსტობა.

განცხადებაში ტექსტის მე-10 აბზაცი უნდა ჩასწორდეს შემდეგი რედაქციით:

**განმცხადებლის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე 2001 წლის 4 ივნისის 18 საათამდე. საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტისათვის სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადაა 2001 წლის 11 ივნისი. მიღების ადგილია: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29ა, III სართული. ქ. თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი.**

## სულთათანა

### სიმი გაწყდა...



„ბეთ ანია – სახლი სათნოებისა, გინა დიდებისა, გინა მორჩილებისა", – განმარტავს საბა.

აი, ასეთი სახლი იყო სახლი „პლეხანოვზე", ერთ ძველებურ, თბილისურ ეზოში, საყვარელიძეების მცირე ბინა. შემკრები და მასპინძელი ორმოცდაათიან-სამოციან წლებში, იმ დროის თაობის საუკეთესო წარმომადგენლებისა. ხოლო ამ „სათნოების სახლის" დიასახლისი გახლდათ უძვირფასესი ცისანა საყვარელიძე, სწორედაც სათნოების, კეთილშობილების, ინტელექტის, ქალობის სამაგალითო განსახიერება.

რა საოცარი მოსასმენი იყო სამეულის – და-ძმის – ცისანას, მარიკას და ივიკოს სიმღერა... და ხშირად მათთან ერთად მათი დეიდაშვილის, ლეგენდად ქცეულ – ნანი ბრეგვაძის.

იმხნელების სიმღერის დარად თაობებს გაჰყვება საყვარელიძეების გიტარის ღუღუნი და მისი უპირველესი სიმი – ქალბატონი ცისანა.

არდავიწყება მის სახელს!

**გურამ გომართელი.**

## ღიმილის დოზა



კოქტეილი „ცისფერი ყანწები" – ყანწებში ვასხამთ 200 გრამ არაყს და ვუმატებთ რაც შეიძლება მეტ რომანტიკას.

* * *

– რა კარგი ქალაქია! მოსახლეობა სწრაფად იზრდება?

– საერთოდ არ იზრდება! როგორც კი ერთი ბავშვი დაიბადება, ერთი მამაკაცი ქალაქიდან გარბის.

* * *

პაციენტი ფსიქიატრს უხსნის:

– ვერ წარმოიდგენთ, რა სირთულეები მაქვს სახლში. ჩემი ცოლი შეკითხვას დამისვამს, შემდეგ თვითონვე უპასუხებს. ნახევარი საათის შემდეგ კი მიხსნის, თუ რატომ ვუპასუხე არასწორად.

რამდენი ხანია, ვფიქრობ და ვერ გავარკვიე ორი რამ: – საიდან ჩნდება მტვერი და სად ქრება ფული.

* * *

არასოდეს ისე კარგი არ არის ფული რომ გაქვს, რამდენადაც ცუდია უფულობა.

* * *

– მამა, ჩვენ ებრაელები ვართ?

– არა!

– მალე ვიქნებით?

* * *

– ძვირფასო, როდესაც ჩვენ დავქორწინდებით, ყველა შენს პრობლემას და წუხილს შენთან ერთად გავიზიარებ, – ამბობს საპატარძლო.

– მაგრამ მე რომ არა მაქვს პრობლემები?

– მე ხომ გითხარი, როდესაც დავქორწინდებით-მეთქი.

## დიდების ზღაპარი

# ჭრელი ბაზარი

დედაქალაქის მერის თანხლებით ათვალიერებს პრეზიდენტი ქალაქს – აინტერესებს რა გაკეთდა ახალი, ყველაფერი წესრიგშია თუ არა, მაგრამ, სამწუხაროდ, სახარბიელო არაფერია. გზები იმდენად ოღრო-ჩოღროა, „ამერიკანსკიე გორკი"-ს ჰგავს, თუმცა, ეს იმ სეტყვის ბრალი ყოფილა კახეთში რომ მოვიდა. შუქნიშნები რომ არ მუშაობს, კალიფორნიის გრიგალის „დამსახურებაა" და ა.შ. აი, ბაზარსაც მიუახლოვდნენ:

– რამდენი ხანია ბაზარში არ ვყოფილვარ, ერთი შევიდეთ, ვნახოთ რა ხდება. შევლენ კიდეც.

იმერული ყველიც იყიდება და „ბათუმის კეფალიც ფოთიდან", ახალი ხორციც და კახური ღვინოც.

– რაღაც ძალიან ჭრელი ბაზარია, ჩემო ვანო...

– ბაზარი, საერთოდ, ჭრელია. აბა, აქამდე მარტო ხორცი, ყველი და კარაქი რომ იყიდებოდა, ის იყო კარგი? ეხლა დემოკრატიაა, – აგერ, აქეთ ხორცია, იქით – წიგნები.

ყველა ვაჭრობს, – ზოგი ჰყიდის და ზოგიც ყიდულობს. აქვეა ფეხსაცმლის მწვენდავიც:

– ჰა, ერთიც დავაფურთხოთ, – ნახე როგორ პრიალებს, სადოლ ზურიკ, აი, თმებსაც კი გაისწორებ პარლამენტში. აბა, ეხლა მე აქ უნდა ვიჯდე და ვილაცეები კიდევ პარლამენტში?! ეგ არის სამართალი? ორი ლარი გადაიხადე. ე, სად წახვედი, სად მიდიხარ, ვინ გადამიხდის? მიშველეთ.

ამასაც დაინახავენ ბაზრის „სტუმრები".

– რა მოხდა? რა დაგემართა?

– რაღა რა მომივიდა, – ფეხსაცმელი ისე გავუწმინდე, ეგეთი სუფთა, დაქე როჟა არა ჰქონია. წავიდა, გადამაგდო...

– დაწყნარდი, აგერ, ვანო გადაგიხდის იმის ფულს. რამდენი უნდა გადაეხადა?

– ხუთი ლარი.

– ხუთი ლარი რა ამბავია? აჰა!

– ეს ერთი ტუფლის, მეორე ტუფლის ფული?

– კაცო, შენ კაცი გაწმინდე თუ ორმოცფეხა?

ყველაფერ ამას მათხოვრებიც ადევნებენ თვალყურს და ისინიც გადაწყვეტენ რაღაცას:

– ზურა, აი, იმ ბიძას ხედავ მაყუთს რომ არიგებს? აი, ჭაღარა სიმპატიჩნი კაცის გვერდით რომ დგას? მიხვალ და ეტყვი...

– ვიცი, – მივალ და ვეტყვი: ბიძია, ერთი-ორი ლარი მომეცი რა...

– ვაი, შენს პატრონს, – რატომ წვრილმანდები ასე? აბა, როჟა შეკერე და წარმოიდგინე, რომ ბრმა ხარ, ყრუ ხარ და ხელიც არა გაქვს.

ვიდრე მათხოვარი თავის მისიას შეასრულებს, ფეხსაცმლის მწმენდავისგან საინტერესო ფაქტს იგებენ – ბაზარში ყალბი ფულიც ტრიალებს. – ნუ უსმენთ, ბატონო ედუარდ, საპოჟნიკია...

– ე, ვინ არის საპოჟნიკი, მე ვარ? მე საპოჟნიკი კი არა, ძმაო, მხატვარი ვარ, ქალაქის კოლორიტი, ჩისტილშჩიკების ფიროსმანი. არ იცი, რომ კაცი ფეხსაცმლით იცნობა?!

ამ დროს მათხოვრებიც თავს დაეხვევიან, მაგრამ „დამთვალიერებლები" გზას გააგრძელებენ „ჩისტილშჩიკის" თანხლებით და არაერთ საინტერესო ამბავსაც შეიტყობენ:

– აი, ამ კაცისგან ყოველთვის თამამად შეგიძლიათ იყიდოთ ყველი – არც ხარისხში მოგატყუებთ, არც წონაში და „ვაზშე", არც არაფერში.

– რავა, სხვები იტყუილებიან?

– იტყუებიან კი არა, აქ ზოგიერთებს ყველი პლასტმასის ქარხნიდან მოაქვთ. ერთი, ჩაკერებული ყველის ამბავი უთხარი, თემო.

– აბა, კაცო, ზოგიერთები ისე გაირყვნენ, უკადრებელს კადრულობენ... უკაცრავად, თქვენ სადაური კაცი ბრძანდებით?

– პასპორტით, – ეროვნების გარეშე, წარმოშობით მოქალაქე ვარ, მაგრამ ყველს როგორ აკერებენ, კაცო?! კიდევ რას მამაძაღლობენ?

– რას და გოჭებს ბერავენ.

– როგორ, კაცო, ნასოსით?

– არა, ჩააგდებენ გოჭს წყალში და სანამ ღორივით არ გასივდება და მთელ დანაშაულს არ დაფქვავს, არ ამოჰყავთ. ქათმებს რომ ღებავენ ოქროსფრად, ვითომ ძალიან ცხიმიანია, არადა, ყველა ქათამი შიმშილისგანაა დაბრედილი.

– ეს რა მესმის, კაცო...

– კიდევ თურქულ კვერცხს ღებავენ მარგანცოვკით, – ვითომ სოფლიდანაა. კიდევ ვიცი რაღაც. ღომი გიყვართ? ჰოდა, ღერღილი არ იყიდოთ ბაზარში, დაფქვილ ბრინჯს შემოგაპარებენ.

– ვანო, ამდენი რამე თუ იცი, მე რას მიყვები, ვერ მიხედავ საქმეს? გამაგიჟებს ეს კაცი!

ჩეკების ფასითაც დაინტერესდებიან და საინტერესო პასუხსაც მიიღებენ: – იცოდე, ბაზარში გადამყიდველად მოწყობა და დახლის დათრევა ძვირი ღირს.

– როგორ თუ გადამყიდველები? აბა, გლეხები სად არიან?

– აქ გლეხს ვინ შემოუშვებს! გადამყიდველების ხელშია ყველაფერი. სხვათა შორის, ვაენი გირებსაც ბურღავენ და სასწორზე თოკებსაც აბამენ.

– რატომ, კაცო?

– რატომ და, წონაში რომ მოგვატყუონ, იმიტომ.

– მერე, სად არის პატრონი, კონტროლი?

ეს კითხვა საკმაოდ პათეტიკურად გაიჟღერებს და მას პასუხიც მოჰყვება, რომელსაც კვირას 20 მაისს შეიტყობთ, ცხადია, თუ უყურებთ „დიდების ზღაპრის" ახალ სერიას საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საღამოს ეთერში.

თავისი და ილია და ალექსანდრე ჯიბლაშვილების სცენარის მიხედვით „დიდების ზღაპრის" ახალი სერია – „ჭრელი ბაზარი" გია კაჭარავამ გადაიღო. გადაცემის ხელმძღვანელია ქეთი დუმბაძე, დირექტორი – ირაკლი ქინქლაძე.

**„დიდების ზღაპრის" სპონსორები არიან ფირმა „დიო" და ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „მაგთი GSM". „დიდების ზღაპრის" საინფორმაციო მხარდაჭერას ახორციელებენ რადიო „აუდიენცია" FM 105.9 და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა".**



**აფო ბაზარაშვილი.**

## სამართალი

### პოლიციელის მკვლელობაში ბრალდებულს ასამართლებენ

პოლიციელ მიხეილ შანიძის მკვლელობაში ბრალდებული ლაშა ქართველიშვილის სასამართლო პროცესი დაიწყო პარასკევს უზენაეს სასამართლოში.

ბრალდების თანახმად, ქართველიშვილმა შარშან 3 თებერვალს „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან გასროლით მოკლა ვაკის რაიონის პოლიციის თანამშრომელი მიხეილ შანიძე, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა.

ლაშა ქართველიშვილი წაყენებულ ბრალდებაში თავს არ ცნობს დამნაშავედ. როგორც პრაიმ-ნიუსს მისმა ადვოკატმა ხათუნა სალუქვაძემ უთხრა, განსასჯელი ამტკიცებს, რომ პოლიციელი ასფალტიდან ასხლეტილი ტყვიით დაიჭრა და მას განზრახ არ უსერია.

მკვლელობაში ბრალდებულთან ერთად ასამართლებენ ორ სხვა განსასჯელს – ინასარიძესა და მიდელაშვილს, რომელთაც ქართველიშვილთან ერთად ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა ედებათ ბრალად.

**პრაიმ-ნიუსი.**

## ტელევიზია — შაბათი, 19 მაისი

10.00 დილის პაემანი **11.35** მიზანი **12.00** საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე **12.20** ნანა ჯაფარიძე წარმოგიდგენთ **13.30** მოკლ.ფილმი **"პირველი კონცერტი"** **14.00** დოკ. ფილმი "ჟანა მორო" **15.00** მოამბე **15.15** 50-50 **15.45** "წვიმაში წასვლა". ვ. ღლონტი **1605** თბილისი და თბილისელები **16.30** განმანათლებელი. თ. გიორგობიანი **16.55** რეალური სამყარო **17.15** მხიარული კარუსელი **17.35** საქართველო და გარე სამყარო **18.00** **ფეხბურთი. "დინამო"** (თბილისი) - **"ლოკომოტივი"** (თბილისი) (შესვენებისას "მთელი ეს ტელევიზია") **20.00** ტაიმ-აუტი **20.45** აზრი **20.55** მაესტრო **22.20** მუსიკალური ოქტაგონი **23.10** ულტრა **23.30** მელომანია **00.00** მოამბე **00.15** ილუზიონი. მხ.ფ. **"მოქალაქე კეინი"**

**19.00** საბავშვო ფილმი **"ფლიუკი"** **20.30** ზღაპარ იყო **20.40** დღესასწაულის მიწა **21.10** დასაბამიდან **21.20** ახლო ხედი **22.00** ჰიტ-პარადი **22.05** მხ.ფ. **"მკაცრი გამოცდა"**

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **09.50** ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" **10.50** მულტსერიალი **11.30** საბავშვო ფილმი **12.45** მუსიკა **12.55** სერიალი **"კოლომბო"** **13.40** სიმფონიები **14.05** სერიალი **"ნაზი შხამი"** **15.00** მხ.ფილმი **18.00, 21.00, 01.30** კურიერი **18.20** ტექს ავერი **18.30** სერიალი **"ოკეანის მარგალიტი"** **19.00** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **19.50** სერიალი **"ნაზი შხამი"** **22.00** **ფსიქო.** მხ.ფ. **"როზეტა"** **01.40** სერიალი **"წითელი ფეხსაცმლის დღიური"** **02.10** ღამის ჯაზი

იბერია **მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია** **08.00, 20.00** ანონსი, მულტფილმი **08.15, 20.15** ალსავალი **08.20, 09.45, 12.30, 20.20, 22.30, 00.10** მუსიკა **08.25** მხ.ფ. **"გაუნადგურებელი ჯაშუში"** **10.50** მხ.ფ. **"გლადიატორი"** **20.25** მხ.ფ. **"ნოტინგ ჰილი"** **22.35** მხ.ფ. **"გადამრჩენი"**

**ევრიკა** **10.00** მხ. ფილმი **"გავცვალოთ კარები"** **12.00** პროგრამა "სალონი" **13.30** ფანტასტიკის მოყვარულთათვის მხ.ფილმი **"მამაკაცი ქალთევზა"** **15.00, 21.00** ვესტი **15.30** მუსიკა **16.00** ინდური ფილმი **19.00** თქვენი ადვოკატი **20.00** თინეიჯერები **21.30** ცეროდენა **21.45** პირველი ნაბიჯები **22.00** თეატრალური შეხვედრები **23.30** მენიუ **23.45** მსოფლიო სპორტი **01.15** მხ.ფ. **"სიკვდილის თეატრი"**

IST **07.30** "ცხოვრება სიტყვაში" **09.30** საინფორმაციო პროგრამა "რვის ნახევარზე" **10.00** "ბისი". მხ.ფ. **"ბი-მანკი"** **11.30, 12.45, 15.00, 20.30, 22.10, 00.15** კლიპ-მიქსი **11.45** მულტფილმი **13.00** მხ.ფ. **"წმინდანი"** მთ. როლში ველ კილმერი **18.00** მულტფილმი **19.00** **"Co.**მედია" მხ.ფ. **"ბიჭები და გოგონები"** მთ. როლში ჯეისონ ბიგსი **20.45** პროგრამა **"F"** მხ.ფ. **"მთიელი-4: თამაშის დასასრული"** მთ. როლში ქრისტოფერ ლამბერტი **22.30** "ბრავო" მხ.ფ. "ფილმი თქვენი თხოვნით": **"დუბლიორი"**. მთ. როლში ერიკ რობერტსი, **"სიუზანის მზაკვრული გეგმა"**. მთ. როლში ნასტასია კინსკი, **"უფლის რჩეული"**. მთ. როლში ჯერი დემუნი. **00.30** "ღამურა" მხ.ფ. **"ორი ბოროტი მზერა"**. მთ. როლში ადრიან ბარბო **02.25** ნონ-სტოპი

**09.00, 18.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" **09.15, 18.20** მულტფილმი "ტომი და ჯერი" **09.40** მხ.ფ. **"ჯოკერის სამიზნე"** **11.20** "ლიმონი და ლიმონათი" **11.35** დოკ. ფილმი "გერმანიის სამხედრო საჰაერო ძალები" **12.30, 14.45, 23.50, 00.15** მუსიკა **12.50** მხ.ფ. **"ცუდი ბიჭები"** მთ. როლებში: მარტინ ლოურენსი, უილ სმიტი **14.55, 18.40** შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" **15.50** მხ.ფ. **"ცეცხლოვანი ქარიშხალი"** მთ. როლში უილიამ ბოლდუინი **19.30** გადაცემა: "საბჭოთა საქართველო - ფურცლები ისტორიიდან" **20.00** ევროპის სტადიონებზე **21.00** გადაცემა "ბელისიმო" **21.30** დოკ. ფილმი "და მართლის მთქმელი მოკვდება" **22.20** მხ. ფილმი **"სიჩქარის ტყვეობაში"** მთ. როლში ოლივერ გრუნერი **00.40** მხ.ფ. **"მემკვიდრეობა"** მთ. როლში ჯესიკა ლანჯი

**ტექნიკური მიზეზების გამო მაუწყებლობა დროებით შეჩერებულია**



შვილი დიმიტრი, რძალი მარინე გაბრიჩიძე, სიძე დათო ბერძენიშვილი, შვილიშვილები თამუნა, ოთარ წულუკიძე, ირინა, ქეთი ბერძენიშვილები, რძალი ნინო დეკანოსიძე, სიძეები გიორგი კიკნაძე, არჩილ ჩარგეიშვილი, შვილთაშვილები ნინუცა, ლევანი, დათი, ნიკუშა, დიმიტრი, ცოლისდა სარა წულუკიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ნიკოლოზის ძე წულუკიძე

პანაშვიდი 20, 21 V, 4 სთ., გამოსვენება 22 V, 3 სთ., რეხის პირველი შესახვევი № 1 (ხუდადოვის ქუჩის ბოლოს).

---

საქართველოს ტელე-რადიომაუწყებლობა იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს რადიოს პირველი დიქტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ღირსების ორდენოსანი

ქეთო ლანდია

პანაშვიდი 20, 21 V 5 სთ. გამოსვენება 22 V 3 სთ. ირაკლი აბაშიძის 51 (ყოფილი ბარნოვის 147), II სადარბაზო, V სართული.

---

საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი თანაუგრძნობს თამაზ წერეთელს

დედის

გარდაცვალების გამო.

---

ცენტრალიზებული იმუნოლოგიური და მიკრობიოლოგიური ლაბორატორიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნათელა ჩიქობავას ოჯახს ვაჟიშვილის

ირაკლი ზაურის ძე ჩიქობავას

უდროოდ გარდაცვალების გამო.

## ხსოვნა

### ქეთო ლანდია



გარდაიცვალა საქართველოს რადიოს პირველი დიქტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ღირსების ორდენოსანი ქეთევან ალექსანდრეს ასული ლანდია.

ქალბატონი ქეთო თავისი უმდიდრესი შრომითი და ცხოვრებისეული გამოცდილებით, პროფესიული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით სანიმუშო და მისაბაძი იყო კოლეგებისა და მისი კოლექტივის ყველა წევრისათვის. მან 60 წელზე მეტი გაატარა საქართველოს რადიოში. როგორც დიქტორი, იგი გამოირჩეოდა აზრიანი კითხვით, შესანიშნავი ტემბრის ხმით, გამართული, დახვეწილი ქართული მეტყველებით. ამ თვისებათა მეოხებით იგი იოლად ამყარებდა კონტაქტს რადიომსმენელებთან და დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა მსმენელთა შორის. მისი პოპულარობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ იგი ერთნაირი პროფესიული ოსტატობით უძღვებოდა როგორც საინფორმაციო და პუბლიცისტურ, ასევე, მხატვრულ გადაცემებს. რადიოს ოქროს ფონდში შენახულია მრავალი ლიტერატურული, დრამატული და სხვა სახის გადაცემები, რომელთა წამყვანი და მონაწილეც ქეთევან ლანდია იყო.

ქალბატონი ქეთო აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. თავის მდიდარ შრომით და შემოქმედებით გამოცდილებას ხალისით უზიარებდა ახალგაზრდობას. მისი წარმატებული მოღვაწეობა მრავალჯერ აღნიშნულა მთავრობის ჯილდოებით.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი პიროვნება, დიქტორი-ლეგენდა, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგებისა და მადლიერი რადიომსმენელების გულში.

**საქართველოს ტელე-რადიო კორპორაცია.**

## გახსენება

### ნატალია (ნატაშა) კაკაურიძე – ალავიძე



ძალიან გვიჭირს უშენობა. წახვედი ჩვენგან და თან წაიღე არა ჩვენი ჭირი და ვარამი, როგორც შენ იტყოდი ხოლმე, არამედ ჩვენი სევდა და სიყვარული. მოგვაკლდა შენი ზრუნვა და ყურადღება. შენი სითბო და ალერსი მოგვაკლდა, მაგრამ მაინც ჩვენთან ხარ. ჩვენთვის და ყველასთვის, ვინც გიცნობდა მუდამ ცოცხალი იქნები.

წლეულს, აღდგომის დღეს, პირველად ვერ მივიტანეთ საყვარელი მეუღლის საფლავზე შენი კეთილი ხელით გაკეთებული საკურთხი. წლეულს პირველად ვერ აღვნიშნეთ შენთან ერთად ოჯახში შენი დაბადების 98 წლისთავი. მადლიერმა დანატოვარმა და ყველა ახლობელმა, დღეგრძელობის ნაცვლად, ნათელში ყოფნა გისურვა. სამწუხაროდ, ვაი რომ, ასე იქნება მომავალშიც.

ულმობელი ყოფილა წუთისოფელი. ვერ წარმოგვედგინა შენთან განშორება. ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, ტკბილად მოვიგონოთ, ღირსეულად შევასრულოთ შენი ბრძნული ანდერძი.

მსუბუქი იყოს შენს კეთილ გულზე მშობლიური მიწა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უმწიკვლო სული, ღირსეულო აღმზრდელო, ჩვენო უსაყვარლესო დედიკო და ძვირფასო დიდო ბებო.

**მადლიერების გრძნობით: შვილები ვილი, ზემფირა; რძლები ლამარა, ეკა; სიძეები დურმიშხანი, მიშელი, შვილიშვილები გოგა, ნატო, ლიკა, მაიკო; შვილთაშვილები გიორგი, ნიკუშა, ახლო ნათესავები.**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო ზულიაშვილი, ზიორზი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29.